სამოქალაქო კულტურის
საერთაშორისო ცენტრი

# საქართველოს პოლიტიკური პარტიები

## ცნობარი



I R I

INTERNATIONAL
REPUBLICAN
INSTITUTE

ცნობარის გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის ფინანსური დახმარების შედეგად.

ცნობარი მოამზადეს კონსტანტინე კანდელაკმა, ლელა ხომერიკმა და ნინო ჩუბინიძემ.

*რედაქტორი პაატა ჯავახიშვილი*

© სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი, 1998

სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი
თბილისი, ბაქოს ქუჩა №20ა
*ტელეფონი 95 38 73.*
*E-mail; ICCC_Georgia@yahoo.com*



# წინათქმა

წინამდებარე ცნობარი შეიქმნა ადგილობრივი თვით-მმართველობის ორგანოების არჩევნების წინ საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა სპექტრის სრულად წარმოჩენის მიზნით. ამიტომ გადაწყდა ცნობარში შესულიყო არა მხოლოდ ის პარტიები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ არჩევნებში, არამედ ყველა რეგისტრირებული პარტია. 1998 წლის 26 სექტემბერს იუსტიციის სამინისტროდან მიღებული მონაცემებით, საქართველოში 79 რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიაა. ცნობარისათვის საჭირო მასალის შესაკრებად სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრმა ყველა ამ პარტიას დაუგზავნა სპეციალური კითხვარი.

ცნობარში შევიდა ინფორმაცია 73 პარტიის შესახებ. 6 პარტიიდან კითხვარი უკან არ დაგვიბრუნდა. ზოგმა პარტიამ კითხვარის შეუვსებლობის მიზეზად მოუცლელობა დაასახელა, ზოგმა კი უარი განაცხადა კითხვარის შევსებაზე.

ცნობარი შედგება სამი ნაწილისაგან. I ნაწილში მო-ცემულია ინფორმაცია იმ 17 პარტიისა და ბლოკის შესახებ, რომლებიც 1998 წლის 15 ნოემბერს მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში. ცნობარის ამ ნაწილში პარტიები დალაგებულია იმ თანამიმდევრობით, რომლითაც ისინი შეტანილნი არიან საარჩევნო ბიულეტენში.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდება ორ დონეზე. პირველ დონეზე აირჩევა 1.031 საკრებულო. 654 სოფელსა, თემსა, დაბასა და ქალაქში, სადაც

ამომრჩეველთა რაოდენობა 2000-ზე ნაკლებია, არჩევნები მაჟორიტარული სისტემით ტარდება. იქ, სადაც ამომრჩეველთა რიცხვი 2000-ს აღემატება, დანარჩენი 377 საკრებულო აირჩევა პროპორციული წესით. მეორე დონეზე, 65 რაიონული საკრებულო აირჩევა პროპორციული სისტემით.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საარჩევნო კანონის თანახმად, არჩევნებში მონაწილეობისათვის, პოლიტიკურ პარტიებს საარჩევნო სიები პროპორციული ოლქების 50%-ში მაინც უნდა წარედგინათ. სიები წარადგინა 19-მა პარტიამ. 2 პარტიამ (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია და კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება) ცსკ-ში წარადგინა პარტიული სიები, მაგრამ ვერ მოახერხა კანონის მოთხოვნის შესრულება.

არჩევნებში მონაწილე 17 პარტიიდან 6 პარტია ორ სხვადასხვა ბლოკშია გაერთიანებული. "ეროვნული თანხმობის" ბლოკში გაერთიანებულია რეფორმატორთა კავშირი და სპორტსმენთა კავშირი. ბლოკს "საქართველო - მერაბ კოსტავას საზოგადოება" ქმნიან მერაბ კოსატავას საზოგადოება, გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება და ღვთისშვილთა კავშირი. თერთმეტი პარტია, კერძოდ, დემოკრატიული აღორძინების კავშირი, თავისუფლების პარტია, საქართველოს ტრადიციონალისტთა კავშირი, სახალხო პარტია, სოციალისტური პარტია, მოქალაქეთა კავშირი, ლემი, სპორტული საქართველო, ეროვნულ-დემოკრატიული, მწვანეთა და ლეიბორისტთა პარტიები არჩევნებში დამოუკიდებლად მიიღებენ მონაწილეობას.



**II ნაწილში მოცემულია ინფორმაცია ყველა დანარჩენი რეგისტრირებული პარტიების შესახებ, რომლებიც არ მონაწილეობენ ადგილობრივ არჩევნებში. ამ ნაწილში პარტიები დალაგებულია სახელწოდებების მიხედვით ანბანურ რიგზე.**

**III ნაწილში მიმოვიხილავთ ქალთა მონაწილებას საქართველოს პოლიტიკურ პარტიებში.**

**და ბოლოს, კიდევ ერთხელ ავღნიშნავთ, რომ ცნობარში შესული ინფორმაცია მოწოდებულია თვით პოლიტიკური პარტიების მიერ.**

# I ნაწილი

## 1. დემოკრატიული აღორძინების კავშირი

*დაარსდა 1992 წ. სახელწოდებით "სრულიად საქართველოს აჭარის აღორძინების კავშირი", 1995 წ. გარდაიქმნა "სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირად". 1998 წლიდან ეწოდება "დემოკრატიული აღორძინების კავშირი".*

*პირველი რეგისტრაცია 1992 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორი ა. აბაშიძე.*

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) - მთავარი საბჭო (ირჩევა 4 წლით,) - თავმჯდომარე-ლიდერი (ირჩევა ყრილობის მიერ 4 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.).*

*თავმჯდომარე-ლიდერი ასლან აბაშიძე (დაბ. 1938 წ.), 1975 წ. დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი, 1984 წ. დაამთავრა თსუ სახალხო მეურნეობის დაგეგმარების ფაკულტეტი. 1962-1965 წწ. მუშაობდა კომკავშირულ სამუშაოზე და ბათუმის მუსიკალური სასწავლებლის ინგლისური ენის მასწავლებლად. 1965-1980 წწ. №44 პროფესიულ-ტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლების დირექტორი. 1981-1984 წწ. ბათუმის საქალაქო კომიტეტის აღმასკომის თავმჯდომარე. 1984-1989 წწ. აჭარის და შემდეგ საქართველოს საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი. 1991 წლიდან აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე. 1991, 1992-1995 წწ. არჩეული იყო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილედ. ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და შვილიშვილი.*

*წევრთა რაოდენობა 80.000-ზე მეტი, პარტიაში 30% ქალია.*

პარტიას აქვს ახალგაზრდული ორგანიზაცია _ დემოკრატიული აღორძინების ახალგაზრდული კავშირი, 1 რესპუბლიკური, 1 სამხარეო, 72 საქალაქო და რაიონული, 400-ზე მეტი პირველადი ორგანიზაცია.

*ბეჭდვითი ორგანო გაზეთი "აღორძინება" და საინფორმაციო სააგენტო "აღორძინება".*



პარტია მონაწილეობდა 1992 წლის საპარლამენტო არჩევნებში.

პარტია მონაწილეობდა 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში და მიიღო ხმათა 7,03%. პარლამენტში წარმოდგენილია 31 დეპუტატით.

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია მხარს უჭერდა ე. შევარდნაძეს.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტი

1. ეკონომიკა ეკონომიკური აღორძინება, საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება, ეროვნული ბიზნესისა და კომერციული საქმიანობის ხელშეწყობა.

*წინასაარჩევნო პროგრამა კავშირი მზად არის ქვეყანაში კონსტიტუციისა და კანონების შესაბამისად მოქმედ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით, აქტიურად ილვაწოს ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ კანონის ცხოვრებაში რეალურად გასატარებლად. წარმოადგენს რა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში უმრავლესობას, მიიღო კანონი ქალაქ ბათუმის მერიისა და რაიონების გამგებლების არჩევითობის შესახებ, რითაც დაიცვა თითოეული მოქალაქის, როგორც ამომრჩევლის უფლებები და ინტერესები.*

- კავშირი ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებში წარმომადგენლების საშუალებით ილვაწებს ქვეყნის სახელმწიფო და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს შორის ფუნქციათა მკაფიო გამიჯვნის მისაღწევად, რათა უზრუნველყოფილ იქნეს თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების სრული დამოუკიდებლობა, რეგიონალურ, საქალაქო და რაიონულ მართვაში დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრება და გაღრმავება.
- კავშირი, როგორც საპარლამენტო პარტია, თავის კანონშემოქმედებით საქმიანობაში დაეყრდნობა თითოეული რეგიონის, ქალაქისა და რაიონის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წინადადებებსა და

მოსაზრებებს, გაითვალისწინებს მათ კანონების შემუშავებისა და მიღების დროს.

- რეგიონების, ქალაქების და რაიონების თავისებურებებიდან გამომდინარე, ქვეყნის ბიუჯეტის ფორმირების დროს, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მათ ინტერესების განუხრელ დაცვას, სოციალური და ეკონომიკური განვითარების სამთავრობო რეგიონალური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას.
- საბაზრო ეკონომიკის პირობებში დაიცავს თითოეული სოციალური ფენის, ხელმოკლე ოჯახების, მრავალშვილიანი დედების, ინვალიდების, სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობის ინტერესებს. მთელ ძალისხმევას მოახმარს კანონების მიღებას სოციალურად დაუცველი ფენების ინტერესებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით უფასო განათლებისა და სამედიცინო მომსახურების დარგში.
- განუხრელად დაიცავს ეროვნული ეკონომიკის აღდგენის უპირველესი საფუძვლის - წვრილი და საშუალო ბიზნესის ინტერესებს, ხელს შეუწყობს მათთვის საგადასახადო შეღავათების გავრცელებას, დაბალპროცენტიანი სესხების გამოყოფას, რეგიონისათვის დამახასიათებელი ტრადიციული რეწვის აღდგენას, წარმოებული პროდუქციის გასაღების ბაზრის ძიებას.
- იზრუნებს საქართველოს რეგიონებისა და რაიონების შემდგომი დაახლოებისა და ინტეგრაციის, ეკონომიკური, კულტურული და სპორტული კავშირების გაღრმავების მისაღწევად, რათა აღდგეს ქვეყნის მხარეებს შორის ისტორიულად დამკვიდრებული, ტრადიციული ურთიერთობები.

პარტიას საარჩევნო სიები წარდგენილი აქვს 296 პროპორციულ ოლქში.

*მისამართი ბათუმი, ნინოშვილის ქ. №5.*

*ტელეფონი ბათუმში - 7 65 00; 7 65 02; თბილისში - 93 43 58; 93 55 47.*



## 3. საქართველოს თავისუფლების პარტია (სთპ)

*დევიზი სამშობლო, რწმენა, თავისუფლება.*

*პოლიტიკური მიმართულება მემარჯვენე.*

*დაარსდა 1990 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1992 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები გ. ტაბიძე, ა. მორჩილაძე, ირ. კეკელიძე, კ. აბდალაძე და სხვ.*

პარტია თავს მიიჩნევს თავისუფლების ლიგის სამართალმემკვიდრედ.

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 2 წელიწადში ერთხელ) - მმართველი საბჭო (ირჩევა 2 წლით, 9-15 წევრი გ. ტაბიძე, ა. მორჩილაძე, ზ. ბაქრაძე, გ. ხმელიძე, დ. ენუქიძე, გ. ერისთავი) - პოლიტიკური მდივანი (ირჩევა 4 წლის ვადით).*

*პოლიტიკური მდივანი დავით ჯორბენაძე (დაბ. 1974 წ.), 1997 წ. დაამთავრა თბილისის სამედიცინო-პედიატრიული ინსტიტუტი. ამჟამად სწავლობს თბილისის ბიზნესისა და მარკეტინგის უმაღლესი სკოლის იურიდიული ფაკულტეტის IV კურსზე.*

*წევრთა რაოდენობა 3.000 (აქედან აქტიურია 700-800). პარტიაში 30% ქალია.*

პარტიას აქვს ახალგაზრდული ორგანიზაცია _ ახალგაზრდული ლიგა (დაარსდა 1997 წელს, თავმჯდომარე გ. ვაშაკიძე), 8 რეგიონალური და 30 რაიონული ორგანიზაცია.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა მონეტარიზმი, მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. არ ემხრობა პროტექციონიზმს ეკონომიკაში (დღევანდელ პირობებში). კერძო საკუთრება მიწაზე (ყიდვა-გაყიდვის უფლებით).
2. საგარეო პოლიტიკა მჭიდრო თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ევროკავშირი; ნატო.
3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა ფედერალური (უნდა განისაზღვროს რეფერენდუმით).

4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპარლამენტო.

5. ეროვნებათშორის ურთიერთობანი საქართველოში მცხოვრები ყველა არაქართველი უნდა ემსახურებოდეს (ქართველებთან ერთად) ქართული სახელმწიფოს მშენებლობას და შეჰქონდეს თავისი წვლილი ქვეყნის განვითარებაში.

პარტია თვლის, რომ დღევანდელ ხელისუფლებას მკვეთრად არ დაუფიქსირებია კურსი.

*წინასაარჩევნო პროგრამა პარტიის მიზანია ძლიერი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რომელშიც სრულად იქნება გათვალისწინებული როგორც ჩვენი ერის ისტორიული გამოცდილება და სახელმწიფოებრივი ტრადიციები, ასევე თანამედროვე დემოკრატიის მონაპოვარი. თავისი ამოცანების რეალიზაციისას სთპ იხელმძღვანელებს კონსერვატიული პარტიებისათვის დამახასიათებელი ტაქტიკით, რომლისთვისაც უცხოა რადიკალიზმი და მკვეთრი, ხშირ შემთხვევაში ურთიერთსაწინააღმდეგო პოლიტიკური ნაბიჯები.*

პარტიას საარჩევნო სიები წარდგენილი აქვს 191 პროპორციულ ოლქში.

*მისამართი თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50.*

*ტელეფონი 96 75 46; 94 06 68. ფაქსი 96 75 46.*

## 4. ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი (ქტკ)

*დევიზი საქართველო უწინარეს ყოვლისა.*

*პოლიტიკური მიმართულება კონსერვატიული.*

*დაარსდა 1942 წ. ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტთა ერთი ნაწილის მიერ; აღდგა 1990 წლის ზაფხულში.*

*პირველი რეგისტრაცია 1992 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები 1942 წ. ირაკლი ბაგრატიონი, შალვა ამირეჯიბი, ზურაბ ავალიშვილი, სპირიდონ კედია, გრიგოლ რობაქიძე და სხვ.; 1990 წ. აკაკი ასათიანი, გუბაზ სანიკიძე, ლევან ახმეტელი, გაიოზ კორძაძე და სხვ.*

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 2 წელიწადში ერთხელ) - ცენტრალური ბიურო (ირჩევა 2*



*წლით, 7 წევრი ა. ასათიანი, გ. სანიკიძე, გ. კორძაძე, ნ. სანებლიძე, შ. ხომერიკი, მ. ნადირაძე, გ. შარაბიძე) - თავმჯდომარე (ირჩევა ყრილობის მიერ 2 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1997 წ.).*

*თავმჯდომარე აკაკი ასათიანი (დაბ. 1953 წ.), ქართველი, აღმოსავლეთმცოდნე. 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან აქტიურად ჩაება ეროვნულ მოძრაობაში. 1990 წლის ნოემბრიდან საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, 1991 წ. აპრილიდან _ თავმჯდომარე. 1992-1995 წწ. ტრადიციონალისტთა ოპოზიციური ფრაქციის ლიდერი (9 კაცი). ამჟამად მემარჯვენე ოპოზიციური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი.*

*წევრთა რაოდენობა რამდენიმე ათასი (აქედან აქტიურია 2.000). პარტიაში 15% ქალია.*

პარტიას აქვს ახალგაზრდული ორგანიზაცია _ ახალგაზრდა ტრადიციონალისტთა კავშირი (შეიქმნა 1995 წლის 29 აპრილს, 3.000 წევრი); რეგიონალური ორგანიზაციები ყველა რეგიონში და რაიონული ორგანიზაციები რაიონთა უმეტესობაში.

*ბეჭდვითი ორგანო გაზეთი "ქართველი ერი" (გამოდის 1990 წლიდან).*

პარტია მონაწილეობდა 1990 წლის საპარლამენტო არჩევნებში (ბლოკი "მრგვალი მაგიდა _ თავისუფალი საქართველო", მიიღო ხმათა 54%, პარლამენტში ჰყავდა 22 დეპუტატი 14 პარტიული სიით და 8 მაჟორიტარი).

პარტია მონაწილეობდა 1992 წლის საპარლამენტო არჩევნებში (დამოუკიდებლად, მიიღო ხმათა 6%, პარლამენტში ჰყავდა 9 დეპუტატი 7 პარტიული სიით და 2 მაჟორიტარი).

1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობდა დამოუკიდებლად, მიიღო ხმათა 4,3%, ამჟამად პარლამენტში წარმოდგენილია 4 მაჟორიტარი დეპუტატით).

*წინასაარჩევნო საპროგრამო პრიორიტეტები 1995 წლის არჩევნებისას სამართლებრივი სახელმწიფო, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა, ტერიტორიული პრობლემის მოგვარება, ადამიანის უფლებების დაცვა.*

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია მხარს არ უჭერდა არცერთ კანდიდატს.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა კერძო საკუთრება, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა, წვრილი და საშუალო ბიზნესისათვის ხელის შეწყობა. მიწაზე კერძო საკუთრება ყიდვა-გაყიდვის უფლებით.

2. საგარეო პოლიტიკა მშვიდობიანი თანაარსებობა მეზობლებთან. უცხო ქვეყნების სამხედრო ბაზირებაზე უარის თქმა. მჭიდრო ურთიერთობა ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსთან.

3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა საქართველოს ისტორიულ, გეოგრაფიულ და ეკონომიკურ ფაქტორებზე დაფუძნებული რეგიონალიზაცია.

4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპარლამენტო მონარქია.

5. ეროვნებათშორის ურთიერთობანი ყველა ეთნიკური ჯგუფის გარანტირებული კულტურული ავტონომია.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

*წინასაარჩევნო პროგრამა 1. ხელის შეწყობა კერძო ბიზნესისათვის; 2. მიწის რეფორმა; 3. ბრძოლა კორუფციასთან; 4. სოციალური პროგრამების განხორციელება (განათლება, ჯანდაცვა, სოცუზრუნველყოფა და სხვ). ადგილობრივი თავისთავადობის (სპეციფიკის) შენარჩუნება. ადგილობრივი ორგანოების საქმიანობის სრული გამჭვირვალობა (ღიაობა).*

პარტიას საარჩევნო სიები წარდგენილი აქვს 309 პროპორციულ ოლქში.

*მისამართი თბილისი, ვირსალაძის ქ. №10.*

*ტელეფონი 98 39 55; 98 79 59. ფაქსი 98 79 59.*

## 5. სახალხო პარტია

*დევიზი სახალხო პარტია _ ხალხით და ხალხისათვის.*

*პოლიტიკური მიმართულება მემარჯვენე ცენტრისტული, ქრისტიან-დემოკრატიული.*



*დაარსდა 1917 წ. შეიქმნა ედპ-ს ორად გაყოფის შედეგად _ ედპ-ს რიგებიდან გამოსული დეპუტატების მიერ შექმნილი ფრაქცია "სახალხო ეროვნულ-დემოკრატის" და მანამდე არსებული "საქართველოს სახალხო პარტიის" (დაფუძნებული 1990 წელს) გაერთიანების შედეგად 1997 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1992 წ.; მეორე რეგისტრაცია 1997 წ.; ბოლო რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები ს. კედია (1917 წ.), გ. ჭანტურია, მ. გიორგაძე (1981 წ.).*

პარტია თავს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სამართალმემკვიდრედ თვლის.

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ _ საპარლამენტო არჩევნების წინ) - მთავარი კომიტეტი (ირჩევა 4 წლით, 21 წევრი) - მთავარი კომიტეტის პრეზიდიუმი (მ. გიორგაძე, გ. კობახიძე, გ. გოგნიაშვილი, გ. ჩახვაძე, მ. ჯიბუტი, თ. შარმანაშვილი, ვ. ხუხუნაიშვილი) - თავმჯდომარე (ირჩევა ყრილობის მიერ 4 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.).*

*თავმჯდომარე მამუკა (ივანე) გიორგაძე (დაბ. 1961 წ. ჩოხატაურში), 1987 წ. დაამთავრა სპი. 1990-1992 წწ. ეროვნული კონგრესის წევრი; 1992 წ. სახელმწიფო საბჭოს სამხედრო კომისიის თავმჯდომარე. 1981 წლიდან ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური მდივანი. 1992 წლიდან პარლამენტის წევრი. საქართველოს პარლამენტის ბიუროს წევრი. მისამართი წერეთლის პრ. №48, ტელ.: 95 69 25; 35 11 04.*

*წევრთა რაოდენობა 7.000 (აქედან აქტიურია 4.000); პარტიაში 25% ქალია.*

პარტიას აქვს ახალგაზრდული ორგანიზაცია _ ახალგაზრდული სახალხო მოძრაობა, 8 რეგიონალური ორგანიზაცია და რაიონული ორგანიზაციები თითქმის ყველა რაიონში.

*ბეჭდვითი ორგანო პარტიის პრესსამსახურის ბიულეტენი "სახალხო პარტია".*

პარტია მონაწილეობდა 1992 წლის საპარლამენტო არჩევნებში, პარლამენტში წარმოდგენილი იყო 17 დეპუტატით (პარტიული სიით 12, და 5 მაჟორიტარი).

1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში პარტიამ მიიღო ხმათა 7% და პარლამენტში ჰყავს 23 დეპუტატი (21 პარტიული სიით და 2 მაჟორიტარი)

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია მხარს არ უჭერდა არცერთ კანდიდატს.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა ეკონომიკურ ეფექტიანობასა და სოციალურ სამართლიანობაზე დაფუძნებული საბაზრო ეკონომიკა. მიწაზე კერძო საკუთრება შესაბამისი საფინანსო, საკრედიტო და მომსახურების ინფრასტრუქტურით.

2. საგარეო პოლიტიკა ევროპული ორიენტაცია.

3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა სამხარეო, ორი ავტონომიური რესპუბლიკის შენარჩუნებით.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

*წინასაარჩევნო პროგრამა ცხოვრების ღირსეული პირობების შექმნა. სახალხო პარტია წინააღმდეგია მთლიანი ეროვნული სხეულიდან განსაკუთრებული უფლების, უპირატესობის, პრივილეგიების მქონე ერთი კაცის და მისგან ხელდასხმული ჯგუფების (სხვადასხვა ე. წ. პარტიებისა თუ მაფიოზური კლანების) გამოყოფისა და ქვეყნის მათ საკუთრებად გამოცხადებისა. უნდა მოხდეს დანაშაულებრივი რეჟიმის მმართველობის მეთოდების და ამ რეჟიმის განტკიცების მონაწილეთა ჩანაცვლება ეროვნულ-პოლიტიკური ძალებით, რომელთა შორის გამოკვეთილი ლიდერია _ სახალხო პარტია.*

სახალხო პარტია იბრძოლებს, რომ

- არ არსებობდეს დასაქმებულთათვის თუ უმუშევართათვის ხელფასის, პენსიის, დახმარების _ მოქალაქის ღირსეული ცხოვრების პრობლემა;
- მოსახლეობამ თვითონვე აირჩიოს თავისი გამგებლები და მერები;
- მოსახლეობამ მიიღოს მონაწილეობა იმ მოხელეთა შერჩევაში, რომლებიც მისი ქალაქებისა და რაიონების ხელისუფლებაში ყოფნას იმსახურებენ;



- აღიკვეთოს სამხარეო ადმინისტრაციათა უკონტროლო თარეში;
- მოსახლეობამ თვითონ განსაზღვროთ თავისი, თავისი შვილებისა და ოჯახის მომავალი.

პარტიას საარჩევნო სიები წარდგენილი აქვს 276 პროპორციულ ოლქში.

*მისამართი თბილისი, რუსთაველის პრ. №8.*

*ტელეფონი 99 79 46; 93 66 80; 92 12 90. ფაქსი 98 57 89.*

E-mail: ndfci@parliament.ge; pppress@parliament.ge

## 6. საქართველოს მოქალაქეთა კავშირი (სმკ)

*პოლიტიკური მიმართულება მემარცხენე ცენტრისტული.*

*დაარსდა 1993 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1994 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები "ერთობა და კეთილდღეობა", "მწვანეთა მოძრაობა" და "საზოგადოება თბილისელი".*

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 2 წელიწადში ერთხელ) - მთავარი საბჭო (ირჩევა 2 წლით ყრილობის მიერ 33 წევრი რ. ადამია, რ. ამაშუკელი, ე. ასტემიროვა, გ. ბარამიძე, მ. გიგინეიშვილი, რ. დოლიძე, ე. თევდორაძე, გ. თევზაძე, ნ. ლეკიშვილი, ვ. ლორთქიფანიძე, ლ. მამალაძე, გ. მურადიანი, ვ. მუსტაფაევი, ი. ნოვრუზოვი, დ. ონოფრიშვილი, ზ. ქვანია, მ. სააკაშვილი, ჯ. სვანიძე, გ. ქათამაძე, ვ. ქარსელაძე, ს. ქეცბა, ლ. ღოღობერიძე, ე. შენგელაია, ბ. შოშიტაიშვილი, გ. შულაროვი, ი. ჩხარტიშვილი, ი. ჭელიძე, მ. ჭკუასელი, რ. ხეცურიანი, რ. ხუროძე, ო. ჯაფარიძე, რ. მიმინოშვილი + კავშირის თავმჯდომარე „ე. შევარდნაძე„, გენერალური მდივანი „მ. მაჭავარიანი„, სათათბიროს სპიკერი „გ. თევზაძე„, ახალგაზრდული კავშირის თავმჯდომარე „დავით ტყეშელაშვილი„ + წესდების მიხედვით საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე „მ. სააკაშვილი„ და საპარლამენტო უმრავლესობის*

*თავმჯდომარე თუ ის კავშირის წევრია) - თავმჯდომარე (ირჩევა ყრილობის მიერ 2 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.).*

*თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე (დაბ. 1928 წ.), ისტორიკოსი; 1946 წლიდან სხვადასხვა კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოზე; 1957 წლიდან საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი; 1961-1962 წწ. კომპარტიის მცხეთის რაიკომის პირველი მდივანი; 1963-1964 წწ. კომპარტიის თბილისის პირველი მაისის რაიკომის პირველი მდივანი; 1964-1965 წწ. საქართველოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე; 1965-1972 წწ. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი; 1972 წლიდან ჯერ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი; 1985-1990 წწ. სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრი; 1992 წ. მარტიდან საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე; 1992 წ. ოქტომბრიდან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე - სახელმწიფოს მეთაური, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი; 1995 წ. 14 ნოემბრიდან საქართველოს პრეზიდენტი. ბოსტონის, ჰარვარდის, ატლანტის, ლოს-ანჯელესის, პროვიდენსის (აშშ), ტრიესტის (იტალია) უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი. ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და შვილიშვილები.*

*წევრთა რაოდენობა 81.320 (აქედან აქტიურია 9.900-მდე) პარტიაში 28.160 ქალია.*

პარტიას აქვს ახალგაზრდული ორგანიზაცია - საქართველოს მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირი (სმაკ); 12 რეგიონული და 81 რაიონული ორგანიზაცია.

*ბეჭდვითი ორგანო გაზეთი "მოქალაქე" (გამოდის 1996 წლიდან).*

პარტია დამკვირვებლის სტატუსით გაერთიანებულია სოციალისტურ ინტერნაციონალში.

პარტია ინდივიდუალურად მონაწილეობდა 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში და მიიღო ხმათა 23,71%. პარლამენტში წარმოდგენილია 106 (პარტიული სიით არჩეული 91, და 15 მაჟორიტარი) დეპუტატით.



*წინასაარჩევნო საპროგრამო პრიორიტეტები 1995 წლის არჩევნებისას სახელმწიფო აღმშენებლობისა და რეფორმების წარმართვისათვის აუცილებელი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა, მიწისა და საწარმოთა პრივატიზება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, კორუფციასთან ბრძოლა, ადამიანის უფლებათა დაცვა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა.*

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია მხარს უჭერდა ე. შევარდნაძეს.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა ლიბერალური საგადასახადო სისტემა, მეწარმეობის ხელშეწყობა, მიწაზე კერძო საკუთრება, აქტიური დასაქმების პოლიტიკა.

2. საგარეო პოლიტიკა ინტეგრაცია ევროპის სტრუქტურებში, რეგიონალური თანამშრომლობა, კეთილმეზობლური პარტნიორული ურთიერთობა ყველა მეზობელ ქვეყანასთან, ეკონომიკის პრიორიტეტულობა საგარეო ურთიერთობებში, უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიების შექმნა, აქტიური მონაწილეობა ნატოს პროგრამაში "პარტნიორობა მშვიდობისათვის".

3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა სამხარეო მოწყობა, ავტონომიების ფართო უფლებები, უფლებების მაქსიმალური დელეგირება ცენტრიდან ადგილებზე.

4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობა, სრულფასოვანი ფართო უფლებების მქონე პარლამენტი, დამოუკიდებელი სასამართლოები.

5. ეროვნებათშორის ურთიერთობანი ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობა მიუხედავად რასის, ეროვნებისა და რელიგიური აღმსარებლობისა.

პარტია მხარს უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

*წინასაარჩევნო პროგრამა საგადასახადო კანონმდებლობის ლიბერალიზაცია, საბიუჯეტო შემოსავლების სტაბილიზაცია, კორუფციის დაძლევა, ეკონომიკის სტრატეგიული დარგების განვითარება, სოციალური დაცვის*

*ახალი სისტემების შექმნა, სრულფასოვანი თვით-მმართველობის ჩამოყალიბება.*

პარტიას საარჩევნო სიები წარდგენილი აქვს 365 პრო-პორციულ ოლქში.

*მისამართი თბილისი, მარშალ გელოვანის ქ. №4ა.*

*ტელეფონი 95 98 25; 95 05 14. ფაქსი 95 83 25; 95 91 46.*

E-mail: cug@access.sanet.ge

## 7. საქართველოს სოციალისტური პარტია (სსპ)

*პოლიტიკური მიმართულება მემარცხენე ცენტრისტული.*

*დაარსდა 1995 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1995 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორი ვ. რჩეულიშვილი.*

*ორგანიზაციული სტრუქტურა კონგრესი (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) - მთავარი კომიტეტი (ირჩევა 4 წლით, 45 წევრი) - სამდივნო (ი. ჩიხრაძე, თ. მეჭიაური, თ. ჯგუშია, მ. დევდარიანი, გ. ონიანი, ი. მინდელი, გ. მჭედლიშვილი, გ. ხაჭაპურიძე, გ. გურგენიძე, ქ. ქორდიანია) - თავმჯდომარე (ირჩევა კონგრესის მიერ 4 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1995 წ.).*

*თავმჯდომარე ვახტანგ რჩეულიშვილი (დაბ. 1954 წ.), ფიზიკოსი. 1985-1987 წწ. მეცნიერებათა აკადემიის საინ-ფორმაციო ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი. 1987-1992 წწ. მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. 1992-1995 წწ. საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე. მისამართი ბოცვაძის ქ. №14, ტელ.: 93 91 29.*

*წევრთა რაოდენობა 70.000-მდე (აქედან აქტიურია 10.000-ზე მეტი). პარტიაში 25.000-ზე მეტი ქალია.*

პარტიას აქვს ახალგაზრდული ორგანიზაცია _ საქარ-თველოს ახალგაზრდა სოციალისტთა კავშირი (7.000-მდე წევრი), 10 რეგიონალური (+ თბილისის), 59 რაიონული და 6 საქალაქო ორგანიზაცია.



პარტია ინდივიდუალურად მონაწილეობდა 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში და მიიღო ხმათა 3,84%. პარ-ლამენტში წარმოდგენილია 1 პარტიული სიით არჩეული და 6 მაჟორიტარი დეპუტატით, რომლებიც გაერთიანებულნი არიან ფრაქციაში “მაჟორიტარი სოციალისტი”.

*წინასაარჩევნო საპროგრამო პრიორიტეტები 1995 წლის არჩევნებისას დემოკრატიული სოციალიზმი; სოციალურ-საბაზრო ეკონომიკა, მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერა, საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება, საშუალო კლასის შექმნა.*

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია მხარს უჭერდა ე. შევარდნაძეს.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა ზომიერი პროტექციონიზმი, საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება ნეოკეისიანობის ჩარჩოებში, მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერა. მიწაზე კერძო საკუთრება იპოთეკური სტრუქტურების განვი-თარებასთან ერთად; მიწის ფონდზე სახელმწიფო კონტროლი მისი მიზნობრივად გამოყენებისათვის.

2. საგარეო პოლიტიკა მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობა, ევროსტრუქტურებში გაერთიანება, კავკასიური ინტეგრაცია.

3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა მხარეების გაუქმება, ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერება, ავტონომიების შენარჩუნება.

4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა ფრანგული მოდელი ძლიერი პრეზიდენტი _ პარლამენტთან ანგარიშვალდებული ძლიერი პრემიერი.

5. ეროვნებათშორის ურთიერთობანი მთავარი მოქა-ლაქეობაა და არა ეროვნება. ვიცავთ ენობრივი უმცირე-სობების კულტურულ უფლებებს.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

*წინასაარჩევნო პროგრამა ხალხმა ადგილობრივი თვითმმართველობის მეშვეობით უნდა გააკონტროლოს ადგილობრივი ხელისუფლება. ერთად ვებრძოლოთ კორუფციას _ ერთად დავძლიოთ სილატაკე, ადგილობრივ არჩევნებზე გამარჯვება მოგვცემს საშუალებას დავიწყოთ მექრთამეობასთან ბრძოლა. თბილისში არ დავუშვებთ გარეუბნების (გლდანი, ვარკეთილი, თემქა, მუხიანი და სხვ.) "გარლემიზაციას"; ბავშვებში წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა, სკოლა უნდა ამზადებდეს ახალგაზრდებს ცხოვრებისათვის; მისაწვდომი ჯანდაცვის სისტემა.*

პარტიას საარჩევნო სიები წარდგენილი აქვს 328 პროპორციულ ოლქში.

*მისამართი თბილისი, ლესელიძის ქ. №41.*

*ტელეფონი 98 33 67; 92 31 85. ფაქსი 93 27 09; 98 33 67.*

E-mail: spg@access.sanet.ge

## 8. სრულიად საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია "ლემი"

*დევიზი საქართველო უპირველეს ყოვლისა.*

*პოლიტიკური მიმართულება ცენტრისტული.*

*დაარსდა 1990 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1992 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები ა. გასვიანი, დ. ჯაფარიძე, თ. გაზდელიანი, ნ. გულბანი, რ. ნემსაძე, კ. ჯაჭველიანი, დ. არღველიანი, ტ. კვიციანი და სხვ.*

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 2 წელიწადში ერთხელ) - ნაფიცთა საბჭო და მისი პრეზიდიუმი (ირჩევა 2 წლით, 150 წევრი, პრეზიდიუმი _ 35 წევრი დ. ჯაფარიძე, მ. გულბანი, აკ. გასვიანი, ტ. კვიციანი, ბ. ნემსაძე*



*და სხვ.) - თავმჯდომარე (ირჩევა ყრილობის მიერ 2 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1997 წ.).*

*თავმჯდომარე თენგიზ გაზდელიანი (დაბ. 1946 წ.), დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების მინისტრი. ჰყავს მეუღლე, შვილი და სამი შვილიშვილი.*

*წევრთა რაოდენობა 15.000 (აქედან აქტიურია 1.500). პარტიაში 500-ზე მეტი ქალია.*

პარტიას აქვს 7 რეგიონალური და 50 რაიონული ორგანიზაცია.

*ბეჭდვითი ორგანო გაზეთი "ლემი" (გამოდის თვეში ორჯერ, ტირაჟი 1.000).*

1992 წლის საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა ბლოკში "მშვიდობა", რომელმაც მიიღო ხმათა 40%. პარტია პარლამენტში წარმოდგენილი იყო 2 მაჟორიტარი დეპუტატით.

პარტია ინდივიდუალურად მონაწილეობდა 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში და მიიღო ხმათა 1,2%. პარლამენტში წარმოდგენილია 1 მაჟორიტარი დეპუტატით.

*წინასაარჩევნო საპროგრამო პრიორიტეტები 1995 წლის არჩევნებისას ბრძოლა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და ეროვნული და სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებისათვის.*

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია მხარს უჭერდა ე. შევარდნაძეს.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა მაღალმთიანი და საზღვრისპირა რეგიონების დაჩქარებული ეკონომიკური განვითარება. მიწაზე კერძო და საიჯარო ფორმების დანერგვა იმის გათვალისწინებით, რომ საზღვრისპირა ზოლში აიკრძალოს მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემა.

2. საგარეო პოლიტიკა დასავლეთის ქვეყნებთან ღრმა პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაცია და მეზობელ

ქვეყნებთან თანასწორუფლებიანი, კეთილმეზობლური ურთიერთობის შემდგომი განვითარება.

3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა ფედერაცია.

4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპრეზიდენტო მმართველობის ფრანგული მოდელი.

5. ეროვნებათშორის ურთიერთობანი მიუხედავად ეროვნული კუთვნილებისა, საქართველოს ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონდეს თანასწორი უფლებები და მოვალეობები სახელმწიფოს წინაშე.

პარტია ძირითადად მხარს უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს, აქვს განსხვავებული მოსაზრებები შიდა პოლიტიკის სფეროში.

პარტიას საარჩევნო სიები წარდგენილი აქვს 238 პროპორციულ ოლქში.

*მისამართი თბილისი, გამსახურდიას პრ. №33.*

*ტელეფონი 38 00 27; 38 14 77.*

## 9. საარჩევნო ბლოკი "ეროვნული თანხმობა"

ბლოკს საარჩევნო სიები წარდგენილი აქვს 199 პროპორციულ ოლქში.

## საქართველოს სპორტსმენთა კავშირი

*დევიზი ჯანსაღი ერი _ ძლიერი სახელმწიფო.*

*პოლიტიკური მიმართულება ცენტრისტული.*

*დაარსდა 1994 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1994 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები ვეტერანი სპორტსმენები.*

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) - მთავარი კომიტეტი (ირჩევა 4 წლით, 31 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა ყრილობის მიერ 4 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.).*



*თავმჯდომარე ედიშერ მაჩაიძე (დაბ. 1956 წ.), ინჟინერ-მშენებელი, პედაგოგი, ევროპის პირველობის ორგზის პრიზიორი, ყოფილი სსრკ-ს ორგზის პირველობის და ორგზის თასის მფლობელი ჭიდაობაში, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.*

*წევრთა რაოდენობა 10.000 (აქედან აქტიურია 2.500-მდე). პარტიაში 50-მდე ქალია.*

პარტიას აქვს ახალგაზრდული ორგანიზაცია _ სპორტსმენთა ახალგაზრდული კავშირი (შეიქმნა 1998 წელს, 500-მდე წევრი), 6 რეგიონალური და 67 რაიონული ორგანიზაცია.

პარტია მონაწილეობდა 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში საქართველოს რეფორმატორთა კავშირთან ერთად ("ეროვნული თანხმობა") და მიიღო ხმათა 2,78%. პარლამენტში წარმოდგენილია 2 მაჟორიტარი დეპუტატით.

*წინასაარჩევნო საპროგრამო პრიორიტეტები 1995 წლის არჩევნებისას ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ერის კონსოლიდაცია, ერის გაჯანსაღება, დემოკრატიული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი რეფორმების შემუშავება პოლიტიკის, ეკონომიკის, განათლების, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროში.*

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია მხარს უჭერდა ე. შევარდნაძეს.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა ქვეყნის ეროვნული მეურნეობის კონკრეტული კონცეფციის შემუშავება, გარდამავალ ეტაპზე საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის თავისებურებების გათვალისწინებით. მიწაზე კერძო და სახელმწიფო საკუთრების შეხამება ქვეყნის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის შესაბამისად.

2. საგარეო პოლიტიკა კეთილმეგობრული, პარტნიორული ურთიერთობანი მეზობელ და სხვა ქვეყნებთან, მათთან ეკონომიკური, კულტურული ურთიერთობების განმტკიცება.

3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა ტერიტორიული ერთეულების ჩამოყალიბება ქვეყნის ეროვნული მეურნეობის, სოციალური და ეკონომიკური ნიშნების გათვალისწინებით.

4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპრეზიდენტო.

5. ეროვნებათშორის ურთიერთობანი "ეროვნული თანხმობა" გულისხმობს რა ერის გამთლიანებას, მასში იგულისხმება სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები – საქართველოს მოქალაქენი, რომლებიც სარგებლობენ ყველა კონსტიტუციური უფლებით.

პარტია მხარს გარკვეულწილად უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

*წინასაარჩევნო პროგრამა ეროვნული თანხმობა გადაარჩენს საქართველოს, ერი უნდა იყოს ერთიანი, მთლიანი და უნდა ცხოვრობდეს დამოუკიდებელ, გამთლიანებულ საქართველოში. ერი უნდა იყოს ჯანმრთელი, რაც ძლიერი სახელმწიფოს ნიშანია.*

*მისამართი თბილისი, კონსტიტუციის ქ. №6.*
*ტელეფონი 95 30 06; 96 98 79. ფაქსი 95 74 38.*

## საქართველოს რეფორმატორთა კავშირი

ინფორმაცია არ მოგვაწოდა.

## 10. პოლიტიკური გაერთიანება "სპორტული საქართველო"

*პოლიტიკური მიმართულება მემარცხენე ცენტრისტული.*
*დაარსდა 1998 წ.*
*რეგისტრაცია 1998 წ.*
*დაფუძნების ინიციატორები ცნობილი სპორტსმენები რ. რურუა, ზ. ახმეტელი, ო. ქორქია, ნ. ჯორჯიკია, თ. მდინარაძე, ს. ბარქაია, თ. მდინარაძე, გ. საღარაძე და სხვ.*
*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა წელიწადში ერთხელ) - საბჭო (ირჩევა 1 წლით, 25 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა ყრილობის მიერ 1 წლის ვადით).*
*თავმჯდომარე რომან რურუა (დაბ. 1942 წ.), ინჟინერი, ფირმა "ლელოს" პრეზიდენტი, ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი ჭიდაობაში. ჰყავს მეუღლე და შვილი.*



*წევრთა რაოდენობა 5.000 (აქედან აქტიურია 2.500).*

პარლამენტში წარმოდგენილია 1 მაჟორიტარი დეპუტატით.

პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაცია ჩამოყალიბების პროცესშია. აქვს რეგიონალური ორგანიზაციები ყველა რეგიონში და რაიონული ორგანიზაციები რაიონთა 70%-ში.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა საბაზრო ეკონომიკა. მიწაზე შერეული, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო საკუთრება.

2. საგარეო პოლიტიკა კეთილმეზობლური ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან.

3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა რაიონული დაყოფა ავტონომიების გარეშე.

4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა ძლიერი საპრეზიდენტო.

5. ეროვნებათშორის ურთიერთობანი კულტურული ავტონომიები ეროვნული უმცირესობებისათვის.

პარტია მხარს ნაწილობრივ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

*წინასაარჩევნო პროგრამა ქვეყნის ერთიანობა, სოციალური საკითხების გადაწყვეტა, საბაზრო ეკონომიკის განვითარება.*

პარტიას საარჩევნო სიები წარდგენილი აქვს 236 პროპორციულ ოლქში.

*მისამართი თბილისი, ქსანის ქ. № 36.*
*ტელეფონი 61 86 06. ფაქსი 61 86 06.*

## 11. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (ედპ)

*დევიზი სიმართლე ყველგან და ყოველთვის.*
*პოლიტიკური მიმართულება მემარჯვენე.*
*დაარსდა 1917 წ., აღდგა 1981 წ.*
*პირველი რეგისტრაცია 1992 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები გია ჭანტურია, ირაკლი ქადაგიშვილი.*

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 2 წელიწადში ერთხელ) - მთავარი კომიტეტი (ირჩევა 2 წლით, 21 წევრი) - პრეზიდიუმი (7 წევრი ი. სარიშვილი-ჭანტურია, ი. ქადაგიშვილი, რ. საყვარელიძე, უ. ლიპარტია, ო. მელქაძე, ი. ქვაჩახია, გ. ხმელიძე) - თავმჯდომარე (ირჩევა ყრილობის მიერ 2 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.).*

*თავმჯდომარე ირინა სარიშვილი-ჭანტურია (დაბ. 1964 წ.), ფილოლოგი, საქართველოს პარლამენტის წევრი, ფრაქციის "ედპ-ეროვნულ-დემოკრატიული პარტია" თავმჯდომარე. მისამართი თბილისი, ყიფშიძის ქ. №8, ტელ.: 23 39 13.*

*წევრთა რაოდენობა 10.000-მდე (აქედან აქტიურია 4.500-მდე). პარტიაში 12% ქალია.*

პარტიას აქვს ახალგაზრდული ორგანიზაცია _ ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატი (დაარსდა 1993 წელს, 3.000-მდე წევრი), 11 რეგიონალური და 69 რაიონული ორგანიზაცია.

*ბეჭდვითი ორგანო გაზეთი "ქართული ქრონიკა", ჟურნალი "მოამბე".*

პარტია ქრისტიან-დემოკრატიული ინტერნაციონალის სრულუფლებიანი წევრია.

1992 წლის საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა და მიიღო ხმათა 20-22%, პარლამენტში წარმოდგენილი იყო 14 წევრით (11 პარტიული სიით და 3 მაჟორიტარი).

1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობდა და მიიღო ხმათა 7,97%, პარლამენტში წარმოდგენილია 12 წევრით (10 პარტიული სიით და 2 მაჟორიტარი), რომლებიც გაერთიანებულნი არიან ფრაქციაში "ედპ-ეროვნულ-დემოკრატიული პარტია".

*წინასაარჩევნო საპროგრამო პრიორიტეტები 1995 წლის არჩევნებისას სიმართლე ყველგან და ყოველთვის. კეთილდღეობა ყოველ ქართულ ოჯახს.*

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია მხარს არ უჭერდა არცერთ კანდიდატს.



ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა, მიწაზე კერძო საკუთრება.
2. საგარეო პოლიტიკა დასავლური ორიენტაცია.
3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა უნიტარული.
4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა კონსტიტუციური მონარქია.
5. ეროვნებათშორის ურთიერთობანი კულტურული ავტონომია.

დღევანდელი ხელისუფლების კურსს პარტია მხარს არ უჭერს საშინაო პოლიტიკაში, ხოლო საგარეო პოლიტიკაში _ ნაწილობრივ.

*წინასაარჩევნო პროგრამა არჩევითი მერები და გამგებლები, კერძო საკუთრება მიწაზე, საპენსიო უზრუნველყოფა.*

პარტიას საარჩევნო სიები წარდგენილი აქვს 295 პროპორციულ ოლქში.

*მისამართი თბილისი, რუსთაველის პრ. №21.*

*ტელეფონი 98 35 36; 98 88 12; 98 31 86. ფაქსი 93 19 78; 92 12 67.*

## 12. საქართველოს მწვანეთა პარტია (სმპ)

*დევიზი ეკოლოგია, დემოკრატია, არაძალადობა.*

*პოლიტიკური მიმართულება მემარცხენე ცენტრისტული.*

*დაარსდა 1990 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1992 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები ზ. ჟვანია, რ. ხუნწარია, გ. ბარამიძე, მ. ბიწაძე.*

*ორგანიზაციული სტრუქტურა კონგრესი (მოიწვევა 3 წელიწადში ერთხელ) - პოლიტიკური კომიტეტი (ირჩევა 3 წლით, 7 წევრი გ. გაჩეჩილაძე, ნ. ჩხობაძე, ა. გელაძე, გ. გიგინეიშვილი, ი. ქარცივაძე, ნ. კირვალიძე, ზ. მგალობლიშვილი) - თავმჯდომარე (ირჩევა სმპ კონგრესის მიერ 3 წლით, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.).*

*თავმჯდომარე გიორგი გაჩეჩილაძე, დაიბადა 1954 წ. გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; საქართველოს პარლამენტის ორი არჩევის წევრი, საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.*

*წევრთა რაოდენობა 2.000 (აქედან აქტიურია 450), პარტიაში 730 ქალია.*

პარტიას აქვს 7 რეგიონალური და 52 რაიონული ორგანიზაცია.

*ბეჭდვითი ორგანო გაზეთი "დედამიწა" (დაფუძნებულია 1991 წ., უსახსრობის გამო ამჟამად ვერ გამოდის).*

პარტია გაერთიანებულია ევროპის მწვანეთა პარტიების ფედერაციაში.

პარტია ბლოკში "თავისუფლება" კენჭს იყრიდა 1990 წლის არჩევნებში, პარლამენტში წარმომადგენელი არ ჰყოლია.

პარტია ინდივიდუალურად მონაწილეობდა 1992 წლის არჩევნებში, მოაგროვა ხმათა 9% და პარლამენტში ჰყავდა 12 წარმომადგენელი (11 პარტიული და 1 მაჟორიტარული სიით).

1995 წლის არჩევნებში პარტია "მოქალაქეთა კავშირთან" ერთად იყრიდა კენჭს და პარლამენტში ჰყავს 4 წარმომადგენელი (ოთხივე პარტიული სიით). დეპუტატები გაერთიანებულნი არიან ფრაქციაში "მოქალაქეთა კავშირი".

*წინასაარჩევნო საპროგრამო პრიორიტეტები 1995 წლის არჩევნებისას გარემოს დაცვა, დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბება.*

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში პარტია მხარს უჭერდა ე. შევარდნაძეს.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა მდგრადი განვითარების პრინციპებზე დამყარებული ეკოლოგიურად სუფთა წარმოებისა და სოფლის მეურნეობის განვითარება. მიწის კერძო საკუთრებაში მთლიანი გადაცემა.
2. საგარეო პოლიტიკა ევროგაერთიანებაში ინტეგრაცია.
3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა რეგიონალური.



4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპარლამენტო.
5. ეროვნებათშორის ურთიერთობათა საკითხში ტოლერანტობის პრინციპი თანასწორუფლებიანობა საქართველოს ყველა მოქალაქეს შორის.

პარტია ნაწილობრივ უჭერს მხარს დღევანდელ ხელისუფლებას.

აღმასრულებელ ხელისუფლებაში პარტიას ჰყავს წარმომადგენლები გარემოს დაცვის მინისტრი და მოადგილე; ქუთაისის ვიცე-მერი.

პარტია რეგისტრირებულია ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

*წინასაარჩევნო პროგრამა გარემოს დაცვის პრიორიტეტების ჩამოყალიბება სახელმწიფოში; სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება; მოსახლეობის ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა.*

*მისამართი თბილისი, დავით აღმაშენებლის პრ. №182, "მუშთაიდი".*

პარტიას საარჩევნო სიები წარდგენილი აქვს 244 პროპორციულ ოლქში.

*ტელეფონი 95 20 33. ფაქსი 35 16 74.*

E-mail: gagreens@ggreens.org.ge

## 13. საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია; (ლსპ); ლეიბორისტები

*პოლიტიკური მიმართულება მემარცხენე ცენტრისტული.*

*დაარსდა 1995 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1995 წ. ხელახალი რეგისტრაციები 1996 წ.; 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები შ. ნათელაშვილი, თ. ობგაძე, ც. ალბუთაშვილი, მ. მდივანი, ვ. ხიდაშელი, თ. ძაგანია.*

პარტია სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი გაერთიანების სამართალმემკვიდრეა.

*ორგანიზაციული სტრუქტურა კონფერენცია (მოიწვევა 2 წელიწადში ერთხელ) - პოლიტიკური აღმასკომი (ირჩევა 2*

*წლით, 25 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა კონფერენციის მიერ 2 წლის ვადით).*

*თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილი (დაბ. 1957 წ. ფასანაურში), იურისტი. მოსკოვში დაამთავრა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური აკადემიის ასპირანტურა. 1992-1995 წწ. საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომისიის თავმჯდომარე. იურისტთა მსოფლიო ორგანიზაციის წევრი.*

პარტიას აქვს ახალგაზრდული ორგანიზაცია _ საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტიის ახალგაზრდული ფრაქცია, რეგიონალური ორგანიზაციები ყველა რეგიონში და რაიონული ორგანიზაციები ყველა რაიონში.

პარტია ინდივიდუალურად მონაწილეობდა 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში. პარლამენტში წარმოდგენილია 8 მაჟორიტარი დეპუტატით.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა დინამიკური და დაბალანსებული ეკონომიკა, რომელიც პირველ რიგში ხალხის და, შესაბამისად, სახელმწიფოს ინტერესებს ემსახურება. მიწის არა გაყიდვა, არამედ სახელმწიფოს მიერ ნამატი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სავალდებულო შესყიდვა გლეხობისაგან.

2. საგარეო პოლიტიკა საქართველოსათვის მშვიდობიანი სივრცის უზრუნველყოფა, მშვიდობიანი კურსი მსოფლიო ასპარეზზე; სახელმწიფოებრივი ნეიტრალიტეტი.

3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა ფედერალური.

4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპრეზიდენტო.

5. ეროვნებათშორის ურთიერთობანი საქართველო წარმოგვიდგება დემოკრატიულ და სოციალურად დაცულ საზოგადოებად, რომლის სიძლიერეც განისაზღვრება საქართველოში მცხოვრები ყველა მოქალაქის (მიუხედავად ეროვნებისა) მიმართ სამართლიანი და თანაბარი მიდგომით.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

*წინასაარჩევნო პროგრამა ქვეყნის გამოყვანა ღრმა სახელმწიფო-პოლიტიკური კრიზისიდან, ეკონომიკის ამუშავება, ფართო გზა ეროვნულ მეწარმეობასა და ბიზნესს.*



*სახელმწიფო მონოპოლია ელექტროენერგიის, ნავთობის და ნავთობპროდუქტების, სპირტიანი სასმელების ექსპორტ-იმპორტზე. თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა, საშუალო და წვრილი ბიზნესის განთავისუფლება კაბალური გადასახადებისაგან, უმუშევრობასთან ბრძოლა. სახელმწიფოს მიერ ზრუნვა ჯანდაცვაზე. პენსიონერთა, დევნილთა, უხელფასოთა პრობლემებზე ზრუნვა. სახელმწიფოს მიერ მოტყუებულ მეანაბრეთა დაკმაყოფილება.*

პარტიას საარჩევნო სიები წარდგენილი აქვს 267 პროპორციულ ოლქში.

*მისამართი თბილისი, ჯავახიშვილის ქ. №88.*
*ტელეფონი 99 93 79. ფაქსი 99 62 13.*

## 14. საარჩევნო ბლოკი "საქართველო _ მერაბ კოსტავას საზოგადოება"

ბლოკს საარჩევნო სიები წარდგენილი აქვს 270 პროპორციულ ოლქში.

## საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია (სგრპ)

*პოლიტიკური მიმართულება ცენტრისტული, მემარჯვენე ტენდენციით, ეროვნული ინტერესების პრიორიტეტით.*

*დაარსდა 1994 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1995 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები საქართველოს სახალხო ფრონტი, რესპუბლიკური პარტია, ქარტია _ 91.*

პარტია საქართველოს სახალხო ფრონტის, რესპუბლიკური პარტიისა და ქარტია _ 91-ის სამართალმემკვიდრეა.

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა წელიწადში ერთხელ მაინც, მაგრამ არანაკლებ 4 წელიწადში ერთხელ) - დარბაზი (მოიწვევა ყრილობებს შორის) - ეროვნული კომიტეტი (ირჩევა ყრილობიდან ყრილობამდე, წესდებით 11, ამჟამად კი 10 წევრი ნ. ნათაძე, შ.*

*ნადირაშვილი, ა. დოლიძე, რ. დუნდუა, გ. სორდია, ზ. მამულაშვილი, ს. ცხადაძე, ფ. ასლანიკაშვილი, ე. ჩხაიძე, ტ. ბერიანიძე) - თავმჯდომარე (ირჩევა ეროვნული კომიტეტის მიერ ეროვნული კომიტეტის არჩევის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1997 წლის 3 მაისს).*

*თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე (დაბ. 1929 წ.), ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ფილოსოფიის ინსტიტუტის ფილოსოფიური მემკვიდრეობის სექციის გამგე. მისამართი ფანასკერტელის ქ. კორპ. №16 ბ. 57. ტელ.: 38 16 32.*

*წევრთა რაოდენობა 5.000 (აქედან აქტიურია 500).*

პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაცია დაარსების პროცესშია. აქვს 40 რაიონული ორგანიზაცია.

*ბეჭდვითი ორგანო გაზეთი "საქართველო" (დაფუძნდა 1989 წ. პერიოდულობა და ტირაჟი ცვალებადია).*

პარტია "საქართველოს სახალხო ფრონტის" სახელით ინდივიდუალურად მონაწილეობდა 1990 წლის არჩევნებში და ვერ გადალახა დაწესებული ბარიერი. პარლამენტში წარმოდგენილი იყო 12 მაჟორიტარი დეპუტატით.

პარტია მონაწილეობდა 1992 წლის საპარლამენტო არჩევნებში (ბლოკი "11 ოქტომბერი" _ საქართველოს სახალხო ფრონტი, რესპუბლიკური პარტია, დასი, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი). პარლამენტში წარმოდგენილი იყო პარტიული სიით არჩეული 23 დეპუტატით.

პარტია ინდივიდუალურად, "რესპუბლიკელების" სახელით მონაწილეობდა 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში და ბარიერი ვერ გადალახა. პარლამენტში წარმოდგენილია 1 მაჟორიტარი დეპუტატით.

*წინასაარჩევნო საპროგრამო პრიორიტეტები 1995 წლის არჩევნებისას აფხაზეთისა და ცხინვალის ზონაში იურისდიქციის აღდგენა, დსთ-დან გამოსვლა, რუსეთის ჯარების გაყვანა საქართველოდან, კორუფციის დათრგუნვა, დასავლური ორიენტაცია, თავისუფალი ეკონომიკა აქტიური საბაჟო და საგადასახადო რეგულირებითურთ.*

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია მხარს უჭერდა ა. ბაქრაძეს.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები



1. ეკონომიკა თავისუფალი ინიციატივის პრინციპი. პროცესთა აქტიური რეგულირება. ინფრასტრუქტურების მიზანმიმართული მშენებლობა. არასაქართველოს მოქალაქეზე მიწის გაყიდვის არდაშვება, მიწის ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის პროცესთა რაციონალური რეგულირება საქართველოს სტრატეგიული ინტერესების გათვალისწინებით.

2. საგარეო პოლიტიკა აქტიური ნეიტრალიტეტი, სამხედრო ბლოკში შესვლის აუცილებლობის შემთხვევაში მხოლოდ ნატოში გაწევრიანება; აღმოსავლეთის ქვეყნებთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირის დამყარება (ინდოეთისა და ჩინეთის ჩათვლით).

3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა საქართველოს მთლიანი ფედერალიზაცია დაუშვებელია, ასიმეტრია დასაშვებია, ყველა ადგილობრივი პრობლემა უნდა წყდებოდეს ადგილობრივი ვითარების შესაბამისად; "ოსეთის" შექმნა დაუშვებელია, აფხაზეთში საორიენტაციო ავტონომია.

4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპარლამენტო რესპუბლიკა.

5. ეროვნებათაშორის ურთიერთობანი ყველა ეროვნული უმცირესობისათვის, გარდა აფსუებისა, რომელთა ეროვნული ინტერესების რეალიზაცია ტერიტორიული ავტონომიის გზით ხორციელდება, ფუნქციური (კულტურული და სხვ.) ავტონომია.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

*წინასაარჩევნო პროგრამა ბიუჯეტისა და სხვა სახსრების პატიოსანი განკარგვა. სოფლად _ ძირითადი ადგილობრივი პროდუქტების გარანტირებული შესყიდვის ორგანიზაცია სახელმწიფოს მიერ, საწვავ-საპოხით, ქიმიკატებით და სხვა აუცილებელი მასალებით მომარაგების ორგანიზაცია მაფიების გვერდის ავლით. სპეციფიკური ადგილობრივი პრობლემების მოგვარება.*

*მისამართი თბილისი, პუშკინის ქ. №5.*
*ტელეფონი 93 19 93; 93 15 89.*

## ილია ჭავჭავაძის საზოგადოება

*პოლიტიკური მიმართულება მემარჯვენე-ცენტრისტული.*

*დაარსდა 1987 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1992 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები გ. ჭანტურია, მ. ქურდიანი, გ. მამულია, ც. არდაშელია, თ. ჩხეიძე, ზ. ჭავჭავაძე.*

*ორგანიზაციული სტრუქტურა დარბაზი (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) - გამგეობა (ირჩევა 4 წლით, 7, ამჟამად 6 წევრი თ. ჩხეიძე, რ. კუპრავა, მ. პატარაია, ჯ. ლატარია, ნ. ჩიგოგიძე).*

პარტიას არ ჰყავს თავმჯდომარე, მას მართავს გამგეობა.

*წევრთა რაოდენობა 2.000-მდე (აქედან აქტიურია 100-მდე). პარტიაში 800-მდე ქალია.*

პარტიას აქვს 15 რეგიონალური ორგანიზაცია.

*ბეჭდვითი ორგანო გაზეთი "ივერია" (დაარსდა 1989 წლის 20 თებერვალს, უსახსრობის გამო დროებით შეჩერებულია).*

პარტია მონაწილეობდა 1990 წლის საპარლამენტო არჩევნებში (ბლოკში "ივ. ჯავახიშვილის საზოგადოება", "არჩილ ჯორჯაძის საზოგადოება", "დემოგრაფიული საზოგადოება") და მიიღო ხმათა 2%. პარლამენტში წარმოდგენილი იყო 1 მაჟორიტარი დეპუტატით.

პარტია ინდივიდუალურად მონაწილეობდა 1992 წლის საპარლამენტო არჩევნებში. პარლამენტში წარმოდგენილი იყო სიით არჩეული 7 დეპუტატით.

პარტია ინდივიდუალურად მონაწილეობდა 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში და მიიღო ხმათა 1%. პარლამენტში წარმოდგენილია სიით არჩეული 1 დეპუტატით.

*წინასაარჩევნო საპროგრამო პრიორიტეტები 1995 წლის არჩევნებისას აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონების დაბრუნება; რუსეთის ჯარების გაყვანა; თავისუფალი ეკონომიკა.*

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია მხარს უჭერდა აკაკი ბაქრაძეს.



ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა საბაზრო. მიწაზე კერძო საკუთრება.
2. საგარეო პოლიტიკა დამოუკიდებელი, დასავლეთის ცივილიზაციაზე ორიენტირებული.
3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა უნიტარული, ადგილობრივი თვითმმართველობით.
4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპარლამენტო.
5. ეროვნებათშორის ურთიერთობანი საქართველოს ყოველ მოქალაქეს რეალური თანასწორუფლებიანობა. ნორმალური ურთიერთობა ყველასთან. ავტონომია აფხაზებისათვის.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

*წინასაარჩევნო პროგრამა საქართველოს რეალური დამოუკიდებლობა; ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა; თავისუფალი ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრება; სოციალური პრობლემების უსწრაფესი მოგვარება.*

*მისამართი თბილისი, რუსთაველის პრ. №27,,2.*

*ტელეფონი 99 61 96.*

## მერაბ კოსტავას საზოგადოება

*პოლიტიკური მიმართულება მემარჯვენე კონსერვატორული.*

*დაარსდა 1990 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1990 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები ვ. ადამია, გ. ბერუაშვილი, ჯ. ტატულაშვილი, თ. ბულაშვილი, ზ. სიამაშვილი.*

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 3 წელიწადში ერთხელ) - გამგეობა (ირჩევა 3 წლით, 7 წევრი ვ. ადამია, ნ. კვაჭაძე, ნ. ბახტაძე, დ. კუპრეიშვილი, შ. ქობლიანიძე, დ. ჯაფარიძე, მ. ხუციშვილი) - თავმჯდომარე (ირჩევა ყრილობის მიერ 3 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1995 წ.).*

*თავმჯდომარე ვაჟა ადამია (დაბ. 1950 წ.), ექიმი-სტომატოლოგი, მონაწილეობდა საქართველოში 1987 წლიდან გამართულ ყველა საპროტესტო პოლიტიკურ აქციაში, ქვემო ქართლის (1989 წ.), აფხაზეთის (1989 წ.), შიდა ქართლისა (1989 წ.) და აფხაზეთის (1992 წ.) სამამულო ომებსა და კონფლიქტებში. მისამართი თბილისი, ზანდუკელის ქ. №1, ტელ.: 99 79 52.*

*წევრთა რაოდენობა 2.700 (აქედან აქტიურია 1.200). პარტიაში 368 ქალია.*

პარტიას აქვს 7 რეგიონალური და 43 რაიონული ორგანიზაცია.

*ბეჭდვითი ორგანო გაზეთი "სარანგი" (დაფუძნდა 1990 წლის 2 აპრილს, გამოდის წელიწადში რამდენჯერმე, ტირაჟი 2.000).*

პარტია მონაწილეობდა 1990 წლის საპარლამენტო არჩევნებში (ბლოკში "მრგვალი მაგიდა _ თავისუფალი საქართველო", ჰელსინკის კავშირი, წმიდა ილია მართლის საზოგადოება, ტრადიციონალისთა კავშირი). ბლოკმა მიიღო ხმათა 66% და პარლამენტში წარმოდგენილი იყო 24 დეპუტატით (პარტიული სიით არჩეული 17 და 7 მაჟორიტარი).

პარტია ინდივიდუალურად მონაწილეობდა 1992 წლის საპარლამენტო არჩევნებში და მიიღო ხმათა 3,3%. პარლამენტში წარმოდგენილი იყო 7 დეპუტატით (პარტიული სიით არჩეული 5 და 2 მაჟორიტარი).

პარტია ინდივიდუალურად მონაწილეობდა 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში და მიიღო ხმათა 2,34%. პარლამენტში წარმოდგენილია 1 მაჟორიტარი დეპუტატით.

*წინასაარჩევნო საპროგრამო პრიორიტეტები 1995 წლის არჩევნებისას საქართველოს დსთ-დან გამოსვლა, საქართველოს სრული და უპირობო დეოკუპაცია, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიის გაუქმება. საქართველოზე დიდი ნავთობის ტრანზიტის მხარდაჭერა.*

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია მხარს არ უჭერდა არცერთ კანდიდატს.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები



1. ეკონომიკა საბაზრო, საქართველოს სატრანზიტო ქვეყნად ჩამოყალიბება, პრივატიზების პროცესის სამართლიანად წარმართვა. საქართველოს მოქალაქეებისათვის მიწის თავისუფალი ყიდვა-გაყიდვა და მემკვიდრეობით გადაცემის უფლების უზრუნველყოფა.

2. საგარეო პოლიტიკა მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და კულტურული კავშირის დამყარება აშშ-სთან, ნატოს წევრ ქვეყნებთან და კეთილმეზობლური ურთიერთობა მოსაზღვრე სახელმწიფოებთან.

3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა უნიტარული საკუთრივ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე. მისაღებია ფედერალური პრინციპის განხორციელება ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებთან და კონფედერაციულისა კავკასიის სხვა სახელმწიფოებთან.

4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპრეზიდენტო რესპუბლიკა.

5. ეროვნებათშორის ურთიერთობანი საქართველოს ყოველი მოქალაქე უნდა სარგებლობდეს თანაბარი უფლებებით.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

*წინასაარჩევნო პროგრამა მმართველობითი სისტემის დეცენტრალიზაცია, საკრებულოების მიერ ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების მკაცრი საბიუჯეტო და საკადრო კონტროლი. მიწის სრული რეფორმა და პრივატიზაცია. მოსახლეობის შრომითი დასაქმება. კორუფციასთან ბრძოლა.*

*მისამართი თბილისი, გალაკტიონის ქ. №17.*

*ტელეფონი 98 39 01; 98 39 13. ფაქსი 98 39 14.*

## საქართველოს ღვთისშვილთა კავშირი

*პოლიტიკური მიმართულება თეოდემოკრატიული.*

*დაარსდა 1989 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1992 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები ზ. სიხარულიძე თანამოაზრეების ჯგუფთან ერთად.*

*ორგანიზაციული სტრუქტურა კონფერენცია (მოიწვევა არანაკლებ 4 წელიწადში ერთხელ) - პოლიტიკური საბჭო (ირჩევა 4 წლით, 7 წევრი გ. სიხარულიძე, ნ. კენჭუაშვილი, დ. ქათამაძე, კ. ამირაჯიბი, ი. ლობჟანიძე) - თავმჯდომარე (ირჩევა კონფერენციის მიერ 4 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.).*

*თავმჯდომარე გაგა სიხარულიძე (დაბ. 1960 წ. ბათუმში), სემიტოლოგი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი. 1990 წ. საქართველოს ეროვნული ფორუმის, ეროვნული კონგრესის და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრი. 1992 წ. საქართველოს პარლამენტის წევრი, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. 1993 წ. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი. საქართველოს სამედიცინო-სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.*

*წევრთა რაოდენობა 15.569 (აქედან აქტიურია 500). პარტიაში 4.391 ქალია.*

პარტიას აქვს 10 რეგიონალური და 46 რაიონული ორ-განიზაცია.

*ბეჭდვითი ორგანო გაზეთი "ღვთისშვილი" (გამოდის 1991 წლიდან, ყოველკვირეული, ტირაჟი 10.000).*

პარტია მონაწილეობდა 1990 წლის საპარლამენტო არ-ჩევნებში (ბლოკში სახალხო პარტიასთან) და მიიღო ხმათა 0,67%.

პარტია ინდივიდუალურად მონაწილეობდა 1992 წლის საპარლამენტო არჩევნებში. პარლამენტში წარმოდგენილი იყო პარტიული სიით არჩეული 2 დეპუტატით.

პარტია ინდივიდუალურად მონაწილეობდა 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში და მიიღო ხმათა 0,64%. პარტია პარლამენტში წარმოდგენილია 1 დეპუტატით.

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია მხარს უჭერდა ე. შევარდნაძეს.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრება, მეწარმეობისა და მცირე ბიზნესის განვითარება. კერძო საკუთრება მიწაზე.

2. საგარეო პოლიტიკა ფრთხილი, მოქნილი, დაბა-ლანსებული.



3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა უნიტარული, მაგრამ ავტონომიური წარმონაქმნების შენარჩუნებით.

4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპრეზიდენტო.

5. ეროვნებათშორის ურთიერთობანი ქართველი ერის უფლებების დაცვა ხალხთა მეგობრობის პრინციპების გათვალისწინებით.

პარტია მხარს უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

*წინასაარჩევნო პროგრამა ქართველი ერის სულიერი განწმენდა და აღორძინება, სოციალურ პრობლემათა გა-დაჭრა, ადამიანის უფლებათა დაცვა, ეკონომიკური აყვავება.*

*მისამართი თბილისი, წერეთლის პრ. №144.*

*ტელეფონი 94 01 62. ფაქსი 94 01 62.*

E-mail: junona@iberiapac.ge

# II ნაწილი

## დავით აღმაშენებლის პარტია

*დევიზი ბედნიერება ყველა ადამიანს.*

*პოლიტიკური მიმართულება ცენტრისტული.*

*დაარსდა 1996 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1996 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები რ. ლიპარტელიანი, ო. გამყრელიძე, ვ. ბერიძე, დ. მენაღარიშვილი, გ. ჭანკოტაძე, ნ. აბუაშვილი.*

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) - დარბაზი (ირჩევა 4 წლით, 21 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა ყრილობის მიერ 4 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1996 წ.).*

*თავმჯდომარე როინ ლიპარტელიანი (დაბ. 1951 წ. სოფ. ღვირიშში), 1974 წ. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკ. და საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკ.; 1976 წ. საქართველოს პატენტმცოდნეობის ინსტიტუტის პატენტმცოდნეობის ფაკ. და დიპლომატიური სასწავლებელი საერთაშორისო დიპლომატიის სპეციალობით; 1985 წ. თსუ იურიდიული ფაკ. სამართალმცოდნეობის სპეციალობით; 1995 წ. აირჩიეს საქართველოს აგრარულ-ტექნოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. თავისუფლად ფლობს მშობლიურ და უცხოურ ხუთ ენას. 1981 წ. საქართველოს მიწათმოქმედთა ასოციაციის პრეზიდენტი; 1990 წ. საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირის თავმჯდომარე; 1994 წ. საქართველოს აგრარული პარტიის თავმჯდომარე; 1992 წ. საქართველოს პარლამენტის წევრი, აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე; 1991 და 1995 წ. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.*

*წევრთა რაოდენობა 17.000 (აქედან აქტიურია 1.000). პარტიაში 25% ქალია.*



პარტიას აქვს ახალგაზრდული ორგანიზაცია _ ახალგაზრდა აღმაშენებელთა ორგანიზაცია (შეიქმნა 1996 წ.), 12 რეგიონალური და 72 რაიონული ორგანიზაცია.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა კონვერგენცია. ყველა სახის საკუთრება მიწაზე, ამ ეტპაზე დაუშვებელია მიწის ყიდვა-გაყიდვა.
2. საგარეო პოლიტიკა დავით აღმაშენებლის იდეები.
3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა უნიტარული.
4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა ამ ეტაპზე საპრეზიდენტო, მომავალში _ მონარქია.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

*მისამართი თბილისი, კოსტავას ქ. №41.*

*ტელეფონი 33 53 26.*

## დემოკრატიული პარტია (დპ)

*დაარსდა 1991 წ.*

*პოლიტიკური მიმართულება მემარცხენე ცენტრისტული.*

*პირველი რეგისტრაცია 1992 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები მიხეილ ქურდიანი, ქართლოს ღარიბაშვილი, გელა ქვლივიძე, ბადრი დათუაშვილი, თემურ კვირკველია.*

*ორგანიზაციული სტრუქტურა წევრთა ყრილობა (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) - პარტიის ეროვნული კომიტეტი (ირჩევა ერთი წლით, 7 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა 3 წლით, ბოლოს არჩეულ იქნა 1997 წ. ეროვნული კომიტეტის მიერ).*

*თავმჯდომარე გელა ქვლივიძე (დაბ. 1940 წ.), 1963 წ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი. 1964-1967 წწ. მუშაობდა საპროექტო ინსტიტუტში. 1967-1989 წწ. მშენებლობის სამინისტროს და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სისტემა. 1989 წ. ჩაება პოლიტიკურ საქმიანობაში. 1991 წ. დააფუძნა*

*დემოკრატიული პარტია. 1993 წლიდან დღემდე პარტიის თამჯდომარეა. 1992-1995 წლებში იყო საპარლამენტო ფრაქცია "დემოკრატების" თავმჯდომარე, მშენებლობის ქვეკომისიის თავმჯდომარე. 1996 წლიდან დააარსა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ზეთბი" და გერმანელ პარტნიორებთან ერთად აწარმოებს სამშენებლო საქმიანობას თბილისში. ჰყავს მეუღლე და ქალიშვილი. მისამართი ირ. აბაშიძის ქ. №24, ტელ.: 23 28 26.*

*წევრთა რაოდენობა 4.270 (აქედან აქტიურია 400), პარტიაში 830 ქალია.*

პარტიას აქვს 32 რეგიონალური და 47 რაიონული ორგანიზაცია.

პარტია 1992 წლის არჩევნებში მონაწილეობდა ინდივიდუალურად. პარტიული სიით გავიდა 10 კაცი.

ინდივიდუალურად მონაწილეობდა 1995 წლის არჩევნებში და მიიღო ხმათა 1,8%. პარლამენტში ჰყავს ერთი წარმომადგენელი ფრაქცია "აფხაზეთში", რადგანაც 1992 წელს პარლამენტში არჩეულ აფხაზურ დეპუტაციას უფლებამოსილება ავტომატურად გაუგრძელდა ახალი მოწვევის პარლამენტში.

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში პარტია მხარს უჭერდა ე. შევარდნაძის კანდიდატურას.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა. მიწაზე კერძო საკუთრების შემოღება.

2. საგარეო პოლიტიკა როგორც მეზობელ, ისე სხვა დემოკრატიულ სახელმწიფოებთან თანაბარი მეგობრული ურთიერთობა.

3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა სამხარეო მოწყობის პრინციპით.

4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპარლამენტო-საპრეზიდენტო, ორპალატიანი პარლამენტი.

*მისამართი თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. №29.*
*ტელეფონი 22 54 85. ფაქსი 22 30 06.*
E-mail: kviliv@access.sanet.ge



## ეროვნულ-დემოკრატიული კავშირი

*დევიზი საქართველო უპირველეს ყოვლისა.*
*პოლიტიკური მიმართულება მემარჯვენე.*
*დაარსდა 1997 წ.*
*რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები ა. თედორაძე, კ. კოდუა, დ. თევზაძე, ვ. ესართია.*

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) - მთავარი კომიტეტი (ირჩევა 4 წლით, 14 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა 4 წლის ვადით).*

*თავმჯდომარე ავთანდილ თედორაძე (დაბ. 1977 წ. სოხუმი), თსუ სოხუმის ფილიალის ისტორია-იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი.*

*წევრთა რაოდენობა 1.500 (აქედან აქტიურია 300). პარტიაში 10% ქალია.*

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა, მიწაზე კერძო საკუთრება.

2. საგარეო პოლიტიკა დასავლური ორიენტაცია.

3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა უნიტარული.

4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა კონსტიტუციური მონარქია.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

პარტია არ მონაწილეობს 1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, რადგან მზად არ არის პასუხისმგებლობის ასაღებად.

*მისამართი თბილისი, რუსთაველის პრ. №21.*
*ტელეფონი 98 31 73.*

## იბერიულ-კავკასიური მოძრაობა ჭყონდიდელის ეროვნული "ლასკარი"

*პოლიტიკური მიმართულება მემარჯვენე ცენტრისტული.*

*დაარსდა 1992 წ.*

*რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები ს. საჯაია, დ. მარღანია, ჯ. ბერუაშვილი, ც. ბაბლუანი.*

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 4 წელიწადში ერთელ) - ლასკარი (ირჩევა 4 წლით, 9 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა ყრილობის მიერ 4 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1997 წ.).*

*თავმჯდომარე სერგი საჯაია (დაბ. 1946 წ. სოხუმის მახლობლად), ფილოლოგი. 1971-1993 წწ. სახუმის რადიოგადაცემათა რედაქტორი, სკოლების პედაგოგი, დირექტორი. 1992-1993 წწ. იბრძოდა სოხუმში. ხელმძღვანელობდა ცხუმ-აფხაზეთის ახალგაზრდულ ორგანიზაციას "ზღვა ახმაურდა". ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.*

*წევრთა რაოდენობა 1281 (ყველა აქტიურია). პარტიაში 40% ქალია.*

პარტიას აქვს 4 რეგიონალური და 20 რაიონული ორგანიზაცია.

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია მხარს არ უჭერდა არცერთ კანდიდატს.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა საბაზრო. მიწაზე შერეული საკუთრება.
2. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა სამხარეო, უნიტარული სახელმწიფოს ფარგლებში.
3. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპრეზიდენტო.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

პარტია არ მონაწილეობს 1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში საარჩევნო კანონის არადემოკრატიულობის გამო.

*მისამართი თბილისი, გ. ჩიტაიას ქ. №39.*

*ტელეფონი 95 62 31.*

## ი. ბ. სტალინის საზოგადოება

*დევიზი ძველის პატივისცემით ვაშენოთ ახალი.*



*პოლიტიკური მიმართულება მემარცხენე.*

*დაარსდა 1989 წ.*

*რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები გ. ონიანი, ი. ფანცხავა.*

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 3 წელიწადში ერთხელ) - პრეზიდიუმი (ირჩევა 3 წლით, 17 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა ყრილობის მიერ 3 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1887 წ.).*

*თავმჯდომარე გრიგოლ ონიანი (დაბ. 1936 წ. ლენტეხის რაიონში), 1958 წლიდან დღემდე სკკპ წევრი. ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ოთხი შვილიშვილი.*

*წევრთა რაოდენობა 17.000-მდე (აქედან აქტიურია 3.500). პარტიაში 3.000-მდე ქალია.*

პარტიას აქვს 8 რეგიონალური და 28 რაიონული ორგანიზაცია.

*ბეჭდვითი ორგანო გაზეთი "პასუხი" (ტირაჟი 5.000).*

პარტია მონაწილეობდა 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში და მიიღო ხმათა 2,2%.

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია მხარს უჭერდა ე. შევარდნაძეს.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა ჩინური მოდელი. მიწაზე შერეული (სახელმწიფო, კერძო) საკუთრება.
2. საგარეო პოლიტიკა რუსეთი, ევროპა. სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.
3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა საპარლამენტო, კონსტიტუციური მონარქია.
4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა ცენტრალიზებული.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

*მისამართი თბილისი, კ. გამსახურდიას პრ. №31.*

*ტელეფონი 25 22 72.*

## ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია (ლდეპ)

*დევიზი ქვეყნად ცასა ღვთად მოუცია მარტო მამული.*

*პოლიტიკური მიმართულება დემოკრატიული ლიბერალიზმი.*

*დაარსდა 1990 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1990 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები მ. ნანეიშვილი, ი. გეგენავა, გ. დოლიძე, ვ. გოცირიძე და სხვ.*

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) - საბჭო (ირჩევა 4 წლით, 25 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა ყრილობის მიერ 4 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.).*

*თავმჯდომარე მიხეილ ნანეიშვილი (დაბ. 1934 წ. თბილისში), სწავლობდა კონსერვატორიაში (2 წელი), თსუ-ში ფილოსოფიის ფაკულტეტზე, მუშაობდა ფილოსოფიის ინსტიტუტში. კითხულობს ლექციებს თეატრალურ ინსტიტუტში. ლდეპ თავმჯდომარე დაარსების დღიდან. საქართველოს დსთ-ში შესვლამდე ფრაქცია "ერთობის" თავმჯდომარე პარლამენტში, შემდეგ ლიბერალ-დემოკრატთა საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარე. საკონსტიტუციო კომისიის წევრი.*

*წევრთა რაოდენობა 1.400 (აქედან აქტიურია 300-მდე).*

პარტიას აქვს 11 რაიონული ორგანიზაცია.

პარტია მონაწილეობდა 1990 წლის საპარლამენტო არჩევნებში (ბლოკი "თავისუფლება") და მიიღო ხმათა 3,67%.

პარტია მონაწილეობდა 1992 წლის საპარლამენტო არჩევნებში (ბლოკი "ერთობა") და პარლამენტში წარმოდგენილი იყო პარტიული სიით არჩეული 4 დეპუტატით.

პარტია ინდივიდუალურად მონაწილეობდა 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში და მიიღო ხმათა 0,29%.

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია მხარს უჭერდა ე. შევარდნაძეს.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები



1. ეკონომიკა თავისუფალი საბაზრო, მეურნეობისა და მრეწველობის დაბალანსებული განვითარება. კერძო საკუთრება მიწაზე, საკუთრების უფლება მხოლოდ საქართველოს მოქალაქეთათვის.
2. საგარეო პოლიტიკა საქართველოს გამოსვლა დსთ-დან, ინტეგრაცია ევროპასთან, კეთილმეზობლური ურთიერთობა მეზობელ სახელმწიფოებთან.
3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა დეცენტრალიზებული უნიტარული.
4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპრეზიდენტო.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

პარტია არ მონაწილეობს 1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში უსახსრობის გამო.

პარტიას ოფისი არ აქვს.

## პარტია "სამშობლო"

*დევიზი მარად და ყველგან საქართველო, ჩვენ ვართ შენთანა.*

*პოლიტიკური მიმართულება საკუთარი განსაკუთრებული.*

*დაარსდა 1989 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1995 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები კ. არაბული, რ. რამიშვილი, მ. კეკელია, გ. გაჩეჩილაძე, მ. ღოღობერიძე, ო. ცხვარაძე.*

პარტიას თავიდან ერქვა "მიწათმოქმედთა კავშირი", შემდეგ _ "მამულის აღორძინება", 1995 წლიდან _ "სამშობლო".

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) - გამგეობა (ირჩევა 4 წლით, 15 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა ყრილობის მიერ 4 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1997 წ).*

*თავმჯდომარე ომარ ცხვარაძე (დაბ. 1944 წ.), 1989-1992 წწ. კომკავშირის რაიკომის მდივანი, 1992-1995 წწ. პარტიის*

*ვანის რაიკომის ინსტრუქტორი. შემდეგ ინსტრუმენტალურ ქარხანაში მთავარი მექანიკოსი. გაერთიანება "ჰიგიენას" გენერალური დირექტორი.*

*წევრთა რაოდენობა 1.500 (აქედან აქტიურია 50). პარტიაში 45% ქალია.*

პარტიას აქვს 7 რეგიონალური და 3 რაიონული ორგანიზაცია.

პარტია ინდივიდუალურად მონაწილეობდა 1990 წლის საპარლამენტო არჩევნებში და მიიღო ხმათა 2%. პარლამენტში წარმოდგენილი იყო პარტიული სიით არჩეული 1 დეპუტატით.

პარტია ინდივიდუალურად მონაწილეობდა 1992 წლის საპარლამენტო არჩევნებში და მიიღო ხმათა 2%. პარლამენტში წარმოდგენილი იყო პარტიული სიით არჩეული 1 დეპუტატით.

პარტია ინდივიდუალურად მონაწილეობდა 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში და მიიღო ხმათა 0,5%. პარლამენტში წარმოდგენილია 1 მაჟორიტარი დეპუტატით.

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია მხარს უჭერდა ე. შევარდნაძეს.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა სოციალიზმიდან და კაპიტალიზმიდან ხალხისთვის მისაღები ფორმების მოძებნა და ქართულ ეროვნულ ტრადიციასთან ერთად ერთიანი ეკონომიკური პროგრამის შექმნა. მიწაზე სახელმწიფო საკუთრება (ყიდვა-გაყიდვა შეუძლებელია _ მუდმივ სარგებლობაში უნდა გადაეცემოდეს შთამომავლობით).

2. საგარეო პოლიტიკა მშვიდობიანი თანაარსებობა და ყველა სადაო საკითხის მოლაპარაკების გზით გადაჭრა, არავითარი ძალადობა.

3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა რეგიონალური მართვა.

4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპრეზიდენტო.

პარტია მხარს ნაწილობრივ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.



*წინასაარჩევნო პროგრამა ყველაზე პატიოსანი, შრომისმოყვარე, ენერგიული ხალხი ავირჩიოთ სამმართველოს აპარატში, ჩვენი დევიზია "რამდენად მეტად პატიოსან ხალხს ავირჩევთ აპარატში, იმდენად პატიოსანი იქნება საზოგადოება".*

*მისამართი თბილისი, ნუცუბიძის ფერდ. III მ/რ, I კვ. VII კორპ. ბ. 17.*

*ტელეფონი 32 13 34.*

## პოლიტიკური გაერთიანება "ინტელექტუალთა მოძრაობა"

*დევიზი სოციალური სამართლიანობა, შრომა, კეთილდღეობა.*

*დაარსდა 1996 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1996 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები ზ. ცერცვაძე, ნ. კუჭუაშვილი, ი. ყანდარელი.*

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) - მთავარი კომიტეტი (ირჩევა 4 წლით, 25 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა ყრილობის მიერ 4 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1996 წ.).*

*თავმჯდომარე ზაურ ცერცვაძე (დაბ. 1941 წ. ჭიათურაში), 1958 წ. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი. მუშაობდა მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის სამინისტროს უწყებებში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. კითხულობს ლექციებს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში საინჟინრო გრაფიკის კათედრაზე. ეროვნულ მოძრაობაში მოვიდა 1987 წ. იყო სახალხო ფრონტის რეგიონალური ხელმძღვანელი, დამფუძნებელი პარტიისა "მამული, ენა, სარწმუნოება", პარტია "სამშობლოში" თავმჯდომარე საორგანიზაციო საკითხებში. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.*

*წევრთა რაოდენობა 3.000 (აქედან აქტიურია 100). პარტიაში 200 ქალია.*

პარტიას აქვს 25 რაიონული ორგანიზაცია.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა სოციალური ორიენტაცია, სახელმწიფო საკუთრება მიწაზე.
2. საგარეო პოლიტიკა კეთილმეგობრული დამოკიდებულება ყველა ქვეყანასთან.
3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა ოთხი გუბერნია აღმოსავლეთ საქართველო _ ცენტრი რუსთავი, დასავლეთ საქართველო _ ცენტრი ქუთაისი, აჭარა _ ცენტრი ბათუმი, აფხაზეთი _ ცენტრი სოხუმი.
4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპარლამენტო.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების საშინაო პოლიტიკის კურსს.

პარტია არ მონაწილეობს 1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, რადგან ქალაქის მერები და გამგებლები საყოველთაო ფარული კენჭისყრით არ ირჩევიან.

*მისამართი ვაზისუბანი, 1 მ/რ, 13 კორპ.*

*ტელეფონი 79 97 88.*

## პოლიტიკური გაერთიანება _ კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება (კგს)

*დაარსდა 1992 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1992 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები მ. მაჭავარიანი, ელ. ჯაველიძე, ენ. ნიჟარაძე, თ. ვაშაძე, ს. სიგუა, ა. აზრალავა, ვ. ბოჭორიშვილი.*

*ორგანიზაციული სტრუქტურა კონფერენცია (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) - პრეზიდიუმი, პოლიტიკური საბჭო (ირჩევა 4 წლით, 32 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა კონფერენციის მიერ 4 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1996 წ.).*



*თავმჯდომარე ვახტანგ ბოჭორიშვილი (დაბ. 1924 წ. ლაგოდეხის რ-ნში), 1951 წ. დაამთავრა ხარკოვის სამედიცინო ინსტიტუტი; 1968 წ. სადოქტორო დისერტაცია; 1970-1973 წწ. საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი; 1996 წ. საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი; ჰყავს მეუღლე და ორი ქალიშვილი.*

*წევრთა რაოდენობა 6.000 (აქედან აქტიურია 1.000). პარტიაში 15% ქალია.*

პარტიას აქვს 2 რეგიონალური და 46 რაიონული ორგანიზაცია.

*ბეჭდვითი ორგანო გაზეთები "კოლხური კოშკი", "გრაალი", "ერთიანი საქართველო"; ჟურნალი "დიდოსტატი" (დროებით ყველა შეჩერებულია უსახსრობის გამო).*

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა კგს ეყრდნობა ცივილიზებულ თანამედროვე საბაზრო ეკონომიკას, მაგრამ წინააღმდეგია სხვა სახელმწიფოთა მოდელების ბრმა გადმოღებისა. ყველაფერი შეხამებული უნდა იყოს ქართულ ბუნებასთან, ტრადიციებთან. დღევანდელ პოლიტიკურ და დემოგრაფიულ პირობებში კგს კატეგორიულად წინააღმდეგია მიწის გაყიდვისა. მომავალშიც დიდი სიფრთხილეა საჭირო.
2. საგარეო პოლიტიკა კავკასიის სახელმწიფოთა ეკონომიკური რეგიონი ამ სახელმწიფოთა მჭიდრო და ურთიერთსასარგებლო კავშირისათვის.
5. ეროვნებათშორის ურთიერთობანი ყველა არაქართველი უნდა გახდეს საქართველოს სრულფასოვანი მოქალაქე, მისი კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების აქტიური მონაწილე, მისი პატრიოტი.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

*მისამართი თბილისი, ყავლაშვილის ჩიხი №11.*

*ტელეფონი 98 95 94; 33 34 00.*

## პოლიტიკური გაერთიანება "საქართველოს რეალისტთა კავშირი" (სრკ)

*დევიზი საქმემან ჩვენმან წარმოგვაჩინოს.*

*პოლიტიკური მიმართულება მემარჯვენე ცენტრისტული.*

*დაარსდა 1996 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1997 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები გ. ბრატულიჩი, ო. გულისაშვილი, ჯ. ესაკია, ნ. ჯიჯეიშვილი.*

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) - პოლიტიკური საბჭო (ირჩევა 2 წლით, 13 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა ყრილობის მიერ 4 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1997 წ).*

*თავმჯდომარე გიორგი ბრატულიჩი (დაბ. 1961 წ. ქ. დუშეთში), ჟურნალისტი. 1998 წ. დაამთავრა თბილისის საერთაშორისო ინფორმატიკის ინსტიტუტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი. მისამართი თბილისი, ნუცუბიძის IV მ/რ, ბ. 302.*

*წევრთა რაოდენობა 11.000 (აქედან აქტიურია 5.400). პარტიაში 4.950 ქალია.*

პარტიას აქვს ახალგაზრდული ორგანიზაცია (დაარსდა 1997 წლის 14 აპრილს, 2.500 წევრი), 9 რეგიონალური და 49 რაიონული ორგანიზაცია.

*ბეჭდვითი ორგანო გაზეთი "რეალისტი" (გამოდის 1998 წლის მარტიდან, ყოველთვიური, ტირაჟი 3.000).*

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა საშუალო ფენის რესტრუქტურიზაცია. კერძო საკუთრება მიწაზე.
2. საგარეო პოლიტიკა ბალანსირებული.
3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა ფედერალური.
4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა ძლიერი საპრეზიდენტო.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.



*მისამართი თბილისი, ვაჟა-ფშაველას პრ. №106.*

*ტელეფონი 30 29 87.*

## პოლიტიკური კავშირი "თანადგომა"

*პოლიტიკური მიმართულება მემარჯვენე ცენტრისტული.*

*დაარსდა 1994 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1995 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები თ. კალანდაძე, გ. ლომინაძე, ა. თავართქილაძე, გ. კალანდია, ჯ. წულაია.*

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) - მთავარი კომიტეტი (ირჩევა 4 წლით, 11 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა ყრილობის მიერ 4 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.).*

*თავმჯდომარე თენგიზ კალანდაძე (დაბ. 1940 წ. ქ. აბაშაში), ინჟინერ-მეტალურგი, ს/ს "საქლითონის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, 1992-1995 წწ. საქართველოს პარლამენტის წევრი.*

*წევრთა რაოდენობა 5.500 (აქედან აქტიურია 100). პარტიაში 1.236 ქალია.*

პარტიას აქვს 4 რეგიონალური და 16 რაიონული ორგანიზაცია.

*ბეჭდვითი ორგანო გაზეთი "თანადგომა" (გამოდის თვეში ერთხელ, ტირაჟი 2.000).*

პარტია ინდივიდუალურად მონაწილეობდა 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში და მიიღო ხმათა 2,16%. პარლამენტში წარმოდგენილია 3 მაჟორიტარი დეპუტატით.

*წინასაარჩევნო საპროგრამო პრიორიტეტები 1995 წლის არჩევნებისას ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრება, გაერთიანება ევროპულ სტრუქტურებში.*

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია მხარს უჭერდა ე. შევარდნაძეს.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრება, რეფორმების დაჩქარება. კერძო საკუთრება მიწაზე.

2. საგარეო პოლიტიკა საქართველოს ინტეგრაცია ევროპულ სტრუქტურებში.

3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა ფედერაცია.

4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპრეზიდენტო რესპუბლიკა.

პარტია მხარს უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

პარტია არ მონაწილეობს 1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ბოლო პერიოდში პარტიის შიგნით სტრუქტურებში მომხდარი ცვლილებების გამო.

*მისამართი თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №2.*

*ტელეფონი 22 50 42.*

## პოლიტიკური მოძრაობა "საქართველოს ბედი"

*პოლიტიკური მიმართულება ეროვნული, კერძოდ, აღდგეს ქართული ცხოვრების წესი.*

*დაარსდა 1995 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1995 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები თ. მდინარაძე, ვ. ბოჭორიშვილი, მ. მაჭავარიანი.*

პარტია სამართალმემკვიდრეა "მამულის აღორძინების საზოგადოებისა", რომელიც უკანონოდ გააუქმეს ამ პარტიის თავმჯდომარის, თემურ მდინარაძის მიერ პარლამენტის მიტოვების გამო.

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) - გამგეობა (ირჩევა 4 წლით, 5 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა გამგეობის მიერ 4 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.).*

*თავმჯდომარე თემურ მდინარაძე (დაბ. 1946 წ.), პროფესორი, ტელ.: 38 54 43. თანათავმჯდომარეები ზაურ*



*ბედია (დაბ. 1941 წ.), მფრინავი, ტელ.: 73 71 92. ტურაშვილი დალი (დაბ. 1952წ.), ინჟინერი (უმაღლესი განათლებით).*

*წევრთა რაოდენობა 1.200 (აქედან აქტიურია 30).*

პარტიას აქვს რაიონული ორგანიზაციები.

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია მხარს არ უჭერდა არცერთ კანდიდატს.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა ძლიერი ქართული სახელმწიფოს შექმნა, სადაც აღდგება ქართული ცხოვრების წესი, სრული ეკონომიკური დამოუკიდებლობა და ეროვნული ეკონომიკის აღორძინება. მიწა არ უნდა გაიყიდოს.

2. საგარეო პოლიტიკა საქართველო უნდა იყოს დამოუკიდებელი და მშვიდობის მედიატორი ყველა რელიგიის მიმდევრებისა და სახელმწიფოთა შორის.

3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა კანონიერების პრიორიტეტულობა, სახელმწიფო ტერიტორიული მთლიანობა, მისაღებია ერთმმართველობა.

4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა მხოლოდ და მხოლოდ მონარქია.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

პარტია არ მონაწილეობს 1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში რადგან ადგილობრივი თვითმმართველობა დააკანონებს იმას, რაც გაკეთებულია ხალხის ნების გარეშე, ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ, ამ არჩევნებით ხელი ეწყობა ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ წარმართულ მოვლენებს.

*მისამართი თბილისი, დიდი დიღომი, ი. პეტრიწის ქ. №8, ბ. 64.*

*ტელეფონი 36 39 69.*

## პოლიტიკური ორგანიზაცია "მამული"

*დევიზი მთავარი მაინც მამული არის.*

*პოლიტიკური მიმართულება ცენტრისტული.*

*დაარსდა 1994 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1994 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები თ. ბობოხიძე, კ. ოქრომჭედლიძე, ზ. პეტრიაშვილი, ქ. ჭაბაშვილი, რ. გვარაძე.*

*ორგანიზაციული სტრუქტურა კონფერენცია (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) - ცენტრალური გამგეობა (ირჩევა 4 წლით, 5 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა კონგრესის მიერ 4 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.).*

*თავმჯდომარე თეიმურაზ ბობოხიძე (დაბ. 1968 წ.), ეკონომისტი, ქრისტიანული განათლების თავისუფლებისა და სამართლიანობის აღონძინების საზოგადოება "მამულის", პოლიტიკური ორგანიზაცია "მამულის" და კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანიზაციის თავმჯდომარე.*

*წევრთა რაოდენობა 3667 (აქედან აქტიურია 1470). პარტიაში 60 ქალია.*

პარტიას აქვს ახალგაზრდული სექცია (შეიქმნა 1995 წ. 600 წევრი); 7 რეგიონალური და 36 რაიონული ორგანიზაცია.

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია მხარს უჭერდა ე. შევარდნაძეს.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა სახელმწიფო, კერძო და შერეული საკუთრება; მიწის 50% უნდა გადავიდეს კერძო საკუთრებაში.
2. საგარეო პოლიტიკა სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, სუვერენიტეტი, თანასწორუფლებიანობა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა.
3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა დეცენტრალიზებული უნიტარიზმი.
4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპრეზიდენტო.



პარტია მხარს ნაწილობრივ (მშვიდობიანი გზით ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში) უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

*მისამართი თბილისი, წრომის ქ. №19.*

*ტელეფონი 96 29 34.*

## პოლიტიკური ორგანიზაცია – ქეთევან წამებულის საზოგადოება

*პოლიტიკური მიმართულება მართლმადიდებლურ რელიგიურ-პოლიტიკური.*

*დაარსდა 1996 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1996 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები ი. ჭილაძე, ლ. მელაძე, ი. შარიქაძე, ლ. ტაველურაშვილი, დ. წაქაძე.*

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 3 წელიწადში ერთხელ) - ცენტრალური გამგეობა (ირჩევა 3 წლით, 12 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა ყრილობის მიერ 3 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1996 წ.).*

*თავმჯდომარე იზოლდა ჭილაძე (დაბ. 1951 წ. ბაღდადის რ-ნი), ეკონომისტი, დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია. თსუ აღრიცხვისა და აუდიტის კათედრის დოცენტი.*

*წევრთა რაოდენობა 1.600 (აქედან აქტიურია 400). პარტიაში 950 ქალია.*

პარტიას აქვს ახალგაზრდული ორგანიზაცია, რეგიონალური და 15 რაიონული ორგანიზაცია.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა სამამულო საქონელწარმოება, სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა. მიწის კერძო საკუთრება მხოლოდ საქართველოს მოქალაქეთათვის.
2. საგარეო პოლიტიკა ნეიტრალური, საკუთარი ეროვნულ-ტრადიციული კურსის მქონე.
3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა უნიტარული.

4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპრეზიდენტო (პრეზიდენტის მართლმადიდებლობა აუცილებელია).

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

პარტია არ მონაწილეობს 1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში სუსტი ორგანიზაციული სტრუქტურის გამო.

*მისამართი თბილისი, აკოფიანის შესახვევი №4.*

*ტელეფონი 98 64 26.*

## სამართლიანობის აღდგენის კავშირი _ "ხმა ერისა" (საკ-ხე)

*დევიზი ხმა ღვთისა _ ხმა ერისა.*

*პოლიტიკური მიმართულება მემარჯვენე ცენტრისტული.*

*დაარსდა 1992 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1992 წ; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები მ. სალუაშვილი, ბ. შერველაშვილი, ს. ფალავანდიშვილი, თ. გოქსაძე, თ. ლობჟანიძე, ს. ბახტურიძე, კ. მახაური, რ. თოხვაძე.*

*ორგანიზაციული სტრუქტურა სათათბირო (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) - დარბაზი (ირჩევა 4 წლით, 9 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა სათათბიროს მიერ 4 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1997 წ.).*

*თავმჯდომარე მიხეილ (გელა) სალუაშვილი (დაბ. 1958 წ. თბილისში), ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, 1 მონოგრაფიის, 23 სასწავლო სახელმძღვანელოს, 60-მდე სამეცნიერო ნაშრომის, 14 გამოგონების ავტორი. 1988 წლიდან ჯერ "ილია ჭავჭავაძის საზოგადოების", შემდეგ სახალხო ფრონტის შექმნის დღიდან მისი წევრი, 1990 წლიდან "მრგვალი მაგიდა _ თავისუფალი საქართველოში" შემავალი "ეროვნული ფრონტი _ რადიკალური კავშირის" წევრი, 1991 წლიდან საბურთალოს რაიონის საკრებულოს მდივანი. პოლიტიკური ორგანიზაცია "ზვიადის გზა _ ხმა ერისას" ეროვნული ლასკარის სპიკერი.*



*წევრთა რაოდენობა 1334 (ყველა აქტიურია). პარტიაში 43% ქალია.*

პარტიას აქვს 9 რეგიონალური და 52 რაიონული ორგანიზაცია.

*ბეჭდვითი ორგანო გაზეთი "არჩევანი" (გამოდის 1993 წლის 26 თებერვლიდან, ორ კვირაში ერთხელ, ტირაჟი 1.000-2.000).*

პარტია ინდივიდუალურად მონაწილეობდა 1992 წლის საპარლამენტო არჩევნებში და მიიღო 71.095 ხმა.

პარტია მონაწილეობდა 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში ბლოკით "ზვიადის გზა _ ხმა ერისას", საქართველოს განახლების პარტიასთან ერთად და მიიღო ხმათა 1,2%.

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია მხარს არ უჭერდა არცერთ კანდიდატს.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა საბაზრო. მიწაზე შერეული (კერძო და სახელმწიფო) საკუთრება.
2. საგარეო პოლიტიკა ერთიანი "კავკასიური სახლის" ჩამოყალიბება.
3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა სამხარეო დაყოფა უნიტარული სახელმწიფოს შემადგენლობაში.
4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა თეოკრატიის პრინციპებზე დამყარებული საპრეზიდენტო მმართველობა.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

პარტია არ მონაწილეობს 1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში საარჩევნო კანონის არადემოკრატიულობის გამო.

*მისამართი თბილისი, გ. ჩიტაიას ქ. №39.*

*ტელეფონი 95 62 31.*

## საქართველოს აგრარულ-დემოკრატიული პარტია (სადპ)

*პოლიტიკური მიმართულება მემარცხენე ცენტრისტული.*

*დაარსდა 1998 წ.*

*რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები ს. რუხაძე, პ. გეჯაძე, ვ. მჭედლიშვილი, რ. კორინთელი.*

პარტია აგრარული კავშირის სამართალმემკვიდრეა.

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) - საბჭო (ირჩევა 4 წლით, 21 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა ყრილობის მიერ 4 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.).*

*თავმჯდომარე სერგო რუხაძე (დაბ. 1931 წ.), საქართველოს აგრარულ მეცნიერებათა არასახელმწიფო აკადემიის პრეზიდენტი. მისამართი თბილისი, საბურთალოს ქ. №44, ბ. 8. ტელ.: 38 35 31.*

*წევრთა რაოდენობა 3.350 (აქედან აქტიურია 1.750). პარტიაში 1550 ქალია.*

პარტიას აქვს 2 რეგიონალური და 10 რაიონული ორგანიზაცია.

*ბეჭდვითი ორგანო გაზეთი "აგრარული გაზეთი" (დაფუძნდა 1998 წ.).*

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია მხარს უჭერდა ე. შევარდნაძეს.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა რეგულირებადი საბაზრო, სოციალური რეფორმის გატარება, შიმშილის ლიკვიდაცია. მიწა უნდა იყოს კერძო მფლობელობაში, გადაეცეს მემკვიდრეობით. გამორიცხულია ყიდვა-გაყიდვა.
2. საგარეო პოლიტიკა მშვიდობიანი, თანასწორუფლებიანი თანამშრომლობა.
3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა არსებული დაყოფა.
4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპარლამენტო.

პარტია მხარს ნაწილობრივ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.



პარტია არ მონაწილეობს 1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში დროისა და ფინანსების სიმცირის გამო.

*მისამართი თბილისი, თამარაშვილის ქ. №15ა.*

*ტელეფონი 39 41 20.*

## საქართველოს აგრარული პარტია

*დევიზი ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია.*

*პოლიტიკური მიმართულება ცენტრისტული.*

*პირველი რეგისტრაცია 1994 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები ზ. ღლონტი, ვ. მეტრეველი, ნ. ქარქაშაძე, ზ. ჩანქსელიანი, ვ. მაღლაკელიძე, ლ. თედიაშვილი, გ. პაპოშვილი.*

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა წელიწადში ერთხელ) - პოლიტიკური ბიურო (ირჩევა 1 წლით, 7 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა ყრილობის მიერ 1 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.).*

*თავმჯდომარე ზაურ ღლონტი (დაბ. 1942 წ.), უმაღლესი განათლებით ინჟინერი, ტექ. მეცნიერებათა კანდიდატი, 1996 წლიდან კურორტებისა და ტურიზმის სამმართველოს უფროსი, ეროვნულ-სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის წევრი. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.*

*წევრთა რაოდენობა 2.000-მდე (აქედან აქტიურია 300). პარტიაში 10% ქალია.*

პარტიას აქვს 30 რაიონული ორგანიზაცია.

*ბეჭდვითი ორგანო გაზეთი "მეურნე" (დაარსდა 1994 წ. გამოდის თვეში ერთხელ, ტირაჟი 1.000).*

პარტია ინდივიდუალურად მონაწილეობდა 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში და მიიღო ხმათა 3%-მდე. პარლამენტში წარმოდგენილია 2 მაჟორიტარი დეპუტატით.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა სოფლის მეურნეობაში აგრარული საკითხების მეცნიერულ დონეზე განვითარება. მიწის რეფორმების ეტაპობრივად გატარება, ძირითადად, სახელმწიფო საკუთრება, პარალელურად კერძო ფერმერული მეურნეობების განვითარებისათვის ხელშეწყობა.

2. საგარეო პოლიტიკა თანასწორუფლებიანი დამოკიდებულება სხვა სახელმწიფოებთან.

3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა საქართველო ერთ მთლიანობაში, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკებით.

4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპრეზიდენტო.

პარტია მხარს უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

*მისამართი თბილისი, რუსთაველის პრ. №29.*
*ტელეფონი 99 53 14. ფაქსი 99 55 68.*

## საქართველოს აღორძინებული კომუნისტური პარტია

*პოლიტიკური მიმართულება მემარცხენე, სოციალისტური.*
*დაარსდა 1920 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1997 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

პარტია საქართველოს კომუნისტური პარტიის (1920 წ.) სამართალმემკვიდრეა.

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 2 წელიწადში ერთხელ) - ცენტრალური კომიტეტი (ირჩევა 2 წლით, 103 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა ცენტრალური კომიტეტის მიერ 2 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1997 წ.).*

*თავმჯდომარე შალვა ბერიანიძე (დაბ. 1924 წ.), პედაგოგი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი 1965 წლიდან, გორის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე.*



*წევრთა რაოდენობა 15.000 (აქედან აქტიურია 850). პარტიაში 1.315 ქალია.*

პარტიას აქვს 4 რეგიონალური და 23 რაიონული ორგანიზაცია.

*ბეჭდვითი ორგანო გაზეთი "ცხოვრება" (გამოდის 1997 წლიდან, თვეში ორჯერ, ტირაჟი 500).*

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია მხარს არ უჭერდა არცერთ კანდიდატს.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა საკუთრების მრავალფეროვნება. სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი სტრატეგიული მიმართულების დარგებში. მიწაზე სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო საკუთრება. კურსი მსხვილი მეურნეობების ჩამოყალიბებისაკენ.

2. საგარეო პოლიტიკა აქტიური ნეიტრალიტეტი.

3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა ფედერალური რამდენიმე შემთხვევაში. ძირითადად რაიონული დაყოფის პრინციპი.

4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპრეზიდენტო, ამავე დროს ძლიერი აღმასრულებელი ორგანო, მთავრობის კაბინეტი.

პარტია მხარს ნაწილობრივ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

პარტია არ მონაწილეობს 1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მოუმზადებლობის გამო.

*მისამართი თბილისი, თამარაშვილის ქ. №15ა.*
*ტელეფონი 39 55 86.*

## საქართველოს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პარტია (ბდპ)

*პოლიტიკური მიმართულება ცენტრისტული.*
*დაარსდა 1992 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1992 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები არასახელმწიფო სექტორის ორგანიზაციათა სათათბირო, ნ. კობერიძე, მ. ზანკალიანი.*

პარტია საქართველოს ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ლიგის სამართალმემკვიდრეა.

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) - კომიტეტი (ირჩევა 4 წლით, 19-21 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა ყრილობის მიერ 4 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.).*

*თავმჯდომარე ნუგზარ კობერიძე (დაბ. 1950 წ.), პოეტი, მწერალთა კავშირის წევრი. ჰყავს მეუღლე და ორი ქალიშვილი. მისამართი თბილისი, უიარაღოს ქ. №12.*

*წევრთა რაოდენობა 10.000 (აქედან აქტიურია 200). პარტიაში 30% ქალია.*

პარტიას აქვს რეგიონალური და რაიონული ორგანიზაციები.

პარტია მონაწილეობდა 1992 წლის საპარლამენტო არჩევნებში. პარლამენტში წარმოდგენილი იყო პარტიული სიით არჩეული 2 დეპუტატით.

პარტია მონაწილეობდა 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში და მიიღო ხმათა 1,6%.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა თავისუფალი მეწარმეობისათვის, კომერციული საქმიანობის განვითარებისათვის აუცილებელი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი პირობების შექმნა. მიწაზე კერძო და სახელმწიფო საკუთრება.
2. საგარეო პოლიტიკა ლოიალური, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე.
3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა არაფედერალური.
4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპარლამენტო.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

*მისამართი თბილისი, ვაჟა-ფშაველას პრ. №19.*



*ტელეფონი 37 66 51.*

## საქართველოს დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტია (სდსდპ)

*დევიზი საერთო კეთილდღეობისაკენ.*

*პოლიტიკური მიმართულება მემარცხენე ცენტრისტული.*

*დაარსდა 1996 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1996 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები დ. ლომიძე, მ. ბრეგვაძე, გ. ხვედელიძე, მ. ლომიძე, თ. დოლონაძე, ლ. აბრამიშვილი, მ. ცაავა, გ. ჩუთლაშვილი.*

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) - გამგეობა (ირჩევა 4 წლით, 15 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა ყრილობის მიერ 4 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.).*

*თავმჯდომარე დავით ლომიძე (დაბ. 1951 წ.), ფიზიკოსი, ეკონომისტი. 1974 წლიდან მუშაობდა კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოებზე. 1992-1993 წწ. ლაგოდეხის რ-ნის გამგებელი. 1993-1995 წწ. სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური მდივანი. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.*

*წევრთა რაოდენობა 3.000 (აქედან აქტიურია 750). პარტიაში 50% ქალია.*

პარტიას აქვს ახალგაზრდული სექცია (დაარსდა 1997 წ. 250 წევრი) და 78 რაიონული ორგანიზაცია.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა. სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკური პროცესების რეგულირება. კერძო საკუთრება მიწაზე ყიდვა-გაყიდვის უფლებით.
2. საგარეო პოლიტიკა დინამიური დაბალანსება.
3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა ასიმეტრიული ფედერაცია.

4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპრეზიდენტო, ორპალატიანი პარლამენტით.

პარტია მხარს ნაწილობრივ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

პარტია არ მონაწილეობს 1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, რადგანაც არ ფინანსდება სახელმწიფოს მიერ და, თანაც, პარტია ემზადება მომავალი საპარლამენტო აჩევნებისათვის.

*მისამართი თბილისი, ჯანაშიას ქ. №4.*

*ტელეფონი 25 13 14.*

## საქართველოს დემოკრატიული კავშირი (სდკ)

*დევიზი მოჰმადლე ქართველს ქართვლისა ნდობა და სიყვარული.*

*პოლიტიკური მიმართულება მემარცხენე ცენტრისტული.*

დაარსდა 1991 წ.

*პირველი რეგისტრაცია 1992 წ. ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები ა. მარგიანი, თ. აბულაძე, ზ. წერეთელი, ვ. გოგუაძე, ვ. კვარაცხელია.*

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) - მთავარი საკოორდინაციო საბჭო (ირჩევა 4 წლით, 17 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა ყრილობის მიერ 4 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1995 წ.).*

*თავმჯდომარე ავთანდილ მარგიანი (დაბ. 1945 წ.), უმაღლესი განათლებით, 1992 წ. პარლამენტის წევრი, ექს-ვიცე-პრემიერი.*

წევრთა რაოდენობა 32.500 (აქედან აქტიურია 72,6%). პარტიაში 32,3% ქალია.

პარტიას აქვს ახალგაზრდული ორგანიზაცია _ ახალგაზრდა დემოკრატთა კავშირი; 10 რეგიონალური და 75 რაიონული ორგანიზაცია.



*ბეჭდვითი ორგანო გაზეთი "დემოკრატიული საქართველო".*

პარტია მონაწილეობდა 1992 წლის საპარლამენტო არჩევნებში (ბლოკი "მშვიდობა") და მიიღო ხმათა 19,5%. პარლამენტში წარმოდგენილი იყო პარტიული სიით არჩეული 29, და 7 მაჟორიტარი დეპუტატით.

პარტია მონაწილეობდა 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში (ბლოკი "პროგრესი") და მიიღო ხმათა 3,2%. პარლამენტში წარმოდგენილი იყო 5 მაჟორიტარი დეპუტატით.

*წინასაარჩევნო საპროგრამო პრიორიტეტები 1995 წლის არჩევნებისას ქვეყნის მთლიანობის აღდგენა, დემოკრატიულ-სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძვლების მომზადება, საკანონმდებლო-აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების რეფორმა, ადამიანის უფლებების დაცვა, სტაბილიზაციის დამყარება, სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის დაძლევა, მოქნილი, მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან შეხამებული პოლიტიკის გატარება.*

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია მხარს უჭერდა ე. შევარდნაძეს.

ზოგადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა სოციალური ორიენტაცია. მიწა მუდმივ სარგებლობაში.

2. საგარეო პოლიტიკა ყოფილ საბჭოთა სივრცეში სუვერენულ სახელმწიფოებთან დემოკრატიული კავშირი.

3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა ერთიანი საქართველო ავტონომიებით და ტერიტორიული მმართველობის ორგანოებით.

4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა შერეული სახელმწიფო მმართველობა.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

*მისამართი თბილისი, რუსთაველის პრ. №37.*

*ტელეფონი 95 60 34; 95 08 44; 33 38 65. ფაქსი 95 60 34.*

## საქართველოს დემოკრატიული ცენტრი (დემცენტრი)

*დევიზი ისწრაფე აკეთო სიკეთე.*

*პოლიტიკური მიმართულება ცენტრისტული.*

*დაარსდა 1974 წ. შეიქმნა ახალგაზრდული კლუბის, "ამირანის" სახით, რომელიც პრაქტიკულად ნახევრადლეგალური პარტია იყო. 1988 წ. კლუბის ძირითადი ბირთვი გაერთიანდა კონსტიტუციურ დემოკრატიულ პარტიაში. 1996 წლის გაზაფხულზე გამოეყო კონსტიტუციურ დემოკრატიულ პარტიას, როგორც დამოუკიდებელი ფრაქცია "დემოკრატიული ცენტრი".*

*პირველი რეგისტრაცია 1996 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები ფრაქცია "დემოკრატიული ცენტრი".*

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა წელიწადში ერთხელ) - საბჭო (ირჩევა 2 წლით, 17 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა 2 წლით, არაუმეტეს ორჯერ, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.).*

თავმჯდომარე ზურაბ მურვანიძე (დაბ. 1947 წ.), ექიმი, ფსიქოლოგი, ჟურნალისტი, ხელოვანი, პოლიტიკოსი. 1992-1996 წლებში საქართველოს პარლამენტის წევრი. კანონის "საქართველოს დრო" ავტორი. 1995 წლის საქართველოს ახალი კონსტიტუციის თანაავტორი. სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ნეიროქირურგიის განყოფილების თანამშრომელი. ჰყავს მეუღლე და შვილები.

წევრთა რაოდენობა 1.000-ზე მეტი (აქედან აქტიურია 100), პარტიაში 30% ქალია.

პარტიას აქვს 7 რეგიონალური და 9 რაიონული ორგა-ნიზაცია.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა საბარზო ეკონომიკა, კერძო საკუთრება. საქართველოში მიწის გაყიდვის უფლება უნდა არსებობდეს, მაგრამ უნდა დაწესდეს მხოლოდ მაშინ, როცა ერთ სულ



მოსახლეზე შემოსავალი თუნდაც ერთი ლარით გადაამეტებს მინიმალურ საცხოვრებელ კალათას.

2. საგარეო პოლიტიკა თანაბარუფლებიანი დამოკიდებულება ყველა სახელმწიფოსთან, კეთილმეზობლობა ეკონომიკური მომგებიანობის გათვალისწინებით.

3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა ერთიანი საქართველო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიებით, ავტონომიურობის ფართო სპექტრით.

4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპრეზიდენტო რესპუბლიკა ორპალატიანი პარლამენტით, სადაც "კონგრესი" აირჩევა პარტიული პრინციპით, ხოლო "სენატი" _ მაჟორიტარული პრინციპით.

პარტია დღევანდელი ხელისუფლების კურსს მხარს უჭირს საგარეო პოლიტიკაში, ხოლო საშინაო პოლიტიკაში _ არა.

პარტია არ მონაწილეობს 1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში შემდეგი მოტივებით 1. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები არ უნდა ტარდებოდეს პარტიული პრინციპით; 2. ეს არჩევნები არის პარტიების წაკიდება და ჰგავს უფრო შოუს, ვიდრე არჩევნებს.

მისამართი თბილისი, ამბროლაურის ქ. №6/33.

ტელეფონი 37 54 20. ფაქსი 39 65 18.

## საქართველოს ეკონომისტთა კავშირი (სეკ)

*დევიზი ძლიერი ოჯახები, ძლევამოსილი სახელმწიფო.*

*პოლიტიკური მიმართულება მემარჯვენე ცენტრისტული.*

*დაარსდა 1993 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1995 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭო ივ. გიგოშვილი, ო. სალარეიშვილი, ო. ჩადუნელი, ბ. გაბიძაშვილი, ჰ. ყარაშვილი და სხვ.*

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) - გამგეობა (ირჩევა 5 წლით, 19*

*წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა ყრილობის მიერ 5 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1995 წ.).*

*თავმჯდომარე ივანე გიგოშვილი (დაბ. 1936 წ.), ეკონომისტი, თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, დოცენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი. მისამართი ვაჟა-ფშაველას პრ V კვ. IV კორპ. ბ. 89, ტელ.: 30 93 68.*

*წევრთა რაოდენობა 2.000-ზე მეტი (აქედან აქტიურია 1.000). პარტიაში 40% ქალია.*

პარტია მონაწილეობდა 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში (ბლოკი "არჩევნები") და მიიღო ხმათა 0,5%.

*წინასაარჩევნო საპროგრამო პრიორიტეტები 1995 წლის არჩევნებისას კანონიერი პრივატიზაციის ჩატარება; ვაუჩერების, როგორც ფიქტიური დოკუმენტების გამოვლენა-გამომზეურება.*

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა ეფექტიანი, სოციალურად ორიენტირებული. მიწის გაყიდვის კანონთან დაკავშირებით პარტიას მკვეთრად გამოხატული უარყოფითი დამოკიდებულება აქვს.

2. საგარეო პოლიტიკა დაბალანსებულო სამთავრობო; ერთიანი კავკასიური სახლის იდეის პროპაგანდა; მეზობლებთან თანასწორუფლებიანი პარტნიორული პოლიტიკა.

3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა არსებული ავტონომიური რესპუბლიკების შენარჩუნება და კატეგორიული პროტესტი ე. წ. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოდ ფუნქციონირების მიმართ.

4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა დემოკრატიული რესპუბლიკა, შეზღუდული საპრეზიდენტო მმართველობა.

პარტია მხარს ნაწილობრივ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

პარტია არ მონაწილეობს 1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში დროის ბიუჯეტის არქონის გამო.

*მისამართი თბილისი, ვაჟა-ფშაველას პრ. V კვ. IV კორპ. ბ. 89.*

*ტელეფონი 30 30 08; 30 93 68.*



## საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია (სეკპ)

*პოლიტიკური მიმართულება მემარცხენე.*

*დაარსდა 1992 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1992 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები პ. გიორგაძე, ვ. მახარაძე.*

პარტია სამართალმემკვიდრეა საქართველოს კომუნისტური პარტიისა, რომელიც 1991 წ. გამსახურდიას რეჟიმის დროს აკრძალეს.

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 2 წელიწადში ერთხელ) - ცენტრალური კომიტეტი (75 წევრი) - ბიურო (15 წევრი) - ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივარი.*

*წევრთა რაოდენობა 82.000.*

პარტიას აქვს ახალგაზრდული ორგანიზაცია _ ი. ბ. სტალინის სახელობის კომკავშირი, 11 რეგიონალური და 70 რაიონული ორგანიზაცია.

*ბეჭდვითი ორგანო გაზეთი "კომუნისტი".*

პარტია ინდივიდუალურად მონაწილეობდა 1992 წლის საპარლამენტო არჩევნებში და პარლამენტში წარმოდგენილი იყო პარტიული სიით არჩეული 4 დეპუტატით.

პარტია მონაწილეობდა 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში (ბლოკში სოციალ-დემოკრატებთან ერთად) და მიიღო ხმათა 4,77%.

*წინასაარჩევნო საპროგრამო პრიორიტეტები 1995 წლის არჩევნებისას სახელმწიფოს სოციალისტურ პრინციპებზე მშენებლობა, რუსეთთან და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობა.*

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია მხარს უჭერდა ჯ. პატიაშვილს.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა სახელმწიფო-საზოგადოებრივი, კოოპერატიული, პირადი. მიწა სახელმწიფო საკუთრებაში.

2. საგარეო პოლიტიკა ყველა სახელმწიფოსთან მეგობრული ურთიერთობა, პრიორიტეტულად ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან მჭიდრო ეკონომიკური კავშირები.
3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიული მოწყობა.
4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპარლამენტო.

*მისამართი თბილისი, შარტავას ქ. №7.*
*ტელეფონი 38 87 86.*

## საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია (სედპ)

*პოლიტიკური მიმართულება მემარჯვენე.*
*დაარსდა 1989 წ.*
*პირველი რეგისტრაცია 1992 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*
*დაფუძნების ინიციატორები ი. წერეთელი, თ. სუმბათაშვილი, ვ. ხომერიკი, მ. შარაშენიძე, ზ. აბრამიშვილი, გ. ჯინჭარაძე, ვ. მთავრიშვილი.*
*ორგანიზაციული სტრუქტურა კონგრესი (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) - მთავარი კომიტეტი (ირჩევა 4 წლით, 12 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა კონგრესის მიერ 4 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.).*
*თავმჯდომარე ირაკლი წერეთელი (დაბ. 1961 წ.), ყოფილი დისიდენტი, 1983-1987 წწ. პოლიტპატიმარი, 1992-1995 წწ. საქართველოს პარლამენტის წევრი, ჰყავს მეუღლე და ქალიშვილი. მისამართი თბილისი, პ. ქავთარაძის ქ. №5, ბ. 60, ტელ.: 30 55 60.*
*წევრთა რაოდენობა 2.000 (აქედან აქტიურია 400). პარტიაში 306 ქალია.*

პარტიას აქვს 36 რაიონული ორგანიზაცია.

პარტია ინდივიდუალურად მონაწილეობდა 1992 წლის საპარლამენტო არჩევნებში. პარლამენტში წარმოდგენილი იყო პარტიული სიით არჩეული 4 დეპუტატით.

პარტია ინდივიდუალურად მონაწილეობდა 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში და დააგროვა ხმათა 1,86%.



1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია მხარს უჭერდა აკაკი ბაქრაძეს.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა კერძო, ეროვნული (სახელმწიფო) და საეკლესიო საკუთრება, შერეული ეკონომიკა. კერძო საკუთრება მიწაზე.
2. საგარეო პოლიტიკა პროდასავლური ორიენტაცია აშშ-ს პრიორიტეტით.
3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა უნიტარული.
4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპრეზიდენტო რესპუბლიკა.

პარტია მხარს უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

*მისამართი თბილისი, მაჩაბლის ქ. №8.*
*ტელეფონი 98 51 69; 98 49 84; 98 67 55. ფაქსი 98 51 69.*

## საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტია (სეეპ)

*დევიზი ეროვნული ერთიანობა.*
*პოლიტიკური მიმართულება მემარცხენე.*
*დაარსდა 1988 წ.*
*პირველი რეგისტრაცია 1990 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*
*დაფუძნების ინიციატორი გ. ჭინჭარაული.*

პარტია "საქართველოს ეროვნული ერთიანობისა და სოციალური თანასწორობის პარტიის" სამართალმემკვიდრეა.

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) - გამგეობა (ირჩევა 4 წლით, 9 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა გამგეობის მიერ 4 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.).*
*თავმჯდომარე გიორგი ჭინჭარაული (დაბ. 1947 წ.), ეკონომისტი, პროფესორი, თსუ თანამშრომელი. მისამართი ჭავჭავაძის ქ. №37, ტელ.: 29 46 51.*

*წევრთა რაოდენობა 2.500 (აქედან აქტიურია 1.000). პარტიაში 30% ქალია.*

ფორმირების პროცესშია პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაცია. აქვს რეგიონალური ორგანიზაციები ყველა რეგიონში და რაიონული ორგანიზაციები ყველა რაიონში.

პარტია მონაწილეობდა 1992 წლის საპარლამენტო არჩევნებში (შექმნა ბლოკი "საქართველოს მთიელთა პოლიტიკურ ლიგასთან" ერთად), მიიღო ხმათა 2%. პარლამენტში წარმოდგენილი იყო პარტიული სიით არჩეული 1 დეპუტატით.

პარტია ინდივიდუალურად მონაწილეობდა 1995 წლის არჩევნებში და მიიღო ხმათა 1%. ამჟამად პარტია პარლამენტში წარმოდგენილია პარტიული სიით არჩეული 1 დეპუტატით. გაერთიანებულია ფრაქცია "მოქალაქეთა კავშირში".

*წინასაარჩევნო საპროგრამო პრიორიტეტები 1995 წლის არჩევნებისას რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკა, სახელმწიფოს ფედერალური მოწყობა, ეროვნულ და ეთნიკურ უმცირესობათა ინტერესების დაცვა და სხვ.*

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკა. მიწაზე კერძო საკუთრება საქართველოს მოქალაქეთათვის.
2. საგარეო პოლიტიკა მშვიდობიანი თანაარსებობა სხვა სახელმწიფოებთან.
3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა ფედერალური.
4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპარლამენტო.

პარტია ნაწილობრივ უჭერს მხარს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

*მისამართი თბილისი, ბალანჩივაძის ქ. №5.*
*ტელეფონი 99 73 14; 93 65 57; 29 46 51.*

## საქართველოს ეროვნული პარტია (სეპ)



*დევიზი აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართლის ბედმა.*

*პოლიტიკური მიმართულება მემარჯვენე, პროდასავლური.*

*დაარსდა 1993 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1994 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები კ. გუგულაშვილი, მ. ლოლაძე, ლ. მესხი, მ. ალნიაშვილი, კ. კომახიძე, პ. თავზარაშვილი, გ. გოგბაიძე, ტ. შავლუხაშვილი, ა. შავლუხაშვილი, მურმან მიქაბერიძე და სხვ.*

პარტია წმიდა ილია მართლის საზოგადოების (ეროვნული კონგრესის ფრთა) სამართალმემკვიდრეა.

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) - მთავარი საბჭო (ირჩევა 4 წლით, 7 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა მთავარი საბჭოს მიერ 4 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.).*

*თავმჯდომარე კონსტანტინე გუგულაშვილი (დაბ. 1952 წ.), მშენებელი. ეროვნულ მოძრაობაში აქტიურად ჩაება 1987 წლიდან. 1988 წლიდან წმიდა ილია მართლის საზოგადოების წევრი _ 1990 წლიდან გამგეობის წევრი.*

*წევრთა რაოდენობა 1.307 (აქედან აქტიურია 10-12%). პარტიაში 212 ქალია.*

პარტიას აქვს 5 რეგიონალური და 12 რაიონული ორგანიზაცია.

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია მხარს უჭერდა აკაკი ბაქრაძეს.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა საბაზრო; კერძო საკუთრებაზე დამყარებული თავისუფალი მეწარმეობა, მაქსიმალური პრივატიზაცია. მიწაზე კერძო საკუთრება.
2. საგარეო პოლიტიკა საქართველოს გამოსვლა რუსეთის სამხედრო-სტრატეგიული სივრციდან და ინტეგრაცია ევროატლანტურ სივრცეში.
3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა უნიტარული.
4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპარლამენტო.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

პარტია არ მონაწილეობს 1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში საარჩევნო კანონის არადემოკრატიულობისა და ფინანსური ხელმოკლეობის გამო.

*მისამართი თბილისი, ნ. ჩხეიძის ქ. №2.*

*ტელეფონი 96 64 25.*

## საქართველოს თავისუფლებისა და ერთიანობის მოძრაობა "ჭყონდიდელი" (შემოკლებით "ჭყონდიდელი")

*პოლიტიკური მიმართულება კონსერვატიული.*

*დაარსდა 1992 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1997 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები დევნილი კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა ჯგუფი, რომელიც იმყოფებოდა აფხაზეთში; საინიციატივო ჯგუფს ხელმძღვანელობდა ვ. გაბელია.*

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 2 წელიწადში ერთხელ) - დარბაზი - (მოიწვევა 6 თვეში ერთხელ) - პოლიტიკური საბჭო (ირჩევა 2 წლით, 11 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა ყრილობაზე არჩეული პოლიტიკური საბჭოს მიერ 2 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1997 წ.).*

*თავმჯდომარე ჯემალ გამახარია (დაბ. 1949 წ. აფხაზეთში), ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრი, ცოლშვილიანი.*

*წევრთა რაოდენობა 7.000-ზე მეტი (აქედან აქტიურია 2.000-ზე მეტი). პარტიაში 2.000-მდე ქალია.*

პარტიას აქვს 3 რეგიონალური და 45 რაიონული ორგანიზაცია.

*ბეჭდვითი ორგანო გაზეთი "ჭყონდიდელი" (დაფუძნდა 1993 წელს სახელწოდებით "ჭყონდიდი", ტირაჟი 1.500).*

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია მხარს არ უჭერდა არცერთ კანდიდატს.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები



1. ეკონომიკა თავისუფალი მეწარმეობის წახალისება შესაბამისი საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მეშვეობით. მიწის პრივატიზაცია სასაზღვრო 30-40 კილომეტრიანი ზოლის გარდა.
2. საგარეო პოლიტიკა კავკასიურ სახლთან ერთად დასავლეთის სტრუქტურებში გაერთიანება.
3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა უნიტარული.
4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა ამჟამად საპრეზიდენტო, მომავალში შესაძლოა კონსტიტუციური მონარქიაც.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

პარტია არ მონაწილეობს 1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში არსებული ხელისუფლების არალეგიტიმურობის, 1991-1992 წლების გადატრიალების შეუფასებლობის, საარჩევნო კანონის არადემოკრატიულობის, ქვეყანაში არსებული არასტაბილური სიტუაციის და ადგილობრივი არჩევნების ჩაშლის საშიშროების გამო.

*მისამართი თბილისი, ტაშკენტის ქ. №25, ბ. 1.*

*ტელეფონი 38 03 11.*

## საქართველოს ინტელექტუალთა ლიგა (სილ)

*დევიზი საქართველოს ინტელექტუალური აზროვნება გადაარჩენს.*

*პოლიტიკური მიმართულება მემარცხენე ცენტრისტული.*

*დაარსდა 1995 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1995 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები ირაკლი ლომთაძე, დემურ ბაშელეიშვილი.*

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 5 წელიწადში ერთხელ) - პოლიტიკური საბჭო (ირჩევა 5 წლით, ყრილობის მიერ, 11 წევრი) - თავმჯდომარე (აირჩევა 5 წლით ყრილობის მიერ, ბოლოს აირჩიეს 1995 წ.).*

*თავმჯდომარე ირაკლი ლომთაძე (დაბ. 1948 წ.), დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკულტეტი. სატყეო და კვების მრეწველობის ტექნოლოგიური ინსტიტუტის რექტორი, ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტის თბილისის ფილიალის დირექტორი. კვების მრეწველობის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პრეზიდენტი, აკადემიკოსი.*

*წევრთა რაოდენობა 12.000 (აქედან აქტიურია 3.000). პარტიაში 45% ქალია.*

პარტიას აქვს 9 რეგიონალური და 2 საქალაქო ორგანიზაცია.

*ბეჭდვითი ორგანო სარგებლობს გაზეთით "პეგასი".*

პარტია ინდივიდუალურად მონაწილეობდა 1995 წლის არჩევნებში და მიიღო ხმათა 1,8%.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა საბაზრო ეკონომიკის განვითარება მოსახლეობის სოციალური ინტერესების გათვალისწინებით. მიწაზე კერძო საკუთრება; ამავე დროს სახელმწიფო უნდა ინარჩუნებდეს საკუთრებას სტრატეგიულად მნიშვნელოვან მიწებზე.
2. საგარეო პოლიტიკა ლოიალური და ნეიტრალური პოლიტიკა (გამომდინარე გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან).
3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა უნიტარული.
4. სახელმწიფოს სისტემის მოწყობა საპარლამენტო.

პარტია ნაწილობრივ უჭერს მხარს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს.

*მისამართი თბილისი, ჭავჭავაძის პრ. №55, III სართული.*
*ტელეფონი 29 35 25; 29 35 36. ფაქსი 22 73 02.*

## საქართველოს ინტელიგენციის კავშირი (სიკ)

*პოლიტიკური მიმართულება მემარცხენე.*
*დაარსდა 1997 წ.*



*პირველი რეგისტრაცია 1997 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები კ. თაბუკაშვილი, ჯ. ბიჭიაშვილი, ხ. ირემაშვილი, ნ. სულაშანიძე, კ. თაბუკაშვილი.*

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 2 წელიწადში ერთხელ) - მთავარი კომიტეტი და პოლიტიკური ბიურო (ირჩევა 4 წლით, 25 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა ყრილობის მიერ 4 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1997 წ.).*

*თავმჯდომარე კარლო თაბუკაშვილი (დაბ. 1925 წ.), ინჟინერი, ტ.მ.დ., პროფესორი, საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, საინჟინრო აკადემიის ექს-ვიცე-პრეზიდენტი, განყოფ. აკადემიკოს მდივანი. მისამართი თბილისი, ტ. ტაბიძის ქ. №41, ტელ.: 22 69 93.*

*წევრთა რაოდენობა 1.700 (აქედან აქტიურია 300). პარტიაში 225 ქალია.*

პარტიას აქვს ახალგაზრდული ორგანიზაცია _ საქართველოს ინტელიგენტთა ახალგაზრდული კავშირი (შეიქმნა 1998 წ. 260 წევრი).

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა კაპიტალიზმისა და სოციალიზმის კონვერგენციის გზით ეკონომიკური რეფორმების განხორციელება და სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის განვითარება. კერძო საკუთრება მიწაზე, გარდამავალ პერიოდში ყიდვა-გაყიდვის უფლების გარეშე. სასაზღვრო და ქალაქების მიწის ფართობების სახელმწიფო საკუთრებად დატოვება.
2. საგარეო პოლიტიკა ყოფილ სსრკ-ის რესპუბლიკებთან ევროკავშირის ანალოგიური კავშირის შექმნა.
3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა ამ ეტაპზე ფედერალური.
4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპრეზიდენტო.

პარტია მხარს ნაწილობრივ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

პარტია არ მონაწილეობს 1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში არასრულყოფილი საარჩევნო კანონის გამო.

*მისამართი თბილისი, ტ. ტაბიძის ქ. №41, ბ. 10.*
*ტელეფონი 22 69 93.*

## საქართველოს კომუნისტური პარტია

*დევიზი თანამემამულენო, შეერთდით !*

*პოლიტიკური მიმართულება მემარცხენე.*

*დაარსდა 1992 წ. ჯერ "საქართველოს მშრომელთა სოციალისტური პარტიის", შემდეგ "საქართველოს მშრომელთა კომუნისტური პარტიის" სახელით. 1994 წლიდან "საქართველოს კომუნისტური პარტია".*

*პირველი რეგისტრაცია 1994 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები ი. წიკლაური, შ. ბერიანიძე, ზ. ქველაძე, ე. ოქრუაშვილი.*

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 2 წელიწადში ერთხელ) - ცენტრალური კომიტეტის პლენუმი (მოიწვევა 6 თვეში ერთხელ) - ბიურო (მოიწვევა პლენუმებს შორის) - სამდივნო (ირჩევა 2 წლით, 4 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ 2 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1996 წ.).*

*თავმჯდომარე ივანე წიკლაური (დაბ. 1953 წ.), დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი პოლიტეკონომიის სპეციალობით. სპი პოლიტეკონომიის კათედრის მასწავლებელი. სავეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკის მართვის და დაგეგმვის ინსტიტუტის სექტორის გამგე.*

*წევრთა რაოდენობა 4.500 (აქედან აქტიურია 3.000). პარტიაში 35% ქალია.*

პარტიას აქვს ახალგაზრდული ორგანიზაცია _ ალკკ (700 წევრი), და 67 რაიონული ორგანიზაცია.

*ბეჭდვითი ორგანო გაზეთი "კომუნისტის ხმა" (ტირაჟი 1.500).*

პარტია ინდივიდუალურად მონაწილეობდა 1992 წლის საპარლამენტო არჩევნებში. პარლამენტში წარმოდგენილი იყო პარტიული სიით არჩეული 4 დეპუტატით.

პარტია ინდივიდუალურად მონაწილეობდა 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში და მიიღო ხმათა 3%.



1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია მხარს უჭერდა ე. შევარდნაძეს.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა ცენტრალიზებული სახელმწიფო მართვადი ეკონომიკა. მიწა სახალხო, ანუ სახელმწიფო საკუთრებაა.
2. საგარეო პოლიტიკა კავშირები ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან, აგრეთვე სხვა ქვეყნებთან ურთიერთ სასარგებლო საფუძვლებზე.
3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა ცენტრალიზებული. უნიტარული, რაიონული პრინციპით.
4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპრეზიდენტო.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

პარტია არ მონაწილეობს 1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში შემდეგი მიზეზებით 1. საქართველოს კონსტიტუციით არ არის განსაზღვრული საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა; 2. მოსახლეობის აღწერა არ მომხდარა ბოლო წლებში, რეალურ ამომრჩეველთა რაოდენობა განუსაზღვრელია, ამდენად გაყალბების დიდი შესაძლებლობაა; 3. არჩევნებში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მოსახლეობა არ მიიღებს მონაწილეობას, ე. ი. ეს ნიშნავს დაკარგული ტერიტორიების აღიარებას.

*მისამართი თბილისი, მონტინის ქ. №2, IV სართული.*
*ტელეფონი 899 56 18 72; 53 25 17.*

## საქართველოს კონსერვატიული (მონარქისტული) პარტია

*დევიზი ღმერთი, მამული, მეფე.*

*პოლიტიკური მიმართულება მემარჯვენე ცენტრისტული, ეროვნულ-პატრიოტული.*

*დაარსდა 1989 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1992 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები თ. ქორქოლიანი, ა. ჭელიძე, ი. ფავლენიშვილი, მ. მაყაშვილი, გ. ხონელიძე და სხვ.*

*ორგანიზაციული სტრუქტურა დიდი დარბაზი (მოიწვევა 2 წელიწადში ერთხელ) - მთავარი საბჭო (ირჩევა 2 წლით, 11 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა დიდი დარბაზის მიერ 2 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.).*

*თავმჯდომარე თეიმურაზ ქორქოლიანი, ისტორიკოსი, ორგზის პოლიტპატიმარი. ჰყავს მეუღლე და შვიდი შვილი. მისამართი თბილისი, ხვედელიანის ქ. №24.*

*წევრთა რაოდენობა 4.500 (აქედან აქტიურია 800). პარტიაში 300-მდე ქალია.*

პარტიას აქვს 7 რეგიონალური და 40 რაიონული ორგანიზაცია.

*ბეჭდვითი ორგანო გაზეთი "ძლევა " (გამოდის 1989 წლიდან).*

პარტია მონაწილეობდა 1992 წლის საპარლამენტო არჩევნებში (ბლოკი "მშვიდობა") და მიიღო ხმათა 34%. პარლამენტში წარმოდგენილი იყო 12 დეპუტატით (9 პარტიული სიით და 3 მაჟორიტარი).

1995 წლის არჩევნებში პარტია მონაწილეობდა ინდივიდუალურად (პარტიის ლიდერი დააპატიმრეს) და მიიღო ხმათა 3,5%.

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია მხარს არ უჭერდა არცერთ კანდიდატს.

პარტია არის ლონდონის კონსერვატიული პოლიტიკური ორგანიზაციების საერთაშორისო გაერთიანების წევრი.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა მემარჯვენეობა. კერძო საკუთრება მიწაზე.
2. საგარეო პოლიტიკა ანტირუსული, პროდასავლური ორიენტაცია.
3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა ფედერალიზმი.
4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპარლამენტო, კონსტიტუციური მონარქია.



პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

სტრატეგიული გაანგარიშებებისა და ეკონომიკური პრობლემების გამო, და შემდგომი საპარლამენტო არჩევნებისათვის ენერგიის კონცენტრაციის მიზნით, პარტია არ მონაწილეობს 1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში.

*მისამართი თბილისი, მაჩაბლის ქ. №8.*
*ტელეფონი 98 67 55. ფაქსი 98 67 55.*

## საქართველოს კონსერვატიული პარტია

*დაარსდა 1995 წ.*

*პოლიტიკური მიმართულება მემარჯვენე.*

*პირველი რეგისტრაცია 1995 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები გ. ჯოჯუა, მ. ქლენტი, გ. წულაია, გ. კარტოზია, ე. სოკუროვი, მ. ტაკიძე, დავით გახოკიძე.*

საქართველოს კონსერვატიული პარტია მონარქისტული პარტიისაგან გამოყოფილი ლიბერალურ-კონსერვატიული პარტიის სამართალმემკვიდრეა.

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა წელიწადში ერთხელ) - დარბაზი (ირჩევა 3 წლით, 11 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა დარბაზის მიერ 3 წლით, ბოლოს აირჩიეს 1997 წ.).*

*თავმჯდომარე გრიგოლ ჯოჯუა (დაბ. 1962 წ.), აღმოსავლეთმცოდნე. მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ეროვნებათა შორის ურთიერთობების კვლევის ცენტრში. სახელმწიფო საბჭოს წევრი (1992 წ.), პარლამენტის დეპუტატი (1993-1995 წწ.). მისამართი საბადურის ქ. №32, ტელ.: 877 42 05 31.*

*წევრთა რაოდენობა 3.400 (აქედან აქტიურია 300-მდე), პარტიაში 5-7% ქალია.*

პარტიას აქვს 7 რეგიონალური და 50-მდე რაიონული ორგანიზაცია.

1995 წლის არჩევნებში პარტია მონაწილეობდა ინდივიდუალურად (მიიღო ხმათა 0,51%).

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია არ უჭერდა მხარს არცერთ კანდიდატს.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა კერძო საკუთრება, ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკა, გარკვეული დარგების პროტექციონიზმი. ინვენტარიზაციის შემდგომ მიწის პრივატიზება, საკუთრების ყველა ფორმის დაცვით.
2. საგარეო პოლიტიკა რეგიონალური პოლიტიკის გააქტიურება, საქართველოს სახელმწიფო ინტერესების დაფიქსირება, მოდელში "ჩრდილოეთი _ სამხრეთი" სწრაფვა "ჩრდილოეთისაკენ".
3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა ფედერალური. პრიორიტეტები არა ეთნო-კონფესიური, არამედ ეკონომიკური თვალსაზრისით.
4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა კონსტიტუციური მონარქია.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი თვიმმართველობის არჩევნებში პარტია არ მონაწილეობს საარჩევნო კანონის არადემოკრატიულობის გამო.

*მისამართი თბილისი, ჭავჭავაძის პრ. №50.*
*ტელეფონი 77 44 73; 877 42 05 31.*

## საქართველოს მთიელთა კავშირი (სმკ)

*პოლიტიკური მიმართულება იბერიულ-კავკასიური.*

*დაარსდა 1990 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1992 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები დ. ქადაგიძე და მისი მეგობრები.*



პარტიას თავიდან ეწოდებოდა "საქართველოს მთიელთა კავშირი".

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) - გამგეობა (ირჩევა 4 წლით, 7-11 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა ყრილობის მიერ 4 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1995 წ.).*

*თავმჯდომარე დავით ქადაგიძე, დაამთავრა თსუ ინგლისური ენის განყოფილება. 1964 წლიდან დღემდე თსუ ინგლისური ენის კათედრის მასწავლებელი. 1962-1963 წწ. ნეპალში საელჩოს თარჯიმანი. 1992-1995 წწ. საქართველოს პარლამენტის წევრი.*

*წევრთა რაოდენობა 1.078 (აქედან უმრავლესობა აქტიურია). პარტიაში ბევრი ქალია.*

პარტიას აქვს რამდენიმე რეგიონალური და რაიონული ორგანიზაცია.

პარტია ინდივიდუალურად მონაწილეობდა 1992 წლის საპარლამენტო არჩევნებში და პარლამენტში წარმოდგენილი იყო პარტიული სიით არჩეული 1 დეპუტატით.

პარტია მონაწილეობდა 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში (ბლოკი “მოძრაობა სიცოცხლისათვის”).

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია მხარს უჭერდა ჯ. პატიაშვილს.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა შერეული. მიწაზე სახელმწიფო საკუთრება (ყიდვა-გაყიდვა დაუშვებელია).
2. საგარეო პოლიტიკა საქართველო კავკასიის განუყოფელი ნაწილია.
3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა ერთიანი საქართველო გუბერნიების გარეშე.
4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპარლამენტო.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

პარტია არ მონაწილეობს 1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში იმის გამო, რომ არჩევნებს გააყალბებენ და ყველაფერი წინასწარ არის გადაწყვეტილი.

*მისამართი თბილისი, ი. აბაშიძის ქ. №76.*
*ტელეფონი 22 54 30; 23 37 99.*

## საქართველოს მთიელთა პოლიტიკური ლიგა (სმპლ)

*პოლიტიკური მიმართულება ცენტრისტული.*

*დაარსდა 1988 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1990 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები ს. გოგოჭური, პ. ფირანიშვილი.*

პარტიამ ნაწილობრივ შეიცვალა სახელი _ "კავშირი" შეიცვალა "ლიგით".

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) - გამგეობა (ირჩევა 4 წლით, 11 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა გამგეობის მიერ 4 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.).*

*თავმჯდომარე გელა ფიცხელაური (დაბ. 1947 წ.), მიიღო უმაღლესი ტექნიკური განათლება; მუშაობს მთაწმინდის რაიონის საგადასახადო ინსპექციაში.*

*წევრთა რაოდენობა 3.000 (აქედან აქტიურია 1.000). პარტიაში 850 ქალია.*

პარტიას აქვს ახალგაზრდული ორგანიზაცია _ მთიელთა ახალგაზრდული კავშირი (დაარსდა 1990 წ.), და რეგიონალური ორგანიზაციები ყველა რეგიონში.

პარტია მონაწილეობდა 1992 წლის საპარლამენტო არჩევნებში (ბლოკში საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტიასთან ერთად) და მიიღო ხმათა 2%. პარლამენტში წარმოდგენილი იყო პარტიული სიით არჩეული 1 დეპუტატით.

პარტია მონაწილეობდა 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში (იმავე ბლოკში) და მიიღო ხმათა 1,8%.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა რეგულირებადი საბაზრო ტრადიციული ეკონომიკა. მიწაზე საკუთრების ყველა ფორმა.



2. საგარეო პოლიტიკა ურთიერთთანასწორობა და პატივისცემა.
3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა ფედერალური.
4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპარლამენტო.

პარტია ნაწილობრივ უჭერს მხარს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

*მისამართი თბილისი, ბალანჩივაძის ქ. №5.*
*ტელეფონი 79 97 06.*

## საქართველოს მოსახლეობის სოციალური დაცვის პარტია (სმსდპ)

*დევიზი არცერთი სოციალურად დაუცველი.*

*პოლიტიკური მიმართულება ცენტრისტული.*

*დაარსდა 1995 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1995 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები ბ. მელაძე, ლ. ნადირაშვილი, ი. იაკობაშვილი, ბ. ცერცვაძე, ა. მაჭავარიანი, ჯ. ონიანი, ი. კობახიძე, გ. ბიწაძე, ა. კაპანაძე, გ. სარალიძე, ა. ყელოშვილი, ზ. რობაქიძე.*

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) - საბჭო (ირჩევა 4 წლით, 21 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა ყრილობის მიერ 4 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1995 წლის 10 აპრილს).*

*თავმჯდომარე ბადრი ცერცვაძე (დაბ. 1954 წ. ჭიათურის რ-ნში), განათლება უმაღლესი. მუშაობს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში. ჰყავს მეუღლე და ექვსი შვილი. მისამართი ალ. ჭავჭავაძის ქ. №12.*

*წევრთა რაოდენობა 32.516 (აქედან აქტიურია 158). პარტიაში 14.284 ქალია.*

პარტიას აქვს ახალგაზრდული ორგანიზაცია (შეიქმნა 1996 წლის 17 იანვარს, 1.220 წევრი), 24 რეგიონალური და 71 რაიონული ორგანიზაცია.

*ბეჭდვითი ორგანო გაზეთი "ხსნა" (შეიქმნა 1997 წელს, გამოდის უფასოდ თანხის არსებობისას).*

პარტია ინდივიდუალურად მონაწილეობდა 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში და მიიღო ხმათა 1,6%.

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია მხარს უჭერდა ე. შევარდნაძეს.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა თავისუფალი და შერეული ეკონომიკური სისტემები. მიწა უნდა იყოს მხოლოდ კერძო საკუთრების ობიექტი და უნდა არსებობდეს მიწის ბაზარი, სახელმწიფო ინტერესები დაცული უნდა იქნეს კანონით.
2. საგარეო პოლიტიკა აშშ და დასავლეთის ქვეყნები.
3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა უნიტარული.
4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპრეზიდენტო, საპარლამენტო.

პარტია მხარს უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

პარტია არ მონაწილეობს 1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში შემდეგი მიზეზებით თვითმმართველობის ორგანოები როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირები არ არიან შექმნილი "სამოქალაქო კოდექსის საჯარო კანონის" შესაბამისად. ამასთანავე "საქართველოს კანონი თვითმმართველობის შესახებ" ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას. ამიტომ მიგვაჩნია, რომ თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობა ყოველთვის იქნება უკანონო, არ ფინანსდება შესაბამისად.

*მისამართი თბილისი, რუსთაველის პრ. №18.*
*ტელეფონი 92 22 52; 52 83 65.*

## საქართველოს მშრომელთა პოლიტიკური ორგანიზაცია

*პოლიტიკური მიმართულება კომუნისტური.*
*დაარსდა 1990 წ.*
*პირველი რეგისტრაცია 1990 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*



*დაფუძნების ინიციატორები თ. კანთელაშვილი, ი. ჯიოშვილი, მ. ცარციძე, ვ. ოქროპირიძე, თათარაშვილი, რ. თინიკაშვილი.*

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 3 წელიწადში ერთხელ) - ცენტრალური კომიტეტი (ირჩევა 3 წლით, 11 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა ცენტრალური კომიტეტის მიერ 3 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1996 წ.).*

*თავმჯდომარე თენგიზ კანთელაშვილი, არის ქართველი, დაბა სურამიდან, სამართალში არ ყოფილა.*

*წევრთა რაოდენობა 1.479 (აქედან ყველა აქტიურია).*

პარტიას აქვს 14 რეგიონალური და 5 რაიონული ორგანიზაცია.

*ბეჭდვითი ორგანო "სტალინელი" (დაარსდა 1990 წ. ტირაჟი 2.000).*

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია მხარს უჭერდა ჯ. პატიაშვილს.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა ყველა საწარმოს მთლიანად ამოქმედება და ხალხის დასაქმება. მიწა სახელმწიფო საკუთრებაში.
2. საგარეო პოლიტიკა ყველა ყოფილ სოციალისტურ სახელმწიფოსთან ურთიერთობა და მეგობრობა, გარდა კაპიტალისტურისა.
3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა სოციალისტურ სახელმწიფოებთან ურთიერთდამოკიდებულება ყველა საკითხში, გარდა კაპიტალისტურისა, პარტია მათ არ ცნობს.
4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა არცერთი გარდა სოციალისტურისა.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

პარტია არ მონაწილეობს 1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, რადგან პარტია ბოლშევიკებისაგან შედგება და ბურჟუაზიულ სახელმწიფოში არასოდეს მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას.

*მისამართი გორი, ერთობის ქ. №54.*
*ტელეფონი 2 37 71.*

## საქართველოს ნაციონალისტური პარტია (სნპ)

*დევიზი ერი და მამული.*

*პოლიტიკური მიმართულება მემარჯვენე, დასავლური ორიენტაციისა.*

*დაარსდა 1993 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1993 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები ზ. ვაშაყმაძე, გ. ჩლაიძე, კ. შოშიაშვილი.*

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) - სათათბირო დარბაზი (ირჩევა 4 წლით, 7 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა ყრილობის მიერ 4 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.).*

*თავმჯდომარე ზაზა ვაშაყმაძე (დაბ. 1972 წ.), დაამთავრა მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუტი, საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური აკადემია. ადვოკატი სამგორის ადვოკატურაში, უცოლშვილო. მისამართი თბილისი, ვაზისუბანი, II მ/რ, II კორპ. ბ. 169.*

*წევრთა რაოდენობა 2.500 (აქედან აქტიურია 500). პარტიაში 150 ქალია.*

პარტიას აქვს ახალგაზრდული ორგანიზაცია _ ახალგაზრდა ნაციონალისტი (შეიქმნა 1997 წ. 400-450 წევრი), და 15 რაიონული ორგანიზაცია.

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია მხარს უჭერდა ა. ბაქრაძეს.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა შერეული _ სახელმწიფო და კერძო საკუთრება. კერძო საკუთრება მიწაზე, გარდა სასაზღვრო 20 კილომეტრიანი ზოლისა.

2. საგარეო პოლიტიკა გაერთიანება ყველა ევროპულ სტრუქტურაში. დსთ-დან გამოსვლა და რუსეთის გავლენის შემცირება. საქართველოს შესვლა ნატო-ში.



3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა უნიტარული. დღეს არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების შერწყმა-გაერთიანება.

4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა ამ ეტაპზე საპრეზიდენტო, საბოლოოდ მონარქია.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

*მისამართი თბილისი, ვაზისუბანი, II მ/რ, II კორპ. ბ. 169; ანაგის ქ. №7, XV სართ.*

*ტელეფონი 38 08 78; 75 74 36; 61 54 48.*

## საქართველოს პენსიონერთა უფლებების დაცვის კავშირი

*პოლიტიკური მიმართულება მემარცხენე ცენტრისტული.*

*დაარსდა 1997 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1997 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები ი. ნაცვლიშვილი, ლ. გვენეტაძე, მ. ჭაჭიაშვილი, რ. ქარჩხაძე, გ. შენგელია, რ. ჩინჩალაძე.*

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) - მთავარი კომიტეტი (ირჩევა 4 წლით, 11 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა მთავარი კომიტეტის მიერ 4 წლით, ბოლოს აირჩიეს 1997 წ.).*

*თავმჯდომარე ირაკლი ნაცვლიშვილი (დაბ. 1949 წ.), 1980 წელს დაამთავრა საკავშირო კავშირგაბმულობის ინსტიტუტი, 1984 წ. _ უმაღლესი პარტიული სკოლა, ფილოსოფიური განხრით. საკავშირო ჩემპიონი რაგბიში 1976 წ. მუშაობდა "სახ. ტელე-რადიო კომიტეტში", გამომთვლელი მანქანების ქარხნის "ელვა" უფროსი ინჟინერი. მონაწილეობდა საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლებში, კერძოდ, დალის ხეობაში, 51-ე ბატალიონის უფროსის მოადგილე. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.*

*წევრთა რაოდენობა 3.200-ზე მეტი (აქედან აქტიურია 250-300). პარტიაში 40% ქალია.*

პარტიას აქვს 2 რეგიონალური და 5 რაიონული ორგანიზაცია.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, მსხვილ სტრატეგიულ საწარმოებზე სახელმწიფო კონტროლი. მიწაზე კერძო საკუთრება.
2. საგარეო პოლიტიკა ურთიერთმეგობრული ყველა ქვეყანასთან.
3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა საწყის ეტაპზე ფედერაცია, შემდეგ _ ერთიანი სახელმწიფო.
4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა ძლიერი საპარლამენტო, შეზღუდული საპრეზიდენტო.

პარტია არ უჭერს მხარს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

პარტია ვერ მონაწილეობს 1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, რადგან პარტიული სიების წარდგენა გაყალბების გარეშე შეუძლებელია. არის ფინანსური მხარეც _ პარტია სახელმწიფოს მხრიდან არ ფინანსდება.

*მისამართი თბილისი, თაბუკაშვილის ქ. №5.*

*ტელეფონი 30 74 96.*

## საქართველოს პოლიტიკური მოძრაობა "მამული, ენა, სარწმუნოება" (მესა)

*პოლიტიკური მიმართულება ცენტრისტული.*

*დაარსდა 1993 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1993 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები ზ. ხაჩიძე, ს. მახარაძე, ი. სამხარაძე, თ. ბოლქვაძე, ნ. კვინიკაძე.*

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) - მთავარი კომიტეტი (ირჩევა 4 წლით, 15 წევრი) - საქალაქო (რაიონული) კომიტეტი -*



*თავმჯდომარე (ირჩევა ყრილობის მიერ 4 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1995 წ.).*

*თავმჯდომარე ზაურ ხაჩიძე (დაბ. 1962 წ.), 1998 წ. დაამთავრა დნეპროპეტროვსკის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ინჟინერი. საქართველოს პრეზიდენტის დაქვემდებარებაში მყოფი სამსახურის უფროსის 1-ლი მოადგილე. ჰყავს მეუღლე და შვილი. მისამართი თბილისი, აბესაძის ქ. №12.*

*წევრთა რაოდენობა 10.000 (აქედან აქტიურია 8.000). პარტიაში 50% ქალია.*

პარტიას აქვს 8 რეგიონალური და 59 რაიონული ორგანიზაცია.

*ბეჭდვითი ორგანო გაზეთი "მამული, ენა, სარწმუნოება" (დაარსდა 1994 წ. გამოდის თვეში ორჯერ, ტირაჟი 5.000).*

პარტია ინდივიდუალურად მონაწილეობდა 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში და მიიღო ხმათა 1,05%.

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია მხარს უჭერდა ე. შევარდნაძეს.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა მესა მთლიანად ეთანხმება საქართველოს პრეზიდენტის საპროგრამო კურსს ეკონომიკაში. მიწა საქართველოს მოქალაქეს უნდა გადაეცეს იჯარა-გამოსყიდვით, გარკვეული ვადით.
2. საგარეო პოლიტიკა მესა მთლიანად ეთანხმება საქართველოს პრეზიდენტის საპროგრამო კურსს საგარეო პოლიტიკაში.
3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა მესა მთლიანად ეთანხმება საქართველოს პრეზიდენტის საპროგრამო კურსს სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობის საკითხში.
4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა მესა მთლიანად ეთანხმება საქართველოს პრეზიდენტის საპროგრამო კურსს სახელმწიფო სისტემის მოწყობის საკითხში.

პარტია მხარს მთლიანად უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

პარტია ვერ მონაწილეობს 1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, რადგან სათანადოდ ვერ მოემზადა თვითმმართველობის არჩევ-

ნებისათვის, მაგრამ მისი თითოეული წევრი მონაწილეობას მიიღებს ინდივიდუალურად. მესა მონაწილეობას მიიღებს 1999 წლის საპარლამენტო და 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში.

*მისამართი თბილისი, ლესელიძის ქ. №4.*

*ტელეფონი 93 38 10.*

## საქართველოს პროგრესისტული პარტია (სპპ)

*დევიზი პროგრესი და დემოკრატია.*

*პოლიტიკური მიმართულება პროგრესისტული.*

*დაარსდა 1995 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1995 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები ვ. ქლენტი, ი. ტოლიაშვილი, ნ. კენჭურაშვილი, მ. ქუთელია.*

პარტია არალეგალური, იატაკქვეშა ორგანიზაციის, "ეროვნული თვითშეგნების აღონძინების" (1971-1980 წწ.) ბაზაზე შეიქმნა.

*ორგანიზაციული სტრუქტურა სპპ ყრილობა (მოიწვევა 2 წელიწადში ერთხელ) - მთავარი კომიტეტი (ირჩევა 1 წლით, 12 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა ყრილობის მიერ 2 წლით, ბოლოს აირჩიეს 1997 წ.).*

*თავმჯდომარე ვაჟა ქლენტი (დაბ. 1938 წ.), 1956 წ. ანტისაბჭოური მოღვაწეობისათვის კომკავშირიდან, ხოლო 1957 წ. ინსტიტუტიდან გარიცხეს. 1971 წ. დააარსა იატაკქვეშა ორგანიზაცია _ "ეროვნული თვითშეგნების აღორძინება". 1980 წ. დააპატიმრეს და მიუსაჯეს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასჯელს იხდიდა ქ. პერმში. 1995 წ. არჩეულ იქნა სპპ-ს თავმჯდომარედ. მისამართი ქ. რუსთავი, 21-ე მ/რ, სახლი №8, ბ. 5.*

*წევრთა რაოდენობა 1735 (აქედან აქტიურია 156), პარტიაში 626 ქალია.*

პარტიას აქვს 6 რეგიონალური და 11 რაიონული ორგანიზაცია.



1995 წლის არჩევნებისას პარტიამ მიიღო ხმათა 1,6%.

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია მხარს უჭერდა ე. შევარდნაძეს.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა ეკონომიკის სახელმწიფოსათვის დაქვემდებარება, მართვადი საბაზრო ეკონომიკა. მიწა უნდა იყოს სახელმწიფოს განკარგვაში.

2. საგარეო პოლიტიკა მტკიცე, ნეიტრალური სახელმწიფო.

3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა შენარჩუნდეს ძველი რაიონული დაყოფა, მაგრამ გარდამავალ პერიოდში ეროვნული ინტერესების თანხვედრილი სამხარეო დაყოფაც შესაძლებელია.

4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპრეზიდენტო და საპარლამენტო სისტემების ჰარმონიული შერწყმა.

პარტია დღევანდელი ხელისუფლების კურსს მხარს უჭერს საგარეო პოლიტიკაში, ხოლო საშინაო და ეკონომიკურ პოლიტიკაში _ არა.

1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში უსახსრობის გამო ვერ მონაწილეობს.

*მისამართი ქ. თბილისი, წყნეთის ქ. №4ა კორპუსი, ოთახი 20.*

*ტელეფონი 23 25 75.*

## საქართველოს რესპუბლიკური პარტია (სრპ)

*პოლიტიკური მიმართულება ნეოკონსერვატიზმი, მემარჯვენე-ცენტრისტული.*

*დაარსდა 1978 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1990 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები ვ. ძაბირაძე, ვ. შონია, ლ. ბერძენიშვილი, ფ. ჯაჯანიძე, დ. ბერძენიშვილი, ა. ქლერია.*

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა წელიწადში ერთხელ) - ეროვნული კომიტეტი (ირჩევა 1 წლით, 10 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა ეროვნული კომიტეტის მიერ, ბოლოს აირჩიეს 1996 წ.).*

*თავმჯდომარე ივლიანე ხაინდრავა (დაბ 1951 წ.), ქიმიკოსი, მთარგმნელი რეფერენტი. 1973-1989 წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემა. 1990 წ. ეროვნული კონგრესის პრეზიდიუმის წევრი. 1992-1995 წწ. საქართველოს პარლამენტის წევრი. 1991 წლიდან რესპუბლიკური პარტიის წევრი. მისამართი თბილისი, ს. ჩიქოვანის ქ. №22, ბ. 38, ტელ.: 36 41 34.*

*წევრთა რაოდენობა 1.3000 (აქედან აქტიურია რამდენიმე ასეული). პარტიაში 50%-მდე ქალია.*

პარტიას აქვს 1 რეგიონალური და 28 რაიონული ორგანიზაცია.

პარტია მონაწილეობდა 1990 წლის საპარლამენტო არჩევნებში (ბლოკი "დემოკრატიული საქართველო") და მიიღო ხმათა 2%. პარლამენტში წარმოდგენილი იყო 3 მაჟორიტარი დეპუტატით.

პარტია მონაწილეობდა 1992 წლის საპარლამენტო არჩევნებში (ბლოკი "11 ოქტომბერი") და მიიღო ხმათა 16% (თბილისში) და 18% (აჭარაში). პარლამენტში წარმოდგენილი იყო პარტიული სიით არჩეული 10 დეპუტატით.

პარტია ინდივიდუალურად მონაწილეობდა 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში და მიიღო ხმათა 2%-ზე ნაკლები.

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია მხარს უჭერდა ა. ბაქრაძეს.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა თავისუფალი ბიზნესის გარემოს შექმნა დაბალი გადასახადებითა და სხვა მექანიზმებით. მიწაზე კერძო საკუთრება ყველა რეგიონში.
2. საგარეო პოლიტიკა ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრირება.
3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა ასიმეტრიული რეგიონალიზმი.
4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპარლამენტო.



პარტია მხარს უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს მეტ-ნაკლებად, მხოლოდ საგარეო პოლიტიკაში, ყველა სხვა მიმართულებით მკვეთრად ნეგატიურადაა განწყობილი.

პარტია არ მონაწილეობს 1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში შემდეგი მიზეზებით 1. ირჩევა არა თვითმმართველობა, არამედ რაიონული ნომენკლატურის რამდენიმე ახალი (ან ძველი) წევრი; 2. საარჩევნო კანონის უვარგისობა; 3. "ჩიტი ბრდღვნად არ ღირს".

*მისამართი თბილისი, ათონელის ქ. №31/2.*
*ტელეფონი (99532) 93 25 36. ფაქსი (99532) 93 25 36.*
E-mail: cdc@access.sanet.ge

## საქართველოს სამეფო ლიგა (სსლ)

*დევიზი ღმერთი, მეფე, მამული.*

*პოლიტიკური მიმართულება მემარჯვენე.*

*დაარსდა 1995 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1997 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები დ. ფავლენიშვილი, ლ. ფავლენიშვილი, ბ. ფხალაძე, ზ. ბატიაშვილი, მ. მუსერიძე, ზ. თაქთაქიშვილი, ნ. მღვდელაძე, თ. ნეფარიძე.*

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 3 წელიწადში ერთხელ) - საბჭო (ირჩევა 3 წლის ვადით, 13 წევრი) - მეურვე (აირჩევა 3 წლით, ბოლოს აირჩიეს 1997 წ.).*

*მეურვე დავით ფავლენიშვილი (დაბ. 1943 წ.), პროფესია _ გეოლოგი, ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი; არის "მრგვალი მაგიდა _ თავისუფალი საქართველოს" წევრი.*

*წევრთა რაოდენობა 1350 (აქედან აქტიურია 120), პარტიაში 40% ქალია.*

პარტიას აქვს 6 რეგიონალური და 26 რაიონული ორგანიზაცია.

1995 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებს პარტიამ გამოუცხადა აქტიური ბოიკოტი.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა საბაზრო ეკონომიკა, მეურნეობის ტრადიციული ეროვნული ფორმების აღდგენა. მიწაზე კერძო საკუთრება სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით.
2. საგარეო პოლიტიკა ურთიერთობა ყველა დემოკრატიულ, სამართლებრივ, დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით.
3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა უნიტარული.
4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა სამეფო ხელისუფლება.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს.

პარტია არ მონაწილეობს 1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში საარჩევნო კანონის არადემოკრატიულობის, არჩევნების კანონით გათვალისწინებული წესების წინასწარვე დარღვევის გამო.

*მისამართი თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ქ. №21.*
*ტელეფონი 95 14 98.*

## საქართველოს სახალხო დემოკრატიული პარტია (სსდპ)

*დევიზი კეთილდღეობა ყველასათვის.*

*პოლიტიკური მიმართულება პოლიტიკური მიმართულებები პირობითია დროში. სსდპ-ში მეტ-ნაკლებად ყველა მათგანია წარმოდგენილი. ძირითადად, პარტია იცავს საშუალო და ღარიბი ფენების ინტერესებს.*

*დაარსდა 1995 წ. (სახელწოდებით "თავისუფალ დემოკრატთა კავშირი").*

*პირველი რეგისტრაცია 1996 წ. სახელწოდებით "თავისუფალ დემოკრატთა კავშირი", 1996 წ. სახელწოდებით "საქართველოს სახალხო დემოკრატიული პარტია"; ხელახალი რეგისტრაცია 1997 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები გურამ უსტიაშვილი, მურმან თურნავა, მანანა უსტიაშვილი, დალი ჯლამაძე, ზურაბ ახვლედიანი, რამინ ლომსაძე და სხვ.*



სსდპ გამოეყო დემოკრატიულ პარტიას.

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 5 წელიწადში ერთხელ) - ცენტრალური პოლიტიკური საბჭო - საბჭოს პრეზიდიუმი (ირჩევა 4 წლით) - თავმჯდომარე (ირჩევა ყრილობის მიერ, 5 წლით, ბოლოს აირჩის 1997 წ).*

*თავმჯდომარე გურამ უსტიაშვილი (დაბ. 1948 წ.), თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი, ფინანსისტი, დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი. 1990 წლის არჩევნებში კენჭს იყრიდა ინდივიდუალურად ყვარლის რაიონში, სადაც მიიღო ხმათა 6%.*

*წევრთა რაოდენობა 6.138 (აქედან აქტიურია 1.200-დან 1.500-მდე), პარტიაში 2.008 ქალია.*

პარტიას აქვს ახალგაზრდული ორგანიზაცია (შეიქმნა 1998 წ., 901 წევრი) და 64 რაიონული ორგანიზაცია.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა დემოკრატიული ეკონომიკა, სოციალური თანასწორობა. მიწის ვადიანი ყიდვა-გაყიდვა.
2. საგარეო პოლიტიკა კეთილმეზობლური ურთიერთობა მეზობელ სახემწიფოებთან, მსოფლიოს დიდ სახელმწიფოთა შესაძლებლობების გამოყენება ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ.
3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა ერთიანი განუყოფელი საქართველო, ამ სისტემის ფარგლებში შესაძლებელია მსხვილი ადმინისტრაციული ოლქების შექმნა. სახელმწიფოს შემადგენლობაში ბუნებრივია ავტონომიური რესპუბლიკების არსებობა.
4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპარლამენტო, ნახევრად საპრეზიდენტო.

პარტია ფიქრობს, რომ დღევანდელ ხელისუფლებას ჩამოყალიბებული პოლიტიკური კურსი არა აქვს.

პარტია არ მონაწილეობს 1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში შემდეგი მიზეზით კანონი არის დისკრიმინაციული, რადგან არ უქმნის თანაბარ პირობებს ყველა პარტიას.

*მისამართი თბილისი, აღმაშენებლის პრ. №103.*
*ტელეფონი 94 05 80; 95 97 14.*

## საქართველოს სახელმწიფოებრივ-ეროვნული მთლიანობის პარტია "სამშობლოს ფარი".

*დევიზი სამშობლო უპირველეს ყოვლისა.*

*პოლიტიკური მიმართულება მემარჯვენე რადიკალური.*

*დაარსდა 1992 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1992 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები ა. ნადარაია, კ. ნადარია, მ. გულუა, ა. ბახია, რ. სალია, ნ. გახარია.*

პარტიას 1994 წლამდე ერქვა "საქართველოს სახელმწიფოებრივ-ეროვნული მთლიანობის პარტია".

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) - დარბაზი (ირჩევა 4 წლით, 19 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა ყრილობის მიერ 4 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1997 წ.).*

*თავმჯდომარე ამირან ნადარაია (დაბ. 1927 წ.), 1945-1951 წწ. სამედიცინო ინსტიტუტი, 1952-1954 სანეპიდსადგურის ექიმი, 1954 წ. ტყვარჩელის სანეპიდსადგურის მთავარი ექიმი, 1954-1956 წწ. სოხუმის საქალაქო სანეპიდსადგურის მთავარი ექიმი, 1956-1958 წწ. საქ. რესპ. სანეპიდსადგურის მთავარი ექიმი.*

*წევრთა რაოდენობა 3.100 (აქედან აქტიურია 45). პარტიაში 40% ქალია.*

პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაცია ჩამოყალიბების პროცესშია, აქვს 4 რაიონული ორგანიზაცია.

პარტია ინდივიდუალურად მონაწილეობდა 1992 წლის საპარლამენტო არჩევნებში და პარლამენტში წარმოდგენილი იყო პარტიული სიით არჩეული 1 დეპუტატით.

პარტია ინდივიდუალურად მონაწილეობდა 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში და მიიღო ხმათა 1%-ზე ნაკლები.

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია მხარს არ უჭერდა არცერთ კანდიდატს.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები



1. ეკონომიკა წარმოების, სოფლის მეურნეობის, სამხედრო მრეწველობის ამუშავება და განვითარება. მიწის იჯარით გაცემა და მემკვიდრეობით გადაცემა (ყიდვა-გაყიდვის გარეშე).
2. საგარეო პოლიტიკა მეგობრული და თანასწორუფლებიანი ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან.
3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა უნიტარული.
4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპრეზიდენტო.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

პარტია არ მონაწილეობს 1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ტექნიკური მიზეზების, გაუმართავი საარჩევნო კანონისა და არჩევნების მოსალოდნელი გაყალბების გამო.

*მისამართი თბილისი, ნუცუბიძის ქ. №10.*

*ტელეფონი 39 44 65.*

## საქართველოს სოციალ-დემოკრატთა კავშირი (სსდკ)

*პოლიტიკური მიმართულება მემარცხენე ცენტრისტული.*

*დაარსდა 1995 წ. სახელწოდებით "საქართველოს მოქალაქეთა მოძრაობა სიცოცხლისათვის".*

*პირველი რეგისტრაცია 1997 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები ზ. თოლორაია, კ. ძნელაძე, თ. დვალი, მ. ბერაძე, პ. ნადარეიშვილი, გ. მესტიაშვილი, კ. ნიქაბაძე, ა. ჩხაიძე, დ. კინწურაშვილი.*

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) - მთავარი კომიტეტი (ირჩევა 4 წლით, 7 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა ყრილობის მიერ 4 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.).*

*თავმჯდომარე ზურაბ თოლორაია (დაბ. 1952 წ.), 1989 წლიდან აქტიურად მონაწილეობდა ეროვნულ მოძრაობაში. ჰყავს მეუღლე და ვაჟიშვილი. მისამართი თბილისი, თემქ-ის №10ბ კვ. კ. 3, ბ. 44.*

*წევრთა რაოდენობა 1.500 (აქედან აქტიურია 75). პარტიაში 40% ქალია.*

პარტიას აქვს 6 რეგიონალური და 15 რაიონული ორგანიზაცია.

პარტია მონაწილეობდა 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში (ბლოკში მთიელთა კავშირთან ერთად) და მიიღო ხმათა 1,51%.

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია მხარს უჭერდა ჯ. პატიაშვილს.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა, საშუალო ფენის შექმნა, წვრილი და საშუალო მეწარმის ხელშეწყობა, ეროვნული წარმოების განვითარება, დაცვა. საკურორტო მეურნეობა. მიწა სახელმწიფო საკუთრებაა, შეიძლება გადაეცეს მოქალაქეს ფლობა-სარგებლობის სახით, გაყიდვის უფლების გარეშე, მემკვიდრეობით გადაცემის უფლებით.

2. საგარეო პოლიტიკა აქტიური ნეიტრალიტეტი. ყველა სახელმწიფოსთან კეთილმეზობრული ურთიერთობა.

3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა საქართველოს ფაქტიური მდგომარეობა ფედერაციულია, საჭიროა ძლიერი რეგიონები ძლიერი ცენტრით.

4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპარლამენტო რესპუბლიკა შეზღუდული საპრეზიდენტო მმართველობით.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

პარტია არ მონაწილეობს 1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში შემდეგი მიზეზებით პარტია არ ეთანხმება კანონს ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, კანონი არადემოკრატიულია. მერები, გამგებლები დანიშნულია, ცენტრალური საარჩევნო კომისია კომპლექტდება არადემოკრატიული პრინციპით. სახსრების სიმცირე. მზადება საპარლამენტო არჩევნებისათვის.

*მისამართი თბილისი, თემქ-ის №10ბ კვ. კ. 3, ბ. 44.*



*ტელეფონი 60 36 64.*

## საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია (სსდპ)

*პოლიტიკური მიმართულება მემარცხენე ცენტრისტული.*

*დაარსდა 1893 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1992 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები გ. მუჩაიძე, ჯ. კახნიაშვილი.*

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 2 წელიწადში ერთხელ) - ცენტრალური კომიტეტი (ირჩევა 2 წლით, 65 წევრი) - პოლიტიკური კოლეგია (21 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა კომიტეტის მიერ 2 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1997 წ.).*

*თავმჯდომარე ჯემალ კახნიაშვილი (დაბ. 1940 წ.), ეკონომისტი. 1977-1978 წწ. სწავლობდა პარიზის ეკონომიკური და იურიდიული უნივერსიტეტის დოქტურატურაში. 1980 წ. დაამთავრა თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი. ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი. 1991 წლიდან თბილისის საბაზრო ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის რექტორი.*

*წევრთა რაოდენობა 2.800 (აქედან აქტიურია 280). პარტიაში 40% ქალია.*

პარტიას აქვს ახალგაზრდული ორგანიზაცია (ხელმძღვანელი ზ. შონია) და 7 რეგიონალური ორგანიზაცია.

*ბეჭდვითი ორგანო გაზეთი "ერთობა" (გამოდის 1918 წლიდან, ამჟამად თვეში ერთხელ, ტირაჟი 1.000).*

პარტია გაერთიანებულია სოციალისტურ ინტერნაციონალში მუდმივი სტუმრის სტატუსით.

1990 წლის საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა.

1992 წლის საპარლამენტო არჩევნებში მიიღო ხმათა 2% და ჰყავდა პარტიული სიით არჩეული 2 დეპუტატი.

1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში პარტია მონაწილეობდა (ბლოკში ერთიან კომუნისტურ პარტიასთან) და მიიღო ხმათა 4,9%.

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია მხარს უჭერდა პანტელეიმონ გიორგაძეს.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა საკუთრების მრავალფეროვნების თანაარსებობა, სახელმწიფოს აქტიური ჩარევა ეკონომიკაში. მიწის დანაწილება კერძო საკუთრებაში, მისთვის სახელმწიფო მხარდაჭერა.
2. საგარეო პოლიტიკა მშვიდობიანი თანაარსებობა, აქტიური ნეიტრალიტეტი.
3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა უნიტარული, ეროვნული უმცირესობებისათვის კულტურული ავტონომიების მინიჭება.
4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპრეზიდენტო, საპარლამენტო.

დღევანდელი ხელისუფლების კურსთან მიმართებაში ლოიალური ოპოზიციაა.

*მისამართი თბილისი, 9 აპრილის ქ. №4.*
*ტელეფონი 99 95 22; 99 95 50. ფაქსი 98 73 89.*

## საქართველოს სოციალური სამართლიანობის კავშირი (სსსკ)

*პოლიტიკური მიმართულება სოციალ-დემოკრატიული.*

*დაარსდა 1990 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1992 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები ა. იოსელიანი, გ. ლორთქიფანიძე, გ. იორამაშვილი, ო. ეგაძე.*

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 2 წელიწადში ერთხელ) - აღმასრულებელი საბჭო (ირჩევა 2 წლით, 9 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა ყრილობის მიერ 2 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.).*

*თავმჯდომარე არჩილ იოსელიანი (დაბ. 1951 წ.), 1973 წ. დაამთავრა თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. 1973-1977 წწ. კავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელი, 1977 წლიდან მუშაობდა სსრკ ჰიდრომეტცენტრში. ჰყავს მეუღლე და ოთხი შვილი.*

*წევრთა რაოდენობა 5.000-მდე (აქედან აქტიურია 500). პარტიაში 40% ქალია.*

პარტიას აქვს 8 რეგიონალური ორგანიზაცია.

*ბეჭდვითი ორგანო გაზეთი "არსი" (ტირაჟი 2.000).*

პარტია ინდივიდუალურად მონაწილეობდა 1992 წლის საპარლამენტო არჩევნებში და მიიღო ხმათა 1,86%. პარლამენტში წარმოდგენილი იყო პარტიული სიით არჩეული 2 დეპუტატით.

პარტია ინდივიდუალურად მონაწილეობდა 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში და მიიღო ხმათა 1,05%.

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია მხარს უჭერდა ჯ. პატიაშვილს.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა ანტიხალხური, დანაშაულებრივი პრივატიზაციის შედეგების აღმოფხვრა. სახელმწიფო საკუთრების პრიორიტეტის აღდგენა სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში. სახელმწიფო საკუთრება მიწაზე.
2. საგარეო პოლიტიკა მშვიდობა მეზობელ ქვეყნებთან.
3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა უნიტარული სახელმწიფო ავტონომიის გათვალისწინებით.
4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპარლამენტო; პარლამენტის მიერ პრემიერ-მინისტრის არჩევით და გადარჩევით და წარმომადგენლობითი პრეზიდენტით.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

პარტია არ მონაწილეობს 1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში შემდეგი მიზეზებით 1. მმართველი პარტიის ძალმომრეობა; 2. საარჩევნო კანონის ანტიდემოკრატიული ხასიათი.

პარტიას ოფისი არ აქვს
*ტელეფონი (ბინის) 22 41 16.*

## საქართველოს ქრისტიან-დემოკრატიული პარტია (სქდპ)

*დევიზი საყოველთაო მართლმადიდებლობა.*
*პოლიტიკური მიმართულება მემარჯვენე.*
*დაარსდა 1995 წ.*
*პირველი რეგისტრაცია 1995 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*
*დაფუძნების ინიციატორი ვ. ჩხეიძე.*
*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 2 წელიწადში ერთხელ) - დიდი საბჭო (ირჩევა 2 წლით, 15 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა ყრილობის მიერ 2 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1996 წ.).*
*თავმჯდომარე ვახტანგ ჩხეიძე (დაბ. 1965 წ.), ინჟინერ-ქიმიკოსი, მისამართი თბილისი, ნუცუბიძის ქ. №179, III კორპ. ბ. 20.*
*წევრთა რაოდენობა 3.000-მდე (აქედან აქტიურია 800-მდე). პარტიაში 7% ქალია.*

პარტიას აქვს 5 რეგიონალური და 30 რაიონული ორგანიზაცია.

პარტია მონაწილეობდა 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში და მიიღო ხმათა 0,72%.

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია მხარს არ უჭერდა არცერთ კანდიდატს.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა თავისუფალი, საბაზრო. მიწაზე კერძო საკუთრება.
2. საგარეო პოლიტიკა დასავლური.
3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა უნიტარული.
4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა კონსტიტუციური მონარქია.



პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

პარტია არ მონაწილეობს 1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, რადგან მზად არ არის იტვირთოს პასუხისმგებლობა სხვადასხვა საკითხებში.

*მისამართი თბილისი, რუსთაველის პრ. №21.*
*ტელეფონი 98 31 88. ფაქსი 98 31 88.*

## საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია (სქკპ)

*დევიზი როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.*
*პოლიტიკური მიმართულება მემარჯვენე.*
*დაარსდა 1992 წ.*
*პირველი რეგისტრაცია 1997 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*
*დაფუძნების ინიციატორები შ. მალაშხია, თ. კიკაჩეიშვილი, მ. მუსერიძე.*

პარტია "საქართველოს ეროვნული ხსნის მოძრაობა _ წინააღმდეგობის ფრონტის" სამართალმემკვიდრეა.

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 3 წელიწადში ერთხელ) - პარტიის კომიტეტი (ირჩევა 3 წლით, 7 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა ყრილობის მიერ 3 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1997 წ.).*
*თავმჯდომარე შოთა მალაშხია (დაბ. 1962 წ.), 1989 წ. დაამთავრა სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, ექიმი-ნეიროიმუნოლოგი №2 საავადმყოფოში. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.*
*წევრთა რაოდენობა 1.500 (აქედან აქტიურია 25-30%). პარტიაში 60% ქალია.*

პარტიას აქვს 7 რეგიონალური და 12 რაიონული ორგანიზაცია.

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია მხარს არ უჭერდა არცერთ კანდიდატს.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა პარტია იზიარებს დასავლეთის მემარჯვენე პარტიათა ზოგად ეკონომიკურ პრინციპებს. მიწაზე კერძო საკუთრება, თუმცა დასაშვებია სხვა ფორმებიც.

2. საგარეო პოლიტიკა მჭიდრო ურთიერთობა დასავლეთთან, მუშაობის გააქტიურება "კავკასიის სახლის" ევროკავშირის მსგავს გაერთიანებად ჩამოყალიბებისათვის.

3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა უნიტარული, ფართო უფლებები ავტონომიებს (აფხაზეთი, აჭარა).

4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპრეზიდენტო-საპარლამენტო ("ფრანგული" მოდელი).

პარტია მიიჩნევს, რომ დღევანდელ ხელისუფლებას კურსი არა აქვს.

პარტია არ მონაწილეობს 1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, რადგან კონსტიტუციაში არ არის დაფიქსირებული ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობა.

*მისამართი თბილისი, ქობულეთის ქ. №36.*

*ტელეფონი 22 20 94.*

## საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი (სქდკ)

*პოლიტიკური მიმართულება ქრისტიანულ-დემოკრატიული.*

*დაარსდა 1989 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1990 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები ი. კაკაბაძე, პ. თანდილაშვილი, გ. ბურჯანაძე, მ. ორჯონიკიძე, ბ. მაჭავარიანი, ა. ძოწენიძე და სხვ.*

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 2 წელიწადში ერთხელ) - ფედერალური კომიტეტი - პოლიტიკური ბიურო - აღმასრულებელი კომიტეტი (ირჩევა 2 წლით, 7 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა ყრილობის მიერ 2 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.).*

ამჟამად პარტიას თავმჯდომარე არ ჰყავს და წესდების მიხედვით მის ფუნქციებს მოადგილეები ასრულებენ.



*წევრთა რაოდენობა 1.450 (აქედან აქტიურია 150). პარტიაში 300 ქალია.*

პარტიას აქვს ახალგაზრდული ორგანიზაცია _ საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიული ასოციაცია (დაარსდა 1988 წ. 600 წევრი), 3 რეგიონალური და 17 რაიონული ორგანიზაცია.

პარტია მონაწილეობდა 1990 წლის საპარლამენტო არჩევნებში (ბლოკი "თავისუფლება") და მიიღო ხმათა 3,8%.

პარტია მონაწილეობდა 1992 წლის საპარლამენტო არჩევნებში (ბლოკი "28 ოქტომბერი") და მიიღო ხმათა 18%. პარლამენტში წარმოდგენილი იყო პარტიული სიით არჩეული 3 დეპუტატით.

პარტია მონაწილეობდა 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში (ბლოკი "ქრისტიანული დემოკრატია _ ევროპული არჩევანი") და მიიღო ხმათა 1%. პარლამენტში წარმოდგენილია 3 მაჟორიტარი დეპუტატით.

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია მხარს არ უჭერდა არცერთ კანდიდატს.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა კერძო საკუთრება, ღია საბაზრო ეკონომიკა, მინიმალური სახელმწიფო ჩარევა. მიწაზე შეუზღუდავი კერძო საკუთრება.

2. საგარეო პოლიტიკა ევროინტეგრაცია, მშვიდობიანი და ევროპული კავკასია.

3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა ფედერაციული.

4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპრეზიდენტო (როგორიცაა აშშ).

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

პარტია არ მონაწილეობს 1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში კანონების არადემოკრატიულობის, არაკონსტიტუციურობის, ხელისუფლების მხრიდან ადმინისტრაციული აპარატის გამოყენებით არჩევნებში უხეში ჩარევის გამო.

*მისამართი თბილისი, კოსტავას ქ. №68ა.*

*ტელეფონი 899 50 33 46; 64 64 11. ფაქსი 92 32 82; 22 66 59.*

E-mail: eurogeorgia@hotmail.com

## საქართველოს ჰელსინკის კავშირი _ ეროვნული აღორძინება

*დევიზი ადამიანის უფლებათა დაცვის გზით დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს აღორძინებისაკენ.*

*პოლიტიკური მიმართულება მემარჯვენე.*

*დაარსდა 1976 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1991 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია.*

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) - გამგეობა (ირჩევა 4 წლით, 5 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა ყრილობის მიერ 4 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1997 წ.).*

*თავმჯდომარე თენგიზ კიკაჩეიშვილი (დაბ. 1940 წ.), თსუ პროფესორი, ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე. "მრგვალი მაგიდა _ თავისუფალი საქართველოს" სპიკერი.*

*წევრთა რაოდენობა 3.200 (აქედან აქტიურია 1.800). პარტიაში მრავალი ქალია.*

პარტიას აქვს 12 რეგიონალური და 40 რაიონული ორგანიზაცია.

*ბეჭდვითი ორგანო გაზეთი "მრგვალი მაგიდა _ თავისუფალი საქართველო" (დროებით შეჩერებულია).*

პარტია მონაწილეობდა 1990 წლის საპარლამენტო არჩევნებში (ბლოკი "მრგვალი მაგიდა _ თავისუფალი საქართველო", მიიღო ხმათა 54%-მდე).

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია მხარს არ უჭერდა არცერთ კანდიდატს.



ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა, კერძო საკუთრება მიწაზე.
2. საგარეო პოლიტიკა დასავლეთზე ორიენტირებული "კავკასიური სახლი".
3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა უნიტარული.
4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპრეზიდენტო.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

პარტია არ მონაწილეობს 1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში არადემოკრატიული საარჩევნო კანონისა და მმართველობის უზურპატიული ფორმების გამო.

*მისამართი თბილისი, წყნეთის ქ. №10.*

*ტელეფონი 33 47 19. ფაქსი 33 47 19.*

## სახალხო დემოკრატიული კავშირი _ ქრისტიან-დემოკრატები (სდკ-ქდ)

*პოლიტიკური მიმართულება ევროპული ტიპის მემარჯვენე-ცენტრისტული.*

*დაარსდა 1997 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1997 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები ნ. კირთაძე, დ. შველიძე, ნ. რეხვიაშვილი, მ. კარტოზია, ნ. მელქაძე და სხვ.*

პარტიამ თავი "ივერიის" სკოლის მემკვიდრედ გამოაცხადა და განაგრძობს იმ პოლიტიკურ კურსს, რომელიც XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან წამოიწყეს ქართველმა პატრიოტებმა საქართველოს დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის გზაზე.

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა წელიწადში ერთხელ) - მთავარი კომიტეტი (ირჩევა 1 წლით, 9 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა ყრილობის მიერ 3 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1997 წ.).*

*თავმჯდომარე ნესტან (ელისაბედ) კირთაძე (დაბ. 1960 წ.), პოლიტიკოსი, თსუ დოცენტი, ორი მოწვევის პარლამენტის წევრი. ჰყავს მეუღლე და ქალიშვილი.*

*წევრთა რაოდენობა 7677 (აქედან უმრავლესობა აქტიურია). პარტიაში 1/3 ქალია.*

პარტიას აქვს 4 რეგიონალური და 4 რაიონული ორგანიზაცია.

*ბეჭდვითი ორგანო გაზეთი "ული" (დაარსდა 1997 წ. ყოველკვირეული).*

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა თავისუფალი, საბაზრო. მიწის სრულ საკუთრებაში გადაცემა.
2. საგარეო პოლიტიკა უნივერსალური ევროპეიზაცია. პოლიტიკური ორიენტაცია _ დასავლური.
3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა ასიმეტრიული ფედერალიზმი, განსაკუთრებული სტატუსი აფხაზეთის ავტონომიის მიმართ.
4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპრეზიდენტო.

პარტია ზოგადად უჭერს მხარს დღევანდელი ხელისუფლების კურსს, მაგრამ თვლის, რომ არასწორად ხორციელდება, განსაკუთრებით ეკონომიკაში, კორუფციასთან ბრძოლაში და სხვ.

პარტია არ მონაწილეობს 1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში სუსტი ფინანსური მდგომარეობის გამო, მაგრამ მისი წევრები დამოუკიდებლად მიიღებენ მონაწილეობას.

*მისამართი თბილისი, ზუბალაშვილის ქ. №15.*

*ტელეფონი 93 43 74; 92 11 69.*

## სრულიად საქართველოს "წმიდა ილია მართლის" საზოგადოება

*დევიზი მამული, ენა, სარწმუნოება.*

*პოლიტიკური მიმართულება ნაციონალისტური.*

*დაარსდა 1988 წ.*



*პირველი რეგისტრაცია 1990 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია.*

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) - გამგეობა (ირჩევა 4 წლით, 6 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა გამგეობის მიერ 4 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1997 წ.).*

*თავმჯდომარე ვახტანგ ცაგარეიშვილი (დაბ. 1943 წ. ზესტაფონში), 1966 წ. დაამთავრა თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. თსუ ზოგადი მათემატიკის კათედრის დოცენტი. ჰყავს სამი შვილი.*

*წევრთა რაოდენობა 1.400-მდე. პარტიაში 60% ქალია.*

პარტიას აქვს რეგიონალური და რაიონული ორგანიზაციები.

პარტია მონაწილეობდა 1990 წლის საპარლამენტო არჩევნებში (ბლოკი "მრგვალი მაგიდა _ თავისუფალი საქართველო", მიიღო ხმათა 54%-მდე).

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია მხარს არ უჭერდა არცერთ კანდიდატს.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა თავისუფალი.
2. საგარეო პოლიტიკა კავკასიური კონფედერაცია.
3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა უნიტარული.
4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპრეზიდენტო.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

*მისამართი თბილისი, პაოლო იაშვილის ქ. №13.*

*ტელეფონი 92 03 18.*

## ქართველ ნაციონალისტა ერთობა (ერთობა)

*დევიზი საქართველო, ქართველობა უწინარეს ყოვლისა !*

*პოლიტიკური მიმართულება მესამე გზა (ნაციონალიზმი).*

*დაარსდა 1991 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1992 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები კ. ჭიჭინაძე, ლ. გიორგაძე, კ. ტიკარაძე, გ. მამალაძე.*

ქართველ ნაციონალისთა ერთობას შეუერთდა "ქართული რენესანსის კავშირი". ერთხანს პარტია ორივე სახელს ატარებდა. "ერთობა" ემიგრანტული ორგანიზაციის, "თეთრი გიორგის" იდეოლოგიური მემკვიდრეა.

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) - გამგეობა (ირჩევა 4 წლით, 6 წევრი) - მეთაური (ირჩევა ყრილობის მიერ 4 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.).*

*მეთაური გაიოზ (გია) მამალაძე (დაბ. 1964 წ.), ფილოლოგი, 9 აპრილის კომისიის სტუდენტთა ქვეკომისიის ყოფილი თავმჯდომარე, დიდუბის საკრებულოს ყოფილი წევრი, ქართველ სტუდენტთა ეროვნული კავშირის (ქსეკ) ყოფილი გამგეობის წევრი. მისამართი თბილისი, დიღმის მასივი, მე-2 კვ. 14 კორპ. ბ. 39.*

*წევრთა რაოდენობა 1.600-მდე (აქედან აქტიურია 600-მდე). პარტიაში საკმაო ოდენობით ქალია.*

პარტიას აქვს ახალგაზრდული ორგანიზაცია _ ახალგაზრდა ნაციონალისთა ერთობა (დაარსდა 1995 წელს, 100-მდე წევრი), 7 რეგიონალური და ბევრი რაიონული ორგანიზაცია.

*ბეჭდვითი ორგანო გაზეთი "ნაციონალისტი" (დაარსდა 1992 წელს, არაპერიოდულია).*

პარტიის წევრები მაჟორიტარულად მონაწილეობდნენ 1990 წლის საპარლამენტო არჩევნებში.

პარტია მონაწილეობდა 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში (ბლოკში "XXI საუკუნე _ ერთიანი საქართველო").

*წინასაარჩევნო საპროგრამო პრიორიტეტები 1995 წლის არჩევნებისას ნაციონალიზმი.*

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას პარტია მხარს არ უჭერდა არცერთ კანდიდატს.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები



1. ეკონომიკა ტრადიციული აგრარული სექტორის განვითარება, ეროვნული მრეწველობის (სახელმწიფო სექტორის) პრიორიტეტი. მიწა უნდა გადაეცემოდეს მემკვიდრეობით _ ყიდვა-გაყიდვის უფლების გარეშე.

2. საგარეო პოლიტიკა ერთიანი კავკასიური რეგიონის ჩამოყალიბება (კონფედერაციული ერთიანი სახელმწიფო), კონტინენტური ორიენტაციის პრიორიტეტი.

3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა უნიტარული.

4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპარლამენტო (შეიძლება კონსტიტუციური მონარქიაც).

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

პარტიას უარი ეთქვა რეგისტრაციაზე ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და ვერ მონაწილეობს 1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში.

*მისამართი თბილისი, დიღმის მასივი, მე-2 კვ. 14 კორპ. ბ. 39.*

*ტელეფონი 96 39 98.*

*E-mail:* gaios@hotmail.com
mamal@geocities.com
nohchii_borz@hotmail.com

*ინტერნეტის გვერდის მისამართი*
www.geocities.com/capitollhill/congerss/3397

## ქალთა დაცვის კავშირი

*დევიზი ძალა ერთობაშია !*

*პოლიტიკური მიმართულება ცენტრისტული.*

*დაარსდა 1994 წ.*

*პირველი რეგისტრაცია 1995 წ.; ხელახალი რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები ნ. გვალია, ლ. ქუფარაშვილი, გ. ჩიქოვანი, ე. გეწაძე.*

პარტია "საქართველოს ქალთა კავშირის" სამართალმემკვიდრეა.

*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა 3 წელიწადში ერთხელ) - გამგეობა (ირჩევა 3 წლით, 7 წევ-*

*რი) - თავმჯდომარე (ირჩევა ყრილობის მიერ 3 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.).*

*თავმჯდომარე ნარგიზი გვალია (დაბ. ქუთაისში), ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. 1990-1993 წწ. საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ქვემო ქართლის სადროშოს თავმჯდომარე. საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროს სამმართველოს უფროსი. საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიკოსი. საქართველოს საინჟინრო-ეკონომიკური ინსტიტუტის პროფესორი. ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და შვილიშვილები. მისამართი თბილისი, ჭავჭავაძის პრ. №75ბ, ბ. 16, ტელ.: 23 42 48; 29 48 77.*

*წევრთა რაოდენობა 2.050 (აქედან აქტიურია 500).*

პარტიას აქვს 30 რაიონული ორგანიზაცია.

პარტია ინდივიდუალურად მონაწილეობდა 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში და მიიღო ხმათა 0,97%.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტი

1. ეკონომიკა სოციალური საბაზრო ეკონომიკა.

პარტია არ მონაწილეობს 1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, რადგან 1. საქართველოს მოსახლეობა მზად არ არის დემოკრატიული, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის; 2. ფინანსური მდგომარეობა _ არანაირი მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან.

*მისამართი თბილისი, ვაჟა-ფშაველას პრ. №44.*

*ტელეფონი 23 44 45; 23 42 48; 29 48 77; 39 00 98.*

## ღარიბთა დაცვის გაერთიანებული პარტია

*პოლიტიკური მიმართულება დემოკრატიული.*

*დაარსდა 1998 წ.*

*რეგისტრაცია 1998 წ.*

*დაფუძნების ინიციატორები დ. ზეიკიძე, დ. ზარიძე, ვ. ტურაშვილი, ნ. შარვაშიძე, ვ. დოკვაძე, გ. ნაზარბეგოვი.*



*ორგანიზაციული სტრუქტურა ყრილობა (მოიწვევა წელიწადში ერთხელ) - გამგეობა (ირჩევა 2 წლით, 15 წევრი) - თავმჯდომარე (ირჩევა ყრილობის მიერ 2 წლის ვადით, ბოლოს აირჩიეს 1998 წ.).*

*თავმჯდომარე დავით ზეიკიძე (დაბ. 1945 წ. მცხეთის რნის სოფ. მუხრანში), იურისტი, გენერალ-მაიორი, საქართველოს პარლამენტის წევრი. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.*

*წევრთა რაოდენობა 6.000 (აქედან აქტიურია 3.000 ). პარტიაში 2.500 ქალია.*

პარტიას აქვს ახალგაზრდული ორგანიზაცია _ "ღარიბთა დაცვის გაერთიანებული პარტიის ახალგაზრდული კავშირი" (შეიქმნა 1998 წლის 4 ივნისს), 10 რეგიონალური და 10 რაიონული ორგანიზაცია.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

1. ეკონომიკა ფრანგული მოდელი. კერძო და სახელმწიფო საკუთრება. კერძო საკუთრება მიწაზე.
2. საგარეო პოლიტიკა მშვიდობიანი და თანასწორუფლებიანი თანამშრომლობა.
3. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა ფედერაციული.
4. სახელმწიფო სისტემის მოწყობა საპრეზიდენტო.

პარტია მხარს არ უჭერს დღევანდელი ხელისუფლების კურსს.

პარტია რეგისტრირებულია ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, მაგრამ არ მონაწილეობს 1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, რადგან ახალი შექმნილია.

*მისამართი თბილისი, კოსტავას ქ. №14.*

*ტელეფონი 99 76 69.*

**ინფორმაცია არ მოგვაწოდა შემდეგმა პარტიებმა**

- ეკონომიკური აღორძინება - "ყვითლები";

- საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტია;
- საქართველოს ეროვნული სახალხო ფრონტი;
- ქრისტიან და მუსულმან დემიკრატთა კავშირი;
- ხალხთა მეგობრობის პარტია.



## III ნაწილი

# *ქალები საქართველოს პოლიტიკურ პარტიებში*

პარტიების ცნობარზე მუშაობისას შევეცადეთ დაგვედგინა საქართველოს პოლიტიკურ პარტიებში ქალთა მონაწილეობის რეალური სურათი. ამ კუთხით პოლიტიკური პარტიები საქართველოში დღემდე არ შესწავლილა. პარტიებში ქალთა როლის განსასაზღვრად ცნობარისათვის განკუთვნილ ზოგად კითხვარში ცალკე ბლოკად შევიდა რამდენიმე სპეციალური კითხვა.

მიღებული ინფორმაციის გაანალიზების შედეგად შემდეგი სურათი მივიღეთ

რამდენიმე პარტიამ კითხვარის ის ნაწილი, რომელიც ქალებს ეხებოდა, საერთოდ არ შეავსო.

კითხვარის შევსებისას პარტიებს უმეტესწილად უჭირდათ ქალ წევრთა ზუსტი რაოდენობის დასახელება. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ამ ნიშნით არ განასხვავებენ თავიანთ წევრებს და ამიტომ ზუსტი რიცხვი ქალი წევრებისა არა აქვთ დადგენილი. ამიტომაც, პრინციპში, პარტიები მიახლოებით ასახელებდნენ ქალ წევრთა რაოდენობას. ზოგადად, კითხვაზე "რამდენი ქალია თქვენს პარტიაში ?", ყველაზე ტიპიური პასუხი იყო _ წევრთა 1,,3. ამგვარი პასუხი მივიღეთ 20 პარტიისაგან.

პროცენტულად ყველაზე მეტი ქალია საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიულ პარტიაში (60%), სრულაიდ საქართველოს "წმინდა ილია მართლის" საზოგადოებასა (60%) და ქეთევან წამებულის საზოგადოებაში (59%).

საქართველოს პოლიტიკური პარტიებიდან პროცენტულად ყველაზე ნაკლები ქალი საქართველოს სპორტსმენთა კავშირშია _ 0,5%.

**საბოლოოდ, პოლიტიკური პარტიების წევრთა საერთო რაოდენობაში ქალ წევრთა რიცხვი საშუალოდ 28%-ს შეადგენს.**

გაცილებით დაბალია პარტიების მმართველ ორგანოებში ქალთა მონაწილეობის პროცენტი. პარტიათა ცენტრალურ ხელმძღვანელ ორგანოებში ქალთა რიცხვი საშუალოდ 9%-ს შეადგენს.

ქალი ლიდერი ჰყავს მხოლოდ 4 პარტიას

- *ეროვნულ-დემოკრატიული პარტია _ ირინა სარიშვილი;*
- *სახალხო-დემოკრატიული კავშირი - ქრისტიან დემოკრატები _ ნესტან კირთაძე;*
- *ქალთა დაცვის კავშირი _ ნარგიზი გველია;*
- *ქეთევან წამებულის საზოგადოება _ იზოლდა ჭილაძე.*

პასუხები კითხვაზე "ითვალისწინებთ თუ არა ქალთა პრობლემებს წინასაარჩევნო პროგრამების შედგენისას ?" შეიძლება პირობითად რამდენიმე ჯგუფად დალაგდეს

! ათი პარტია პირდაპირ მიუთითებს, რომ პროგრამების შემუშავებისას ქალთა პრობლემებს არ ითვალისწინებს;

! ექვსი პარტია მარტივად პასუხობს, რომ ქალთა საკითხს ითვალისწინებს, მაგრამ არ აკონკრეტებს, კერძოდ რა პრობლემებს აქცევს ყურადღებას;

! ოთხი პარტია ქვეყანაში შექმნილი საერთო მძიმე მდგომარეობის ფონზე ჯერჯერობით აქტუალურად არ თვლის ამ პრობლემას. მაგალითად "საქართველოში დღეს ადამიანის უფლებები მთლიანად დარღვეულია, ქალიც და კაციც ერთნაირად დაუცველები და უუფლებონი არიან. ცალკე ქალთა საკითხზე მსჯელობა დღეს უბრალოდ აბსურდია." "საქართველოში იმდენად დიდია ეკონომიკური და სოციალური პრობლემების ხვედრითი წილი, რომ ქალთა პრობლემების ცალკე გამოყოფა ამ ეტაპზე ყოველგვარ აზრსაა მოკლებული."



! შვიდმა პარტიამ განაცხადა, რომ არ განასხვავებს ქალსა და კაცს, შესაბამისად, ქალთა საკითხს ცალკე არ გამოყოფს და ქალთა პრობლემებს განიხილავს ზოგადად, "ადამიანისა და მოქალაქის უფლება-თავისუფლებათა და შესაბამის მოვალეობა-პასუხისმგებლობათა კონტექსტში."

! ოცდაერთმა პარტიამ კონკრეტულად დასახელა ქალთა ის პრობლემები, რომლებსაც ითვალისწინებს წინასაარჩევნო პროგრამის შედგენისას ქალთა უფლებების დაცვა, ქალთა სამუშაო პირობების გაუმჯობესება, ქალთა დასაქმება, მრავალშვილიან, მარტოხელა და ჩვილბავშვიან დედათა ხელშეწყობა. ძირითადად, ქალებთან დაკავშირებული პრობლემებიდან წამოწეულია ქალის, როგორც დედის ხელშეწყობის საკითხი. (ტიპიური მაგალითებია "ქალს, როგორც ერის აღწარმოების ძირითად საშუალებას სოციალურად და საზოგადოებრივად შესაფერისი პირობები უნდა შეექმნას". "ქალის - როგორც ქართული ოჯახის სიმბოლოს ტრადიცია უნდა გაგრძელდეს").

! დანარჩენმა პარტიებმა ამ კითხვაზე საერთოდ არ უპასუხეს.

## სარჩევი

წინათქმა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . *3*

I ნაწილი - პარტიები, რომლებიც მონაწილეობენ 1998 წლის 15 ნოემბრის თვითმმართველობის არჩევნებში . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . *7*

II ნაწილი - პარტიები, რომლებიც არ მონაწილეობენ 1998 წლის 15 ნოემბრის თვითმმართველობის არჩევნებში . . . . . . . . . . . . . . . . . . *42*

III ნაწილი - ქალები საქართველოს პოლიტიკურ პარტიებში . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . *123*